გიორგი ყუფარაძე

ტ ა ბ უ ლ ა

(დემოგრაფიული რომანი)

თბილისი
2018 წელი

UDC(უაკ) 821.353.1-84
ყ-981

„ტაბულა“ – ეს არის დემოგრაფიული რომანი, რომელშიც წარმოდგენილია წიგნის ავტორის ნაოცნებარ-ნაფიქრალი. ეს რომ ისე გაკეთებულიყო, როგორც ფანტაზია გვკარნახობს, ან გაგვეკეთებინა ხომ შეიძლება ქართველების ოდენობა გაზრდილიყო და ასე ამ სამყაროში მცირე ერად არ დავრჩენილიყავით. ასე რომ, ოცნების უფლება ყველას აქვს, ხოლო აქედან რა გამოვა, ეს განგებას, ბედსა და შემოქმედებით ნიჭს მივანდოთ.

ამ დემოგრაფიულ რომანს ვუძღვნი ყველა ნაღდ ქართ-ველს, იმათ, რომელთაც განსჯით უყვართ თავიანთი ერი, ქვეყანა და ზრუნავენ მის გამრავლება-კეთილდღეობაზე საქმით და არა მარტო ბრტყელ-ბრტყელი და ლამაზი სიტყვებით, რადგან ეროვნულობას განამტკიცებს მოსახლეობის ოდენობა, ხელის გამოღება, თავის განძრევა, წინდახედულება და არა თავდაჯერება და გამოუყენებელი ნიჭი.

რედაქტორი – ნიკო ნიკოლაძისა და დავით აღმაშენებლის
პრემიების ლაურეატი, პროფესორი
მურმან თავდიშვილი

მხატვარი **პაატა ყუფარაძე**
კორექტორი **მერი შავლუხაშვილი**

ISBN 978-9941-0-9676-1

წინასიტყვაობა

ცნობილი მწერალი გიორგი ყუფარაძე საქართველოს ავბედობით გულდამწვარი მამულიშვილია. მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში დღემუდამ ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის გზებსა და წავარნა-ბილიკებს ზვერავდა, ადგენდა ეკონომიკურ და პოლიტიკურ გეგმებს, შეაგონებდა ხალხს და არცთუ იშვიათად ამუნათებდა კიდევაც.

ამ საკითხებში ჩვენი ავტორი ზოგჯერ ბევრის (და არა ზედმეტის) უფლებასაც კი აძლევს თავს. ასე კი ჭეშმარიტ პატრიოტსა მოსდის, რომელსაც ამგვარ გაბედულებას დიდი სამამულე გული ანიჭებს.

მკითხველი, შესაძლოა, ბოლომდე ყველაფერში არ დაემოწმოს მის ნააზრალს (მე, პირადად, როგორც „რუსეთუმე“ სრულად ვეთანხმები), ოღონდ ვერაფერს დააკლებს ავტორის მხატვრულ ფანტაზიებს ეროვნულობის გადარჩენის გზებზე. ავტორს (და ეგ მთავარია მის ნააზრევში) უწინარეს პატრიოტულ საქმედ ერის გამრავლება მიაჩნია. ამიტომაც შექმნა თავისებურად საინტერესო დემოგრაფიული რომანი.

„ტაბულა“ ძირითადად პრობლემას აყენებს და ერთგვარად კიდეც გვაფრთხილებს: უპირველესი საქმე დემოგრაფიული პრობლემის მოგვარებაა, იმ პრობლემისა, რომელიც პირაფშკმული უფსკრულივით ჩასაფრებია ივერთა მოდგმას.

ამ ბოლო დროს ცუდად მძინავს. ეს, ალბათ, უფრო ასაკისა და დაუსაქმებლობის ბრალია, თანაც ვეღარც ხეირიან სიზმრებსა ვხედავ; გამომეღვიძება და, ჩვენი „მასმედიის“ გადამკიდე, სულ პოლიტიკაზე, ჩვენი ერის ბედსა და ხვალ რა გვეშველება-მეთქი, ვფიქრობ. სულ წარსულში ვიქექებით, დღევანდელობას ოპონირებას ვუწევთ, ჩვენს აზრებს წარსულის გადასახედიდან ვკვებავთ. გაოცებული ვარ: ეს ტელევიზია ამდენ აუტისტსა და ვაი-პოლიტიკოსს სად ნახულობს, რომლებიც ერთგვარად ინფორმირებულნი კი არიან, მაგრამ წარმოდგენა არა აქვთ დღევანდელობაზე, ქვეყნის მართვაზე. ერთი დამატებითი ხმა რომ გააჩალიჩონ არჩევნებში. ლამის ამ ყოფის პოლიტიკის ევნუხებად იქცენ გულში ჩაბუდებული ბოღმით – თუ ქვეყნის მმართველობაში მოვალთ, ჩვენ ვიცით, რა დღეშიც გამყოფებთო.

ამ ფიქრებიდან გამოსულმა გიორგი ყუფარაძემ გადაწყვიტა, ისევ საკუთარ თავს შესძახოს: – სჯობს ისევ შენს ორგანიზაციულ ნიჭს მოუხმო, რათა სათავისო საქმე გაიჩინო, ასაკოვანი ბებრები ზოგჯერ მაინც შეახვედრო ერთმანეთს და გული მაინც მოიოხოთ, თორემ ამ აუტისტ ჯეელებს, რომლებმაც მხოლოდ უცხო ენები იციან და ამიტომ „ცა ქუდად არ მიაჩნიათ და დედამიწა – ქალამნად“, ცოტათი დავუტატანოთ. რას ვიზამთ, ახალგაზრდობაში, ეტყობა, ჩვენც ასეთივე ამბიციურები და ყოყლოჩინები ვიყავით, მაგრამ, ეტყობა ვერ ვამჩნევდით.

დღევანდელმა ცივილიზაციამ, მოჩვენებითმა, ვი-თომც თავისუფლებამ და გადაადგილების საშუალებათა არსებობამ, სამყარო დააპატარავა და გადაადგილება

ყველასათვის, ხელმისაწვდომი გახადა. უსაქმოდ დარჩენილი ახალგაზრდობა სხვა ქვეყნებში გარბის სამუშაოსა და სარჩო-საბადებლის საძებნელად, თავის შესაფარებლად.

კი, ასეთია სინამდვილე!

ამიტო, დროა გიორგი საკუთარ თავს მივხედოთ და რაღაც საქმიანობა გამოვჩხრიკოთ, თუნდაც ეს ძველ მეგობრებთან შეხვედრა იყოს! – ასე უთხრა გულს და მისდაუნებლიეთ ფიქრებიდან გამრკვეულმა თავისი მეგობრის ომარ ლომთაძის ტელეფონის ნომერი აკრიფა.

– ალო, ომარს გაუმარჯოს, როგორა ხარ, კაცო, სად დაიკარგე?!

– როგორღა ვიქნები, ჩემო გიორგი, პურ-მარილი დაგვიძველდა.

– სწორედ მაგ საკითხზე მინდა შეგაწუხო, თუ წინააღმდეგი არ იქნები, გადავწყვიტე, ჩამოვაყალიბო, ყავლგასულ მეგობართა საზოგადოება. ესენი იქნებიან ჩვენი მეგობრები, რომლებიც წელიწადში ერთხელ დაუგეგმავ პურ-მარილს იკისრებენ, რაც ურთიერთის არდავიწყების, მოფერებისა და მწვავე საკითხების განსჯის საშუალებას მოგვცემს.

– ეგ კი კარგად მოგიფიქრებია, ჩემო გიორგი, იმედია, მაგ საზოგადოების წევრად მეც მოვიაზრები.

– პირველი შენ მიწერიხარ სიაში!

– ჩემო გიორგი, ეგ ყოველივე კარგი, როგორც ყოველთვის, ბევრ რაღაცაში გეთანხმები; მეც მომბეზრდა ამ სახლში უსაქმოდ ყოფნა. ჩემგან რა არის საჭირო, მიბრძანე, როგორ გემსახურო!

– ომარჯან, თუ გცალია, დღეს ან ხვალ საგარეჯოში წავიდეთ შენი მანქანით. იქ ნაცნობი მეღვინე მყავს, ერთი 40-60 ლიტრი კარგი ორწლიანი რქაწითელი გამოვართვათ და ზეგისთვის მე ვკისრულობ ყოველგვარი რიგის გარეშე ამ პურ-მარილს, სხვებსაც დავუძახებ და შევთავაზებ ამ ჩვენი ძმობის, მოფერების საზოგადოების ჩამოყალიბების იდეას.

– ძმაო, დღესვე შემიძლია წამოსვლა, საწვავი მანქანაში გუშინ ჩავასხი, ერთი ოცლიტრიანი პლასტმასის ჭურჭელი ყოველი შემთხვევისთვის მიგდია საბარგულში, მეც შევიძენ მაგ ღვინოს; შენ ხარისხიანი ღვინის ყიდვა არ შეგეშლება, ამასთანავე, თუ ჭურჭელი დაგჭირდეს, ნუ მომერიდები, სარდაფი სავსე მაქვს პლასტმასის ცარიელი ბოცებით.

– ეჰ, რას იზამ, ჩემო ომარ, ამ დროის დედა ვატირე, თორემ კარგად მახსოვს: მუდამ ღვინის ჩასასხმელ ჭურჭელს დაეძებდი, ახლა ჭურჭელი გვაქვს, ღვინო კი არა. რამდენ ხანი დაგჭირდება ჩემთან მოსასვლელად?

– მოკლედ, ჩემო გიორგი, ახლა თორმეტია, ერთ საათში შენს სახლთან ვიქნები, ჭურჭლებს წყალი გამოავლე და საგარეჯოსკენ შევუბეროთ.

ერთი საათის შემდეგ მსუბუქი მანქანა გიორგის სადარბაზოსთან იდგა და ამის შესახებ მობილური ტელეფონით შეეხმიანა ომარი. გიორგიმ ლიფტში სასწრაფოდ შეალაგა სამი ცალი პლასტმასის 20 ლიტრიანი საღვინე ჭურჭელი და მერვე სართულიდან ძირს ჩამოვიდა წინასწარ გაღებულ მანქანის საბარგულში ჩაალაგა და საგარეჯოს გზას გაუდგენ.

– ჰა, თქვი, რა იდეები გაწუხებს, რა მოიფიქრე, შენ ცუდს არაფერს შემოგვთავაზებ.

– ჩემო ომარ, ძველმა ძმაკაცებმა ერთმანეთი თითქმის დავივიწყეთ, წელიწადი ისე გავა, ერთმანეთს ვერ ვნახულობთ და ვერც ვეხმარებით მაშინ, როდესაც სწორედ ახლა გვჭირდება ურთიერთმონახულება, შეხვედრა. გადავწყვიტე, ჩამოვაყალიბო „ბებერი მგლების“ საზოგადოება.

– მე, როგორც ყოველთვის, ჩემო გიორგი, შენთანა ვარ!

– მოკლედ, მე და შენ შევადგინოთ სია 10-12 კაცის, ჩვენი საერთო მეგობრებისა, გავათამაშოთ ლატარეა და, ვისაც რომელ თვეში შეხვდება წილი, ის იკისრებს პურ-მარილს და მასთან შევიკრიბებით.

– მთლიანად გეთანხმები, ჩვენს ასაკში მშრალი და შემთხვევითი შეხვედრებით ერთმანეთის მოსიყვარულება და გულის მოოხება არ გამოდის.

– ოღონდ ჩვენი პენსიის პატრონებს, შეიძლება, გაგვიჭირდეს სათანადო მაგიდის გაშლა.

– კაცო, აქ საუბარია არა ქართულ „დაყარე სუფრაზე“, არამედ მიზნობრივ პურ-მარილზე, ვისაც რა შეუძლია და როგორც შეუძლია ისეთი სუფრა გაშალოს.

– ეს როგორ, ჩვენი ხალხის კუდაბზიკობის ამბავი ხომ იცი: კრედიტს აიღებს ბანკიდან და სტუმრებს მაინც „დაყარე სუფრას“ გაუშლის.

– კაცს რომ ეტყვი, ლობიოზე გპატიჟებო, იმ სუფრაზე უნდა იყოს მხოლოდ ლობიო, მჭადი, ყველი, ბოსტნეული და ამ სუფრის შესაფერისი თეთრი მშრალი ღვინო,

ამასთანავე, პირველ მაგალითს მე მეგცემთ: ზეგ რაიმე ერთი სახის პურ-მარილს ვიკისრებ და მერმის თქვენც მომბაძეთ. სალოთაოდ როდი ვიკრიბებით, ჩემო მეგობარო, არამედ ჯეელობის გასახსენებლად და ერთი მორიგე დღის სიამით გადასაგორებლად.

– თავში ერთი აზრი მომივიდა: ვგონებ, ურიგო არ იქნება, თუ ლატარეაში სუფრის სახეობებსაც გავათამაშებთ.

– ეს როგორ.

– აი, მაგალითად, კახური, იმერული, მეგრული, გურული, აფხაზური, ოსური, სვანური, ევროპული, ალეფურშე, აზიური, სამხრეთ ამერიკული, იაპონური, აფრიკული, თუნდაც მთის სუფრა, სადაც იქნება მხოლოდ ხინკალი, გუდის ყველი, ცხვრის ხაშლამა და ჟიპიტაური თავისი დედას პურით.

– ძმაო, ახლა მარცხნივ გადაუხვიე და იმ ეზოსთან გაჩერდი, ვგონებ, ამ ლაპარაკში მივედით კიდეც.

მანქანა ეზოს ჭიშკართან შეჩერდა. მძღოლმა სიგნალი მისცა და იქედან ცოტა ხნის შემდეგ ხანდაზმული მამაკაცი გამოვიდა.

გიორგი მანქანიდან გადმოვიდა, ბატონ ვასოს მიესალმა.

– სტუმრებს არ მიგვიღებთ ბატონო ვასო? – მიესალმა და ხელი ჩამოართვა.

– მობრძანდით, თქვენი ჭირიმე, როგორც ყოველთვის, სტუმარი ჩემია და არა ღვთის.

– ჩემო ვასო, ვიცი, შენთვის გადანახული გაქვს ორისამწლიანი რქაწითელი. იმდაგვარი ღვინის წასაღებად

მოვედით მე და ჩემი მეგობარი, ასე 80 ლიტრის ფარგლებში; ვიცი, უარს არ გვეტყვი.

– შენთვის, ჩემო გიორგი, ყოველთვის მოვახერხებ რაღაცას, მართალია, სამწლიანი ღვინო აღარ შემომრჩა, მაგრამ ორწლიანი რქაწითლის შემოთავაზება ჯერ კიდევ შემიძლია.

– ჩემო ვასო, ფასი ძველებურია თუ გააძვირე?

– ძველი კლიენტებისა და კარგი ხალხისათვის ფასიც ძველებურია: ლიტრა ორი ლარი, თავისი პურ-მარილით.

– სუფრის გაშლაზე ნუ შეწუხდები, ჩემო ვასო, ცოტა გვეჩქარება!

– მეჩქარება მე არ ვიცი, მანქანა ეზოში შემოიყვანე, ჭურჭელი გადმოაწყვე და საქმეს მივხედოთ.

ვასომ ჭიშკრის კარები ფართოდ გამოაღო, ომარმა მანქანა ეზოში შეიყვანა, ჭურჭელი გადმოაწყო და ვასოს მარანში შეტანაში მიეხმარა. ვასომ ჭურჭელში წყალი საკუთარი ხელით გამოავლო, ამათ ნასაქმარს როდი ენდო, და კასრიდან ღვინის ჩამოსხმას შეუდგა. ამასობაში მისმა შვილიშვილმა, სეხნია ვასომ, ეზოში დადგმულ მაყალს ცეცხლი შეუნთო, სამწვადე ხორცი შამფურზე მარჯვედ წამოაგო და მწვადის შეწვას შეუდგა.

ეზოში მწვადისა და ცხელი პურის სუნი დატრიალდა.

არ გასულა ნახევარი საათიც და ვასომ იქვე ეზოში მდგარ სუფრაზე ხელადა ღვინო შემოდგა, სამზარეულოდან ყველი, მწვანილი და დედის პური გამოიტანა, წელში გამოყვანილი შუშის ჭიქები მაგიდაზე დააწყო, მწვადი სუფრაზე შემოსდო, ჭიქები ღვინით დინჯად შეავსო და სტუმრები მიიპატიჟა.

– ეს სასმისი თქვენი მობრძანებისა და ჩვენი დახვედრისა იყოს!

– ბატონო ვასო, საქართველოს ვუსურვებ, ღმერთმა არ გამოულიოს თქვენისთანა მასპინძელი და ჩვენისთანა სტუმრები.

– ეს რაა, შენი ძმაკაცი რომ ღვინოს არა სვამს?!

– რა ქნას, ჩემო ვასო, საჭესთან ზის, დღეს, როგორც იქნა, ერგო ბედნიერება და ჩემი მძღოლი გახდა, მაგას რომ გზაში რაღაც შეემთხვას, ჩვენ ვიქნებით დამნაშავენი.

– ერთი ჭიქა მაინც დაგვილიე, ბატონო ომარ, ოჯახი დამილოცე!

– დალოცვით როგორ არ დაგლოცავთ და ამ ჭიქასაც ბოლომდის დავცლი. მოდით, ამ სასმისით ბაბუას იმედს, ამ ოჯახის მომავალ პატრონს გაუმარჯოს, რომელიც ბაბუას ისე ჰყავს გაწვრთნილი, რომ სტუმრების დანახვის-თანავე ცეცხლი დაანთო და მწვადების შეწვა დაიწყო, ყოველგვარი მინიშნების გარეშე, ჰა, რა ნავარჯიშევი ჰყავს ბაბუას შვილიშვილი, ვისურვებ, რომ ჩვენს ვასოს ბაბუაზე უკეთესი ცხოვრება ჰქონოდეს და ათჯერ უკეთესი კარგი კაცი და მასპინძელი დამდგარიყოს.

– ბაბუას გვარის გამგრძელებელ ვასოს გაუმარჯოს. ამ სასმისით მინდა ერთი დასაფიქრებელი სადღეგრძელო შემოგთავაზოთ. ამ სასმისით მინდა შევსვა ორი უგრძნობი კოცნის სადღეგრძელო, როდესაც თავის მშობელს, მამას, შვილი შუბლზე კოცნით იმქვეყნად აცილებს და არა პირიქით, ღმერთსა ვთხოვ, ეს კანონზომიერება განგებას არც ერთი ჩვენგანის ოჯახში, გვარში, ჯიშსა და ჯილაგში არ დაერღვიოს. შვილო ვასო, მოდი აქ, აი, შენ 50 ლარი ბაბუა

გიორგისაგან საჩუქრად, შეინახე და მომავალში ქალებში სასიარულოდ გამოგადგება. ეს ფული არავის მისცე, რომ დავაუკაცდები, პირველი ქალის დაჭაშნიკებისას გაგახსენ-დები.

– ბატონო გიორგი, ეს ნამეტანია, თან დროზე ადრე ნუ გამირყვნი შვილისშვილს.

– ვასო, პირიქით, მეც შენს მხარესა ვარ, იქნებ, შვილიშვილის შვილსაც მოესწრო და მის მიერ შემწვარი მწვადის დაგემოვნებაც მოგვიწიოს, ვინ იცის?

– შენ გაიხარე, გიორგი, მაგარი ჯიგარი გული გაქვს!

– ჩემო ვასო, მოდი, ეს ღვინით სავსე ჭურჭელი მანქანის საბარგულში ჩავდოთ და თანაც გავსწორდეთ. აი, ეს 80 ლიტრი ღვინის ფული 160 ლარი გამომართვი!

– ეს ნამეტნავად დაიხარჯე, ჩემო გიორგი, მოდი, ჩემის მხრივ, ჩურჩხელებს გაგატან.

– ჩურჩხელებს შემდგომ ჩამოსვლაზე წავიღებ, ჩემო ვასო, ახლა დროა, დავემშვიდობოთ ერთმანეთს, თორემ ამ შენმა ღვინომ ისე აგვიშალა სიყვარულის საღერღელი, რომ დღეს ვერ წავალთ, ომარ, აბა ჩავსხდეთ მანქანაში, ხოლო შენ, ჩემო პატარა ვასო, ჭიშკარი გაგვიღე!

ომარმა ძრავა აამუშავა და ორივენი დამშვიდობების ნიშნად ხელის ქნევით გამოვიდნენ ეზოდან და თბილისისაკენ მიმავალ გზას დაადგნენ.

– გიორგი, სად ნახულობ ასე ჯიგრიან ხალხს, არ მახსოვს, შენგან ვინმე გამეცნოს გინდ კაცი, თუნდა ქალი, რომ სამეგობროდ არ მომწონებოდეს.

– ჩემო ომარ, ხომ იცი, სამეგობრო კადრებს გული ამჩნევს და ირჩევს და არა გონება.

ამ საუბრის დროს ცენტრალურ გზაზე მიმქროლ მანქანას გოჭმა გადაურბინა. მძღოლმა მანქანის დროულად დამუხრუჭება ვერ მოასწრო და გოჭი მანქანის ბორბლებს შორის მოჰყვა. უკანასკნელი ჭყიოდა მიწას ფეხებით ფხაჭნიდა.

გზის პირას მოხუცი ქალი და კაცი იდგნენ, რომლებიც ჩურჩხელებს, ხილსა და ყველს სთავაზობდნენ გზად მიმავალ მძღოლებს. მგზავრები გადმოვიდნენ მანქანიდან. მძღოლმა მანქანას დახედა, ვგონებ, „ბამპერი“ შეეღუნა, ხოლო ბორბლების ქვეშ მოყოლილი გოჭი უკვე ესალმებოდა სიცოცხლეს. გიორგი მივიდა მოხუც მამაკაცთან, რომელიც ვაჭრობდა, და დანა გამოართვა.

გიორგიმ დანა მძროლს გაუწოდა და უთხრა, მოდი, ომარ, დავკლათ ეგ გოჭი, იქნებ, სისხლი გამოუვიდეს, მაქედან ღორი უკვე აღარ გამოვა.

ომარმა გოჭს დანა მკერდის არეში გაუყარა, მოხუცისგან მოზრდილი ცელოფნის პარკი შეიძინა, დაკლული გოჭი შიგ ჩადო, საბარგულში ღვინის ჭურჭლების გვერდით მოათავსა და დანა პატრონს დაუბრუნა.

– თქვენი სახელი, ბატონო?

– მიტო მქვიან.

– მიტო ბატონო, ერთი ამ გოჭის პატრონის სახელი, გვარი გვითხარი და თან დაგვაკვალიანე, სად ცხოვრობს.

– აგერ იმ სახლს ხომ ხედავთ, ჩვენი ქუჩის მარცხენა მხარეს რომ მეხუთე სახლია, იკითხეთ იქ ვალიკოი, ეგ უნდა იყოს მაგ გოჭის პატრონი და მაგას გადაუხადეთ ფული, ოღონდ ფრთხილად იყავით: ეგ გოჭი ბურვაკად არ შემოგასაღონ და ბურვაკის ფული არ გამოგტყუოთ!

– დიდი მადლობა, ჩემო ბატონო, არც მთლად მასეთი არიფეები ვართ.

ომარმა მანქანა მიტოს მიერ მინიშნებულ სახლთან მიაყენა და საყვირით შეეხმიანა. გამოვიდა საშუალო ასაკის ქალი ჭიშკრიდან და იკითხა, რა გნებავთო?

– ვალიკო გვინდა, საქმე გვაქვს, თუ შეუძლია, გამოვიდესო, – შეეხმიანა გიორგი.

– ვალიკო, ვიღაც ქალაქელები გკითხულობენ, გარეთ გამოვიდესო, – გასძახა ქალმა.

– გამარჯობათ, გისმენთ, რა გნებავთ, იკითხა ცოტა ხნის შემდგომ გაკვირვებულმა ვალიკომ.

– მე, ბატონო ვალიკო, გიორგი მქვია, აგერ ჩემს მეგობარს – ომარი, თქვენ თუ იცით, რომ თქვენმა უდღეურმა გოჭმა ქუჩაში მოძრაობის წესები უხეშად დაარღვია, მანქანას საბურავების ქვეშ შეუვარდა, ორი ადამიანის სიცოცხლე საფრთხეში ჩააგდო და თანაც მანქანის „ბამპერიც“ დააზიანა.

– კი, მაგრამ, ჩემს ბურვაკს რაიმე ხომ არ მოუვიდა, ხომ არ დამღუპეთ?!

– თქვენი გოჭი ძალზე ხიფათიანი და გაუზრდელი გამოდგა, ფეხი მოიტეხა და თანაც ჭყვიტინით აგვიკლო.

– მერე.

– მერე ის, რომ დავკალით, აგერ საბარგულში განისვენებს და თქვენთან მოვედით მის ამოსაცნობად.

მძღოლმა საბარგულს თავი ახადა, გოჭი ცელოფნის პარკიდან ამოიღო და მიწაზე დადო.

კაცმა გოჭს დახედა, გადაატრიალ-გადმოატრიალა და თქვა: მგონია, ჩვენია.

– დაუშვათ, ჩემი გოჭია, ეხლა რა, მანქანის შეკეთებასა და მის შესაკეებელ ფულს ხომ არა მთხოვთ?!

– მანქანის შესაკეთებელ ფულს არ გთხოვთ, ოღონდ ჩვენი მოსვლის მიზანია, ეს გოჭი უცებ ღორად არ გადაიქ-ცეს, ხოლო ჩვენ თანახმა ვართ, გოჭის ღირებულება გადაგიხადოთ.

– რას მოგვცემთ?

– თუ გოჭს გაგვიპუტავთ, გაგვისუფთავებთ, ავწონით და კილოში ხუთ ლარს მოგართმევთ. ამაზედ მეტად აღარ ვილაპარაკოთ!

– კარგი, ეგრე იყოს, მაინც კარგი ხალხი ყოფილხართ, ჩემი გოჭიანად რომ არ გაიპარეთ და არ შემაწერეთ, შემობრძანდით ეზოში.

ვალიკომ ჭიშკარი გამოაღო და ომარი თავისი მანქანით ძალად მასპინძლის ეზოში შევიდა.

– ვალიკომ გაზქურაზე წყლის მოზრდილი ქვაბი შემოდგა ასადუღებლად და ცოლს შესძახა, – მარგო შესატანებელი რაიმე. ეს ხალხი ასე უსაქმოდ ხომ არ იდგება, რაღაც მოგვიტანე! ყელი ხომ უნდა ჩავისველოთ.

– ბატონო ვალიკო, ახლახანს ავდექით სუფრიდან და ძალიან გთხოვთ, ნუ შეწუხდებით!

– აბა, ეგეთები არ იყოს, რაკიღა ჩემს კარ-მიდამოში ფეხი შემოაბიჯეთ, აწი მე ვიცი: თქვენ – სტუმარი და მე – მასპინძელი!

ამასობაში ვალიკოს ცოლმა მარგომ ეზოში გაშლილ მაგიდაზე შემოდო დედას პური, გუდის ყველი, მწვანილი, ოჯახური კარაქი, ცივად მოხარშული ხორცი და ერთი გრაფინი თეთრი ღვინო.

– აბა, შემოუსხდეთ სუფრას, სანამდის ეგ დედაკაცი მაგ გოჭს გაასუფთავებდეს და მოუვლიდეს, ამ სასმისით სტუმრებს გაუმარჯოს, არ აქვს მნიშვნელობა, დაუპატიჟებელია თუ არა, მთავარია, რომ დღეს ჩვენი გაცნობა განგებამ ინება.

– ბატონო მასპინძელო, თუ შესაძლებელია, ეს დედას პური ცოტათი შევათბოთ, შიგ კარაქი წავუსვათ, გუდის ყველი ჩავდოთ და ტარხუნაც ჩავუფინოთ, სტუდენტობისას სულ ამგვარ კახურ დელიკატესს მივირთმევდი თბილისში და ზოგჯერ ხაშლამასაც ვაყოლებდი. ჩვენი ახალგაზრდობის გახსენებისა იყოს, ჩემო ვალიკო. ვალიკო ფეხზე წამოდგა, დედას პური შუაზე გაჭრა და გაზის ფურნაკში დააწყო. ცოტა ხანში დაბრუნდა და პურებიც მოიტანა.

– ჩემო გიორგი, ღმერთს ვთხოვოთ, ამ ოჯახს არც სტუმარი გამოლეოდეს და არცა სტუმრის გასასტუმრებელი, წარმოთქვა ომარმა და ჭიქიდან ღვინო ოდნავ მოსვა.

– შენ, ვეჟო, – გაბრაზდა ვალიკო, – რაო, ღვინოს მიწუნებ? რა ხდება ღვინოს ბოლომდის რად არა სვამ?

– ვალიკო, ჩვენი მტერი ხარ თუ მოყვარე – მასპინძელი? ახლა გინდა სხვა გოჭებსაც ფეხები მოვტეხოთ? – ჰკითხა გიორგიმ.

– ვალიკო, მოდი, მომეხმარე, გაზქურიდან ქვაბი გადმომადგმევინე! ხომ ხედავ, მარტოკინა ვერ ვერევი?!

ვალიკოს გიორგი წაეხმარა, გაზქურიდან ქვაბი ჩამოდგეს, შემდგომ ვალიკომ განსვენებული გოჭი მთლიანად ჩააყურყუმალა ქვაბში, ამოიღო, იქვე მაგიდაზე დადო და ხელის სწართი მოძრაობით გოჭი ჯაგრისაგან

გაასუფთავა, მერმედ სახლიდან სამართებელი გამოიტანა, გოჭი ისევ ჩააყუდა მდუღარე წყალში, ამოიღო ქვაბიდან, სამართებელი გადაუსვა გოჭს ტანზე და ცოლს გამოსა-შიგნავად გადასცა. ქალმა გოჭი დანით იქვე მაგიდაზევე გამოშიგნა, გულ-ღვიძლი ცალკე დაწყო, ნაწლავები – ცალკე და დაიწყო მათი სიგრძეზე გაჭრა, მარგომ გიორგის სთხოვა: თუ შეიძლება, ეს ნაწლავები არ გაჭრათ, ისე გამისუფთავეთ, მაქედან კუპატები უნდა გავაკეთოო. მარგომ ნაწლავები საჭმლის სოდასა და ძმარში გარეცხა, ნაწლავები ცელოფნის პარკში გულ-ღვიძლთან ერთად მოათავსა და გოჭი ხელის სასწორზე ჩამოჰკიდა – სულ 11 კგ. ე.ი. 55 ლარი, პლუს შიგნეული და ჩემი შრომა ფეხქეშად იყოსო, – დასძინა ბოლოს.

გიორგიმ ფული დიასახლისს მიაწოდა, ხოლო ცელოფანში გახვეული გოჭი და შიგნეულის ნაზავი საბარგულში მოათავსა, მასპინძელს მადლობა გადაუხადა და ომართან ერთად მანქანაში მოთავსდა.

დაახლოებით ერთი საათის შემდგომ მანქანა გიორგის სახლის სადარბაზოს მიადგა. კაცებმა ერთად აიტანეს კახური მონაპოვარი, გიორგის კუთვნილი 60 ლიტ-რი ღვინო, გოჭი თავისი შიგნეულით, და დაღლილები სავარძელში მოთავსდნენ.

– ეხლა, ჩემო ომარ, ცოტათი შევისვენოთ და შევუდ-გეთ იმ 12 კაცის შერჩევას, რომლებსაც დღესვე უნდა შევეხმიანოთ, რათა ზეგისათვის რაიმე სხვა ღონისძიება არ დაგეგმონ.

– ეგ ყველაფერი კარგი, ჩემო გიორგი, მაგრამ ერთი ეს მითხარი: ზეგ რა სახის პურ-მარილით აპირებ ჩვენს გამასპინძლებას?

– ჩემო, ომარ, დღეს განგებამ თავად გვიკარნახა, თუ როგორ უნდა გავუმასპინძლდე სტუმრებს. მისი ნება უნდა აღსრულდეს, ზეგისთვის გვექნება მხოლოდ გოჭის პურ-მარილი, სუფრაზე გევქნება მხოლოდ გოჭისგან მომზადებული ნაწარმი, რომელსაც მხოლოდ ხაჭაპურები და თონის პურები შემოემატება, თავისი კიტრი-პომიდვრით, ყველით, ყოველგვარი ფხლისა და მისთანების გარეშე.

– მერე გვეყოფა, გიორგი, 12 კაცს მარტო გოჭის ხორცი?

– რატომაც არა. ერთი კაცისთვის საჭიროა დაახლოებით 450-500 გრამი შეჭამადი. ჩვენ კი მზა პროდუქტი თითქმის 8-9 კგ-მზე მეტი გამოგვდის მისი გადამუშავების შემდგომ, ე.ი. საშუალოდ კაცზე – 650 გრამი.

– ქათამი ან თევზი ხომ არ შეგვემატებინა, არ შევრცხვეთ!

– ნუ დარდობ, არ შევრცხვებით. ამ გოჭისაგან მოვამზადებ შემდეგ დელიკატესებს: გოჭის კისრიდან, ენიდან და შიგთავსიდან გავაკეთებ კუჭმაჭს, რომელიც მოთავსდება მოხარშულ ბრინჯზე, გოჭს მუცლის მხარეს ამოვაჭრით და დავამზადებთ კატლეტებს. ოდესმე გაგისინჯავს გოჭის კატლეტი? არასოდეს, ე.ი. დეგუსტაციის ჩატარება მოგიწევს; გოჭის გვერდებს ტრადიციულად გაზქურაში შევწვავთ, ხოლო გოჭის უკანა და წინა ძვლიან ნაწილს, ფეხებს, მოვხარშავ და ხაშლამად შემოგთავაზებთ; თუ ხასიათზე ვიქენი, გოჭის ნაწლავებს

ხორცის და ჯიგრის ნაზავით გამოვტენი და კუპატს დავამზადებ, შენ გოჭის ხორციდან და გულ-ღვიძლიდან გაკეთებული კუპატი გიჭამია ოდესმე? ხოლო გოჭის თავიდან, ხერხემლიდან და სხვა ძვლებზე შემორჩენილი ხორცისაგან გავაკეთებთ გოჭის თავის ლაბას, ძალზე გემრიელი საჭმელია. ე.ი. გოჭი ერთია და სულ ექვსი სხვადასხვა სახის დელიკატესსა გთავაზობთ. თან ისიამოვნებთ და თანაც ახალ პროდუქტებს დააგემოვნებთ, მოკლედ, გადაყოლილი ვარ თქვენზე.

– კეთილი, შენებურად იყოს, ჩემი ვალია, ეჭვი გამოთქვა, შენი ვალია, ეს ეჭვი ზეგ პრაქტიკულად გააქარწყლო.

– ჩემო კარგო, ამ სუფრის საქმე მოგვარებულია, ახლა შენთან ერთად მოსაწვევი სტუმრების სია მინდა შევადგინო. ჯერჯერობით არა უმეტეს 12 კაცისა. გიორგიმ მაგიდიდან აიღო ქაღალდი, საწერი კალამი; ჯერ თავისი და ომარის გვარები ჩამოწერა, შემდგომ ხმამაღლა წარმოთქვა გვარები და მომავალი სუფრის წევრების სიაში შეიტანა: ოთარ ფირცხალაიშვილი, რეზო ჩხუბიანაშვილი, თეიმურაზ გვასალია, კარლო ჯუმუტია, ბორის სარალიძე, დემურ ბახტაძე, ნაცლიშვილი იუზა, ქორქია პაატა, თაქთაქიშვილი დათო და ჩვენი საყვარელი ადამიანი ქუთაისიდან დუგლას კავთელაშვილი, ეგ ისეთი კაცია, მაგის სიის გარე დატოვება არაფრით არ შეიძლებაო.

– მერედა, ყოველ თვე ქუთაისიდან ჩამოსვლა არ გაუჭირდება?

– არ გაუჭირდება, პენსიონერი კაცისთვის ეს თავისებური გართობაც კი გამოვა.

– მერე ჩვენც ხომ მოგვიწევს ქუთაისში ჩასვლა?

– შე კაი დედმამიშვილო, ის კაცი წელიწადში 11-ჯერ მაინც უნდა ჩამოვიდეს და ჩვენ ერთხელ მაინც არ უნდა დავაფასოთ და ვესტუმროთ ქუთაისში?

– თუ რომელიმე მათგანმა მოსვლა ვერ შეძლო, მაშინ რა ვქნათ, ჩემო გიორგი?

– ე.ი. არ ჰქონია ბედი. ჩვენს საზოგადოებაში გაწევრიანებულთათვის წესად დავდებთ ჩემს საყვარელ აფორიზმს: მეგობარს შენობით უნდა ელაპარაკო და მოექცე თქვენობით. ესაა და ეს მეგობრის აღქმისა და გაგების ფორმულა.

– ნება თქვენია, როგორც უფროსი მეგობრები გვეტყვიან, ჩვენც ისე მოვიქცევით, აგერ, ბატონო, ჩემი 20 ლიტრი ღვინოს ფული, როგორც მეგობარსა და ჩვენი საზოგადოების წევრს, გთხოვ, გამომართვა!

– ჩემო ომარ, მეგობრობისა და ჩვენი ახალი გაერთიანების სახელით ეს ღვინო ჩემგან საჩუქრად მიიღე; მოკლედ „ფეშქაში“ იყოს და ზეგ, 3 ოქტომბერს, ზუსტად 5 საათზე, უმანქანოდ მობრძანდი ჩემთან და აქტიური მონაწილეობა მიიღე ახლად ჩამოყალიბებული საზოგადოების შემოქმედებით მუშაობაში. ომარმა ხელი ჩამოართვა მასპინძელს და ზეგამდე დაემშიდობა.

გიორგიმ საღამო ხანს სიაში შეყვანილ ყველა მეგობარს ტელეფონი დაურეკა, საქმის არსი გააცნო. უარი არავის უთქვამს.

* * *

3 ოქტომბერს ყველა დაუგვიანებლად შეიკრიბა გიორგის ბინაში. საღამოს 5 საათი იქნებოდა. გაიმართა დიდი მამაკაცური ხვევნა-კოცნა და ურთიერთგახსენება. ისმოდა სიტყვები: „სად დაიკარგე“, „რატომ არ მირეკავ“ და სხვა სასიყვარულო-სასაყვედურო გამოთქმები.

წინასწარ გაშლილ სუფრას ყველანი შემოუსხდნენ, მასპინძელი წამოდგა, ხელში ეჭირა ღვინის ჭიქა და თქვა:

– ჩვენს შეხვედრას გაუმარჯოს, მეგობრებო! ვგონებ, ტელეფონით ყველას გასაგებად აგიხსენით, ჩვენი საზოგადოების ჩამოყალიბების მიზეზი, მიზანი და შემდგომი ამოცანები, რათა ერთმანეთი უფრო ხშირად გავიხსენოთ და მოვინახულოთ, რადგან ასაკში შესულ ჩვენს შთამომავალს თავისი საქმე აქვს და ჩვენ უკვე არ ვჭირდებით, აქ ერთადერთი, ვისაც ვჭირდებით, ჩვენი ცოლებია და მათ, ალბათ, შემდგომ შეხვედრაზე ჩვენთან მოვიპატიჟებთ. ამ ჩვენი საზოგადოების თავშეყრისას და ჩვენთვის გამართული სუფრის მადლის დასაჭაშნიკებლად ვინც მზადა ხართ, ჩვენი საზოგადოების ჩამოყალიბებას ხელის აწევით მოეცით თანხმობა. ხელი ყველამ აწია.

– ამ ცელოფნის პარკში ჩაყრილია 11 დაკეცილი ქაღალდი. მათზე წელიწადის დროები აწერია, ოქტომბრის თვის გამოკლებით. ვისაც რომელი თვე შეგხვდებათ, იმ თვის ბოლო შაბათს ან კვირას იკისრებთ პურ-მარილს თქვენი შეძლებისა და ფანტაზიის შასაბამისად. პარკიდან წილის ამოღებას ვიწყებთ ალფაბეტის მიხედვით. ე.ი. პირველი წილი უნდა ამოიღოს ბატონმა დემურ ბახტაძემ. ხოლო შენ, რეზო, დააფიქსირებ ქაღალდზე, ვის რომელი

თვე შეხვდება და შემდგომ გასაჯაროვდება ყველას ასაკი, მისამართი, ტელეფონი, დაბადების დღე და თვე. ჩაინიშნე, დღეიდან შენა ხარ ამ გაერთიანების სწავლული მდივანი. დემურმს ხელი ჩაყო ცელოფნის პარკში და ამოიღო თებერვლის თვე; შემდგომ თეიმურაზ გვასალიას რიგი დადგა. მანაც ამოიღო თავისი წილი და შეხვდა მაისის თვე. ასე და ამგვარად თვეები დაინაწილეს. ბიჭებო, წილი უკვე ვყარეთ, პურ-მარილიც ჩემ მიერ ნაკურთხია და სუფრას შევეხმიანოთ. როგორც ჩვენი თავშეყრის წესები გვიკარ-ნახებს, სუფრის თამადა ოჯახის მასპინძელი უნდა იყოს, ე.ი. მე. სანამდის სუფრის თამადობას შევუდგებოდე, ამ სას-მისით ჩვენი თავშეყრის მიზეზისა უნდა შევსვა: დედის საშოდან ჩვენი გამომქაჩავი ბებია ქალების თამადობით, მათ რომ რაიმე შეშლოდათ, დედის საშოდან ჩვენი თავის გამოყოფის ჟამს, აქ დღეს ყველანი ერთად ვერ შევიკრი-ბებოდით და, ვინ იცის, რა სახისა და დონის ჭკუანაღრ-ძობები მოვევლინებოდით ამ ქვეყანას და ერთმანეთიც, შეიძლება, არ გვენახა.

ყველამ უსიტყვოდ გამოცალა სასმისი, შემდგომ გიორგი წამოდგა.

– სუფრასთან ჯდომის წესები ამგვარია: ღვინის სმას ერთმანეთს არ ვაძალებთ; ყანწს შეიარაღებაში არ ვიყენებთ; ვისაც რამდენი ჭიქის დალევის თავი აქვს; იმდენი დალიოს, რადგან მასპინძელია პასუხისმგებელი სტუმრის უსაფრთხოებაზე, რათა ის სახლში თავისი ფეხით მივიდეს, რადგან, სანამდის სტუმარი თავისი ფეხით სახლში არ მივა, მანამდის მასპინძელი აგებს მასზე პასუხს. აბა, ჩემ მიერ ჩამოყალიბებული წესების თანახმად,

ერთმანეთს ყურადღებით მოვუსმინოთ, რათა დღევანდელი დღის სიხარული და მადლი შევიცნოთ.

ამ სასმისით მინდა გისურვოთ ჯანმრთელობა, დიდხანს სიცოცხლე, სკლეროზისა და წამლების გარეშე, ხოლო აფთიაქში მხოლოდ ბუსუსიანი პრეზერვატივების შესაძენად მისულიყოთ. ყველას ჯანზე ყოფნას გისურვებთ თქვენი მეუღლეებით, შვილებით, შვილიშვილებითა და ყველა კეთილის მდომთან ერთად ალფაბეტის მიხედვით; ალავერდს დემურ ბახტაძესთან გადავდივარ. აბა, დასჭექე და გვითხარი ჩვენი შეხვედრის აღსანიშნავი სადღეგრძელო.

– დემური ფეხზე წამოდგა, ხელში პირამდე გალიცლიცებული ჭიქა ეჭირა.

ამ სასმისით ყველას დიდხანს სიცოცხლეს გიწინასწარმეტყველებთ და გულით გისურვებთ, ამ სიბერის ჟამს ყვერებზე ფეხი არ დაიბიჯოთ და ჰიპერტონია და სკლეროზი ახლოსაც არ გაიკაროთ.

– ახლა, ვგონებ, ჩემი ჯერია, წამოდგა ფეხზე თეიმურაზ გვასალია.

მე კი, ჩემის მხრივ, დღევანდელი შეხვედრის მონაწილეებს გისურვებთ: ყველა ჩვენგანს ბედის ავი ჩანაფიქრი გაეცურებინოს და ჩვენი ამქვეყნად ყოფნა დიდხანს დასამახსოვრებელი ყოფილიყოს ჩვენი შთამომავლობისა და ყველა ჩვენგანის კეთილის მდომისათვის.

შემდგომ ფეხზე წამოდგა ხელსასმისიანი დავით თაქთაქიშვილი.

– ამ ჭიქით მინდა, ყველა ჩვენგანის თავის დროზე გადარჩენილი სიცოცხლის სადღეგრძელო შემოგთავაზოთ, როდესაც ბედისწერამ ბოლომდის არ გაგვწირა და საშუალება მოგვცა, დღეს ამ სუფრაზე ერთურთს შევხვედროდით ბედზე დაუყვედრებლად.

ძვირფასო დუგლას, ვგრძნობ, თქვენი რიგია, შეგვაწიეთ ორიოდ სიტყვა!

– დუგლასი ფეხზე ცქვიტად წამოდგა: ყველას გისურვებთ ჯანმრთელობას, სიმშვიდეს, ზომა-წონის ცოდნას და სხვის საქმეში ცხვირის ჩაუყოფლობას, რათა ისე არ მოგვივიდეს, როგორც ერთ იგავ-არაკში ცხვარს მოუვიდა.

– გაგვანათლეთ, ბატონო!

– მოკლედ, საქმე ასე იყო: საჯიშე ცხენმა და მისმა პატრონმა წაიჩხუბეს. ცხენმა პატრონს უარი უთხრა მომსახურებაზე. პატრონი დაემუქრა, თუ ამ სამ დღეში შენს აზრზე დარჩები, დაგკლავ და შენს ხორცს სიამოვნებით მივირთმევო. ამ კამათს შეესწრო ცხვარი, ცხენს ურჩია, პატრონის ნებას დაჰყოლოდა, თორემ ეგ ისეთი თავნათქვამაა, დანაპირებს შეასრულებსო. ცხენმა ცხვარს დაუჯერა და პატრონს მომსახურებაზე დასთანხმდა, ხოლო ცხენის პატრონმა შერიგების აღსანიშნავად ცხვარი დაკლა. რაც შეეხება დასკვნებს, თქვენთვის მიმინდვია.

ჭკუის სასწავლი ფაქტია! აბა, ჩემო ომარ, თქვენ რა შინაარსის სადღეგრძელოს შემოგვთავაზებთ სუფრის წევრებს?

– ამ სასმისით მინდა შევსვა, – თან წელში გაიმართა ომარი და გაიღიმა, – იმ ბუნებით ხვადი მამაკაცის

სადღეგრძელო, რომელსაც ნაბახუსევზე ტყეში სეირნობისას წინ დედალი დათვი შემოხვდება, და ეს კაცი, შიშისგან ათვექტში ჩავარდნილი, ამ ძუ დათვს ისე გააუპატიურებს და ასიამოვნებს, რომ ეს დათვი, ამ კაცს ყოველწლიურად გაუპატიურების ადგილზე ერთ ქილა თაფლს დაუტოვებს საჩუქრად; ამ სასმისით მე მინდა შევსვა ჩვენი ცოლების მიერ „შეშინებული“ მამაკაცების სადღეგრძელო, რომლებიც თავიანთ მოვალეობას ახლაც არ ივიწყებენ და მათზე დაკისრებულ სავალდებულო ბეგარას ასე თუ ისე იხდიან და ასრულებენ.

– ყველაფერს ბედი უნდა, ძვირფასო სუფრის წევრებო, – შეეხმიანა თამადა, – დღეს ასეთ დათვს კი არა, ქალს ვეღარ ნახავ, რომ ეს ჩვენი მცდელობა, შრომა-გარჯა დაგვიფასოს. ჩემო იუზა, შეგვაწიე ორიოდ სიტყვა!

– აივსო ჭიქა და ფეხზე წამოდგა იუზა ნაცვლიშვილი: – ამ სასმისით გისურვებთ ჯანმრთელობას, მშვიდობიან გარემოში ყოფნას, ზომა-წონის ცოდნას, ამასთან ერთად, გისურვებთ, ჩვენი განვლილი წლები დროის პრეისკურანტით არ შეგვეფასებინოს, არც უკან დაგვჭირდეს მოხედვა, მხოლოდ წინ გვევლოს და ისიც მომავლის იმედით.

– აბა, ბორის, რას დაუმატებდი?

– მეც მანდა ვარ: ყველას გისურვებთ, ჩვენს ასაკში მაინც მართებული გზით გვევლოს და ამ გზაზე სიარულისთვის „ურმის გადაბრუნება არ დაგვჭირვებოდეს“ ჭკუის მოსახმობად და სწორი გზის მოსაძებნად!

– ძმაო ოთარ, შენ კი რა კუთხით ხედავ დღევანდელი თავშეყრისა და ზარ-ზეიმის დღეს?

– „შენ ჩემი ყლორტი ხარ, მე შენი ფესვები, შენ მაღლა მიიწევ, მე კი ძირს ვეშვები“. მოდით, ამ სასმისით ჩვენი ამქვეყნად ყოფნისა და ცხოვრების მიეთმოედის სადღეგრძელო შევსვათ. ეს ცხოვრება მხრებზე ისე მოგერგოთ, როგორც ჩვენს სულსა და ხორცს გაუხარდება, ოღონდ უმტკივნეულოდ.

აბა, ახლა რას გვეტყვის ჩვენი პაატა ქორქია, ჩვენთან შედარებით ეგ ახალგაზრდა უცოლშვილო კაცი, რომელსაც ჩვენსავით ოჯახის ყულფში არ აქვს თავი გაყოფილი და თავისუფალია ყოველგვარი გარეული თუ შინაური შემოტევებისაგან.

– ყველას და შემდგომ თაობებსაც ვუსურვებ ევოლუციის ხანაში ეცხოვროთ და არა რევოლუციისა, რათა ამქვეყნად ჩვენთვის განკუთვნილი წლები უდრტვინველად და ყოველგვარი არასაჭირო ვაჟკაცობის გარეშე განვლოს, რადგან დღეს მთავარია ტექნიკურ პროგრესზე დროულად გამოკიდება. ეგა წყვეტს ქვეყნის ბედს და არა სათუო ვაჟკაცობა და უტრაკო ყარაჩოღელობა; იმ დღეს გაზეთში წავიკითხე, თურმე, ლონდონში ჩვენზე 103 წლით ადრე გაუხსნიათ მეტროს სადგურები. ჩემი აზრით, მთავარია, ტექნიკურ პროგრესს არ ჩამოვრჩეთ და ფეხი ავუბათ.

– მერე და რას გვერჩი, ჩემო პაატა, ხომ ხედავ, 103 წლის შემდგომ ხომ მაინც დავეწიეთ ლონდონს, მიუხედავად იმისა, რომ მასზე გასწრების შანსი ჩვენს ნიჭიერ ხალხს ჰქონდა – პატრონი რომ ჰყოლოდა, ამას ადრეც მოახერხებდა.

– ამ სასმისით, – ფეხზე წამოდგა ლადო ჯუმუტია, – ყველა იმ კარგი ადამიანის სადღეგრძელო მინდა შევსვა, ვინც ლხინში მოსვლას გარემოებათა გამო დააგვიანებს, ოღონდ გაჭირვებაში აუცილებლად პირველი მივა; ეს იმ კაცს გაუმარჯოს, რომელიც ძმობაში უჭოჭმანოდ დაიშვება და ოჯახში უალიბოდ შეიშვება. ამასთანავე, ყველას გისურვებთ: ამ სუფრაზე ყველანი 100 წლისა თუ არა, 50 წლის შემდგომ მაინც შემხვედროდეთ ჩვენი მტრების ჯინაზე, შემხვედროდეთ ჯანზე მყოფნი და სხვათა დაუხმარებლად.

ვგონებ, ჩვენ მიერ შედგენილი სიის მიხედვით, შემაჯამებელი სადღეგრძელო მე უნდა ვთქვა, – წამოდგა რეზო ჩხუბიანაშვილი.

– ამ სასმისით მე მაინც სულიერების სადღეგრძელო მინდა შევსვა, რადგან უამისოდ ხორცი მძორია, ხე შეშაა, ბალახია, თივაა, სიყვარული ცარიელი სექსია. გარდა ურთიერთობა-მონატრებისა, დღეს ჩვენ აქ სულიერმა სიახლოვემ შეგვყარა, გაგვამხიარულა. ბედმა ჩვენ ამქვეყნად ყოფნის მადლი თავს დაგვაბერტყვა. მოკლედ, ამ სასმისით მე ვსვამ სულიერებისა და ჩვენი დიდხანს ამქვეყნად ყოფნის სადღეგრძელოს ურთიერთსიყვა-რულის თამადობით. ვისურვოთ, რომ მას ობი არასოდეს მოჰკიდებოდეს!

რადგან დღეს ურთიერთმონატრებისა და სიყვარუ-ლის სუფრაა გაშლილი, ამ სასმისით მინდა სიყვარულის სადღეგრძელო შემოგთავაზოთ, ამასთანავე, რადგანაც ჩვენი უკანასკნელი სიყვარული თუ შეჩვევა ჩვენი ცოლებია, სუფრის ყველა წევრი ვალდებულია, თავისი მეუღლის

ქალიშვილობის გვარი წარმოთქვას და მას უკან გამოხატოს თავისი მჭევრმეტყველება სადღეგრძელოში, სასურველია ლექსად; გახსოვდეთ, სიყვარულს პოეზია უხდება; დავიწყოთ ჩემგან.

ხელსასმისიანი გიორგი ფეხზე წამოდგა:

– ჩემი მეუღლე გახლავთ ეთერ შავლუხაშვილი-ყუფარაძისა. ოფიციალურად მყავს ორი შვილი, ქალ-ვაჟი, და ერთი შვილიშვილი ირაკლი. ამ სასმისით იმ ველურ და შეუცნობად სიყვარულს გაუმარჯოს, რომელიც ასაკს, დროისა და ყოფის ყივილს არ ემორჩილება და არ ეპუება. მაშ, მოდით, ფეხზე წამოდგომით შევსვათ საყვარელი ცოლების სადღეგრძელო, შევსვათ პირველი სიყვარულისა და, ბოლოს სამუდამოდ დაღვინებული გრძნობის სადღეგრძელო! მინდა დავამთავრო გალაკტიონის ლექსით:

„უსიყვარულოდ მზე არ სუფევს ცის კამარაზე, სიო არ დაჰქრის, ტყე არ კრთება სასიხარულოდ, უსიყვარულოდ არ არსებობს არც სილამაზე, არც უკვდავება არ არსებობს უსიყვარულოდ!“

სიყვარულის შემოპარული ბაცილა სიცოცხლესაც გვიხანგრძლივებს: უკეთესი იქნება, თუ ამ გრძნობების მატარებლები ჩვენზე მეტად ჩვენი საბოლოო ნავსაყუდელი – ჩვენი ცოლები – იქნებოდნენ.

– გთხოვთ, ეს სადღეგრძელო ფეხზე ადგომით შევსვათ!

– ბატონო, თამადავ, მე ეს სადღეგრძელო ასე გავიგე: ჩვენი აზრი გამოვთქვათ სიყვარულზე, მით უმეტეს, ვისაც ოფიციალურად ორი ცოლი ჰყავს და მათ შორის ერთიც

გამოცვლილი, ე.ი. სიყვარულის ალგორითმის ამოხსნაში ჩვენ თქვენზე მეტად გვიჩალიჩია.

„ჩვენს ნეტას გაუმარჯოს, ჩვენი გაგებით, ეს სულ ერთია, ვინც გვინატრია, სიყვარულს გაუმარჯოს თავისი ოცნებებით, რომელსაც სიყვარულზე არაერთხელ უქორწინია.“

– აბა, ძვირფასო ოთარ, გააგრძელეთ!.

– ჩემი ამჟამინდელი მეუღლე გახლავთ ჭარხალა-შვილი ლილი, შინაურებში კუკა; მყავს სამი ვაჟი ორი ცოლისაგან და ჯერჯერობით 8 შვილიშვილი. მოდით, ამ სასმისით იმ სიყვარულს გაუმარჯოს, რომელიც ყველა ჩვენდა უნებლიეთ ჩადენილ ცოდვებს ჩამოგვაწერს, შეგვინდობს და მაინც ჩვენს მეხსიერებაში ტკბილ მოსაგონრად დარჩება.

– რადგან ინიციატივა ორცოლიანებმა ავიღეთ, მომდევნო სადღეგრძელოს მე ვიტყვი, – წამოდგა ფეხზე დუგლასი, – ჩემი პირველი ცოლის სახელი და გვარის ოლგა ვინოგრადოვა, რომელთანაც ერთხანს ქ. მოსკოვში ვცხოვრობდი. მისგან ერთი ვაჟი და ორი შვილიშვილი მყავს; ახლა ქ. ქუთაისში გადმოვედი საცხოვრებლად და ცოლობასა და მეორე ნახევრობას მიწევს მოსაშვილი ლეილა; ამ სასმისით მინდა შევსვა იმ ტკბილი და გამყარებული სიყვარულის სადღეგრძელო, რომელსაც ვერაფერი შეცვლის, თუ სამშობლოსაგან მოშორებით ცხოვრობდა, იქაც შენი ერის, ქვეყნის მოვალეობა გაწევს კისერზე, გინდა, არ შერცხვე არც ქალსა და არცა კაცთან, მიუხედავად იმისა, რომ გული სამშობლოსაკენ მიგიწევს!

„იმ გრძნობათა ჭიდილს გაუმარჯოს დანამული თვალებით, რომელთა აჩრდილი სულ რომ უკან დაგყვება; ყველა იმ ქალბატონს გაუმარჯოს გრძნობათა ჭიდილით, რომელთა გულებიც ჩვენთვის უანგაროდ დადნება!“

– ძვირფასო რეზო, რუსეთში შენც გიცხოვრია, აბა, რასა გვეტყვი სიყვარულზე?

რეზო თვეხზე წამოდგა ხელში კამკამა სითხით სავსე ჭიქა უჭირავს:.

– ჩემი მეუღლე პირველი და, ალბათ, უკანასკნელი სიყვარული გახლავთ. კაპანაძე ელზა ჰქვია; მყავს ორი დაუქორწინებელი ვაჟიშვილი; მოდი, იმ საჩუქარს გაუმარჯოს, რომელიც ფაქტობრივად ჩვენი განსჯა-გარჯით არ დაგვიმსახურებია, განგების წყალობით მივიღეთ – სიყვარულს გაუმარჯოს! იგი არც იყიდება, არც იბეგრება.

„მშვიდობით მეგობარო, გტოვებ, ნახვამდის, მაგრამ ჩემ გულში შენი ძვირფასი სახე დარჩება, შეხვედრისათვის მოგვიხმობენ ანგელოზები განშორებაზე მოგონებანი როცა გაქრება. მშვიდობით ვამბობ, უხმოდ, უსიტყვოდ, ნუ დაიმწუხრებ სევდიან თვალებს, ახალა ღრუბლებით ამ ქვეყანაზე გარდაცვალება არ არის უცხო და არც სიცოცხლე, თუმცა ჩვენ ხშირად მისით ძალზე ვტყუვდებით“.

– ჩემო თეიმურაზ, როგორც ვიცი, ოქროს ქორწილი გადაიხადეთ, როგორც მახსოვს, შენი და შენი მეუღლის შეუღლებიდან 50 წელია გასული, აბა, რას იტყვი?!

– ამ სასმისით აი, რას ვადღეგრძელებ: თამადა ჩემი მეზობელია, ის საბავშვო ბაღიდან, ჩემი „ღამის ქოთნის“ მოზიარეა, ჩემი თანაკლასელია, ჩემი მეუღლე ნუნუ

ბენდუქიძეც ჩვენთან ერთად სწავლობდა. სკოლის დამთავრების შემდგომ დავქორწინდით. ამ ქორწინებას ჩვენი თამადა არ ესწრებოდა, იმხანად საქართველოში არ იმყოფებოდა; მას მერე 50 წელზე მეტი გავიდა. ამ სასმისით მინდა ჩემი საყვარელი და განუმეორებელი მეუღლის სიყვარულის სადღეგრძელო შევსვა. იგი არასოდეს დაძველდება, გახუნდება, არცა მოკვდება. ამ სასმისით მინდა იმ გრძნობას გაუმარჯოს, რომელიც სხვისთვის არაფერია, შენთვის კი ყველაფერია – განუსჯელ სიყვარულს გაუმარჯოს!

– ბორის, შენც, როგორცა მგონია, ორცოლიანებში გადიხარ, აბა, გვითხარი რაიმე სიყვარულზე. პირველი სიყვარული თუ გატაცებაა, ის რაღაცით ხომ უნდა განსხვავდებოდეს მეორე სიყვარულისგან?

– ჩემი მეუღლე გახლავთ ნინუა ცაცა, რომელთანაც ორი შვილი მყავს – ვაჟი და ქალი; რაც შეეხება პირველ ცოლს, იგი გარიგებით მყავდა მოყვანილი და თავიდანვე ვერ შევეწყვეთ; რატომღაც ის ჩენთვის უცხო და მიუღებელი გამოდგა და დროულად გავეყარე, რატომ მოხდა ასე, დღესაც ვერ გავრკვეულვარ.

– ჩემო ბორის, მეცნიერი კაცი ხარ, მექანიკოსი, ხოლო ჰორმონების, ე.ი. მდაბიურად სუნის, შეუთავსებლობისა ეტყობა, არაფერი გაგეგება; როდესაც ქალი მოგვწონს, პირველ ყოვლისა, ჩვენს ჰორმონებს უნდა მოეწონოთ ერთმანეთი და გამონახონ საერთო ენა. ზოგჯერ თითქოს გარეგნულად წყვილი ერთმანეთს შეეფერება, მაგრამ შინაგანად ერთმანეთს ვერ ეთვისებიან. ამიტომ, ჩემო ბორის, შენ გაგიმართლა, რომ ეგ კავშირი

დიდხანს არ გაგრძელებულა. ამ სასმისით მე მინდა შენი მეორე ნახევრის სადღეგრძელო შევსვა. მას მეც ვიცნობ, გისურვებ, შენგან კარგი ბაბუა დამდგარიყოს და ორივე შვილიშვილის ქორწილში ისეთ ჯანზე ყოფილიყო, რომ „კინტაური“ გეცეკვოთ...

– აბა, ბორის, ლექსად ხომ არ გვეტყვი სათქმელს შენს საყვარელ მეუღლეზედ? – ჰკითხა ერთ-ერთმა ამფსონმა.

„ყველა იმ ქალს გაუმარჯოს, ნაღდი სიყვარული ვისაც შეუძლია, გულში ჩაგიხუტებს, ოჯახს შექმნის და სიკვდილამდე შენი ერთგულია“. ჩვენს გრძნობებს გაუმარჯოს აწ და მარადის!

– ახლა კი, ჩემო დავით, შენი რიგია; რას ამბობს ფილოსოფოსთა ოჯახის წარმომადგენელი სიყვარულზე? საინტერესოს, ახალსა და დასახსომებელს რას გვეტყვი?

– თავის ბედს შერიგებულ ჩემს მეორე ნახევარს, ასევე ფილოსოფოს ლალი გვასალიას, გონება მოგვიანებით გაუნათდა და მიხვდა, რომ ერთობ გაუმართლა, რომ ჩემისთანა ანგელოზივით ბიჭი ხელში ჩაიგდო. შედეგად ერთმანეთს დღემდე შემოვრჩით და ვცხოვრობთ სიამტკბილობით, როგორც ჩვენს ასაკში მყოფთა ცოლქმრობას შეეფერება. რაც შეეხება ფილოსოფიის შეხედულობას სიყვარულზე, ამ სასიამოვნო, განუსჯელი და მოუთოკავი გრძნობის სადღეგრძელო მინდა შემოგთვაზოთ, რომელიც ასაკს, დროსა და არავითარ პოლიტიკურ ხედვას, ასევე, ეკონომიკურ შესაძლებლობებს არ ემორჩილება, თავს არ უხრის, ქედს არ უდრეკს.

ბარემ ისიც გვითხარი, რამდენი შვილი და შვილი-შვილი გყავთ.

გვყავს ქალ-ვაჟი და ორი შვილიშვილი.

რაც შეეხება სიყვარულის ლექსს, ერთ სტროფს შემოგთავაზებთ ჩვენი თამადის ლექსთა კრებულიდან „ყუფარიზმები“. იგი შექმნილია ე.წ. „პოპურ სიყვარულზე“:

„სიყვარულით ღადაობა ნუ, ნუ მოგვიშალოს ღმერთ-მა, თვალების შემონათება არ დაგვამადლოს ბედმა, სიყვარულის მოხმობისთვის ნუ შევაწუხებთ ღმერთსა, თუ სიყვარულსა შევიგრძნობთ, ღმერთია ჩვენთან ერთად. სიყვარულის თეორია ალგორითმებს არ სცნობს, სიყვარულის პარამეტრებს, მისი გაგებით, არ ცნობს, სიყვარული ტოლობასაც არა სცნობს, თუ მას ხელს არ აძლევს“.

ხედავ, ბატონო თამადავ, სად გამომადგა შენი ნაღვა-წი?!

– აბა, დემურ, შენი რიგია, სიყვარულს შეეხმიანო!

– ამ სასმისით მინდა ჩემთან ერთად შევსვა ჩემი მეუღლის მარინე გიგინეიშვილის სადღეგრძელო. მან მაჩუქა მამუკა, სხვათა შორის, შენი ნათლული, ბატონო თამადავ, და ქალიშვილი თინიკო.

რადგან სიყვარულთან ერთად ეს სადღეგრძელო ცოლებსაც ეხება, მინდა ეს ჭიქა თამადის ლექსთა კრებულის ფონზე დავცალო, რომელიც დასათაურებულია ასე: „თუ გინახავთ“. მას სრულიად ვეთანხმები:

„ცხოვრებაში გაგიმართლებს და მოიმკი ბლომად ნაყოფს, თუკი ცოლი შენს საქმეში უდიერად ცხვირს არ ჩაყოფს, თუკი ყურს არ გაგიჭედავს დღენიადაგ

ლაპარაკით, თუკი ჭკუას არ გასწავლის და არ გკვებავს უჟმურ ხრიკით, ამის გარდა, უნდა გითხრათ, არის დიდი გამართლება, როცა შვილებს უშენოდ ზრდის, აძლევს კიდეც განათლებას; თუ, ამასთან, ფულსაც არ გთხოვს, არის დიდზე დიდი საქმე, მაგრამ ცოლი ამდაგვარი თუ გინახავთ ნეტავ სადმე?“

დაბოლოს, ამ სასმისით მინდა შეუცნობადი სიყვარულის სადღეგრძელო შევსვა, რომელიც ყველას, ჩვენდა უნებლიეთ, ჩადენილ ცოდვებს ჩამოგვაწერს, არ გაგვწირავს და მარად ჩვენ გვერდით იქნება.

– ჩემო ლადო, ძალიან ჩუმად ზიხართ და გატრუნული ხარ; შემოგვაწოდე შენი აზრი სიყვარულის რაობაზე!

– ბატონო თამადა, ჩემს მეუღლეს ლამარა მუკბანიანს შენც კარგად იცნობ. მეც ორი შვილი მყავს – გოგო და ბიჭი. ჩემი აზრით, ზრუნვა, მოვალეობის შეცნობა არის ის, რაც ქმნის და ამაგრებს ამ გრძნობას, პასუხისმგებლობასაც აკისრებს; თავის მოვლა-პატრონობა, და თქვენ წარმოიდგინეთ, საჭირო დაფინანსება ხელს არ უშლის, პირიქით, ეხმარება და ამყარებს სანატრელ გრძნობებს, რომელსაც დღეს აქამომდე სიყვარული ჰქვია.

ერთსაც დავსძენ: რადგან თქვენი ლექსების წიგნი „ყუფარიზმები“ მეცა მაქვს წაკითხული და ზოგიერთი ლექსი კიდევაც დამამახსოვრდა, მეც მინდა ეს სადღეგრძელო თქვენ მიერ დაწერილი ლექსით შევალამაზო.

„სიყვარულზე ზრუნვა კაცმა სხვას არ უნდა ანდოს, გრძნობა-ვნების ლიმიტები მასთან უნდა ხარჯოს; ქალმაც სატრფოს ყოველგვარად ანგარიში უნდა ანდოს, ჰოდა, გამარჯვების ნიშნად, ვნებით ხშირად ხვანჯოს“.

– ბატონო თამადავ, თუ არა ვცდები, ახლა ჩემი რიგია, სიყვარულს რომ შევეხმიანო.

– კი, ბატონო, ჩემო იუზა, აქ მთავარია, ყველამ გამოთქვას თავისი აზრი, თუ რატომ გაჰყო თავი ამ საიდუმლო ყულფში, რომელსაც დაოჯახება ჰქვია.

– ამ სასმისით მე მინდა შევსვა ჩემი ფერიდე შანიძის სადღეგრძელო, რომელიც დღემდე ჩემთან ერთად ეწევა ოჯახის ჭაპანს; გვყავს ვაჟი და ორი შვილიშვილი ჯერჯერობით. ამ სასმისით მინდა შევსვა იმ სიყვარულის სადღეგრძელო, რომელიც, საიდან შემოგვეპარება, ვერ გაგვირკვევია, და მაინც ჩვენთან დარჩება.

მინდა ერთი ლექსი შემოგთავაზოთ, რომელიც ამ მაღალ გრძნობას ეხმიანება.

„მრავალ სიყვარულს ვეტრფოდი, მრავალმაც დამანელაო, მაგ სამიჯნურო თრილერებს მოვეშვი ნელა-ნელაო, მოშვება წლების ბრალია, ის ხან გვღალატობს, ორჭოფობს, ასაკის მოჭარბებისას საცდუნო ქალებს ვეღარ ვცნობთ“.

– ჩემო ომარ, გისმენთ!

– ჩემი მეუღლე გახლავთ შალვაშვილი ნუნუ, მყავს ქალიშვილი ნინო, ჯერ-ჯერობით ქმარგარეშე მდგომა-რეობაში ამ სასმისით მინდა სიყვარულის ნიჭის მქონე ხალხის სადღეგრძელო შევსვა. ნეტამც ეს ნიჭი დროულად გამოავლინოთ. ამასთან ერთად, მეც გამახსენდა ჩვენი თამადის ლექსი სიყვარულზე; ვეცდები, უშეცდომოდ ჩამოვარაკრაკო:

„სიყვარული გვიან არასოდეს არ არის, რას მიქვია დროთა გაყვანა-დაგვიანება, სიყვარული არავის ვალი და ვახში არ არის, თუ ის საჩუქარია და თანაც ღვთის ნება“.

– უცებ წამომაგონდება ხოლმე ყველაზე ბედნიერი თუ უბედური კაცი, დაუოჯახებელი პაატა ქორქია. რატომ ზარმაცობ და არ მოგყავს ცოლი, შენ რა, ყველაზე ჭკვიანი გგონია შენი თავი, ჩემო პაატა?!

– ბატონო თამადავ, მომეცი ნება, ჩემი ნააზრევი გაგიზიაროთ! ამ სასმისით მინდა შევსვა იმ სიყვარულის სადღეგრძელო, რომელიც ჩვენს გრძნობებს გვერდში ამოუდგება, წარმოაჩენს და ამაღლებს კვადრატში, კუბში. სამწუხაროდ, მე ასეთ სიყვარულს ჯერჯერობით ვერ ვეღირსე, ხოლო ისეთი სიყვარული, რომელიც ანგარებიანია და იძულებითია, მე არასოდეს მინდოდა. ასე, თუ რაიმე მოხდება ისეთი, რომელიც ჩემს ასაკის კაურებს შეეხმიანება, პირობას ვიძლევი, ყველანი ჩემს ქორწილში იქნებით მოპატიჟებულები. ამრიგად, სუფრის წევრების გათვალისწინებლად ვაცხადებ, რომ ჩემს ქორწილში ყველა თქვენგანი მეუღლესთან ერთად დაპატიჟებული ხართ, მაგრამ როდის მოხდება ეს, თავად არ ვიცი; თავის დროზე, პირობას გაძლევთ, შეგატყობინებთ!

– ბატონო თამადავ, ეს რავა ჩვენი პოლიტიკოსებივითაა ყველაფერი: გვპირდებიან, მაგრამ არ გვიმხელენ, დაპირებულს როდის ვეღირსებით.

ეგ რეპლიკა ოთარმა გადმოისროლა.

– ჩემო ოთარ, მაგის ქორწილს ადრე თუ გვიან მოვესწრებით, მე მინდა ერთი ორიგინალური სადღეგრძელო შემოგვთავაზოთ, რომელიც არა მგონია, ჩვენი

დაღვინებული ასაკის მიუხედავად, რომელიმე თქვენგანს შეესვას. ამ სასმისით ჩვენი სამყაროს სადღეგრძელო მინდა შევსვა, განსაკუთრებით მომავალში დასასახლებელი იმ პლანეტების თამადობით, რომლებიც მზის სისტემაშია მოქცეული.

დღევანდელი ტექნიკური პროგრესი იმის საშუალებას გვაძლევს, რომ მალე დადამიწის მოსახლეობის ნაწილი სხვა პლანეტებზე გადასახლდება, როგორც ეს მოხდა 1515 წელს, როდესაც ქრისტეფორე კოლუმბმა ამერიკის კონტინენტი აღმოაჩინა, რომელსაც შემდგომ მოჰყვა სხვა კონტინენტების – ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის – დასახლება და კოლონიზაცია.

ჩვენ იმ საუკუნეში ვცხოვრობთ, რომელ საუკუნეებშიც, პლანეტა მარსის კოლონიზაცია მოხდება და ჩვენი მიწაწყლის ხალხის წარმომადგენლებიც მოინდომებენ იქ ცხოვრებას. ასე რომ, მე ამ სამყაროს სადღეგრძელოს გთავაზობთ. ღმერთმა ნუ ქნას, რომ იქ რაღაც კატასტროფული ამოფრქვევები ან სხვა ჩვენთვის შეუცნობელი მოვლენები განვითარდეს.

– ჩვენი თამადა ყოველთვის გამოირჩეოდა საკითხებისადმი თავისი ორიგინალური მიდგომებით, და უნდა გითხრათ, რომ მე, ბორის სარალიძე, პირველად ვსვამ ამ სახის სადღეგრძელოს, მაშ, ჯერჯერობით გაუმარჯოს პლანეტა მარსს, რომელიც მზის სისტემაში შედის და ასე მოუთმენლად ელოდება ჩვენი მოქალაქეების გამოჩენას მის ტერიტორიაზე. ეს სიკეთეს მოუტანს ჩვენს მომდევნო თაობებს თუ ზიანს, ჯერჯერობით გაუგებარია.

– მეც პირველადა ვსვამ ამ სადღეგრძელოს, ბიჭებო, – ფეხზე წამოდგა ოთარი, – მაგრამ ერთი რამ მაინტერესებს, რა უნდა ვუთხრათ იქ მყოფ მოსახლეობას? მე საქართველოდან ვარო, რომ უთხრა, ვერ გაიგებს, ისევე დედამიწა უნდა მივუთითო ზოგადად, ე.ი. ჩვენმა ქართველობამ ჭირი მოგვჭამა, რადგან უკვე დედამიწის მოქალაქენი გავხდით.

– ეგ არაფერი, ჩემო ოთარ, – შეეპასუხა თამადა. თუ არ ვცდები, შენი წინაპრები გურულები იყვნენ და ლანჩხუთის ერთ-ერთ მიყრუებულ სოფელში ცხოვრობდნენ, შემდგომ მამაშენმა, ბატონმა მიშამ, ნიჭი გამოიჩინა, ჩააბარა სამედიცინო ინსტიტუტში, დატოვეს თბილისში სამუშაოდ და დაიწყო მუშაობა საავადმყოფოში. შენ და შენი ძმა რამაზი იქ ჩაისახეთ და გაჩნდით, და, როგორც ვიცი, თავი თბილისელებად მოგაქვთ, სოფლისკენ არც იხედებით; როგორც მახსოვს, მოსკოვში რომ ცხოვრობდი, თავს თბილისელად გვაცნობდი; ალჟირში რომ მუშაობდი, მაშინ სსრკ მოქალაქედ წარმოჩნდებოდი, ალბათ, მარსზე რომ გაეგზავნეთ, იქ დედამიწის მოქალაქედ გააცნობდი თავს იქაურებს. ასე რომ, სამშობლოს ცნება და მისდამი სიყვარული სხვა უფრო დიდი ღირებულებებით იცვლება, რადგან ჩვენს მომავალ თაობებს შეიძლება, რომელიმე სხვა გალაქტიკაში მოუწიოს ცხოვრება; მაშინ შენი შთამომავალი სხვა პლანეტის წარმომადგენელს მზის სისტემის წარმომადგენლად გააცნობს თავს; ასე რომ, მომავალში რა პერსპექტივა მოგველის ქართველებს, არავინ უწყის და ეს გაუაზრებელი პატრიოტიზმიც ალბათ, ჭირსა მოგვჭამს.

– ე.ი. როგორც ამ წინასწარმეტყველებიდან ვხვდებით, ქართველთა თავის გამოდებას ნაციონალიზმით მომავალში დედა ეტირება, თუ დედამიწაზე კატასტროფა ან მესამე მსოფლიო ომი არ დაიწყო და ყოველივე თავიდან დასაწყები არ გახდა; გამოდის, რომ ქართველობის გადასარჩენად არც ისე მომხიბვლელი ყოფილა მომავალი ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, ვინ იცის, ამ სასმისით, იქნებ, მეც თქვენთან ერთად ამ სამყაროს სადღეგრძელოს საქართველოს თამადობით უკანასკნელად ვსვამ და ოთარმა ღვინით სავსე ჭიქა გამოცალა.

– ბატონებო, წამოდგა ფეხზე ხელსასმისიანი დუგლასი, – ჩვენ არც ისე ასაკოვნები ვართ, როგორც ზოგს ეჩვენება, მაგრამ მე კარგად მახსოვს, ჩემს ბავშვობაში როგორ დაგრიალებდნენ ცხენებშებმული ფაეტონები, ეტლები, შეშით დატვირთული ხარ-კამეჩშებმული ურმები. გავიდა ათი წელი და ამ სახის ტრანსპორტი ქალაქში საერთოდ მოისპო, ხოლო შემდგომ სოფლადაც; გავა რაღაც 50-70 წელი და ქუჩაში მანქანებიც ის ეგზოტიკა იქნება, რასაც ჩვენში ცხენშებმული ეტლის დანახვა იწვევს დღეს. იმ დღეს ტელევიზიით აჩვენეს, თუ ერთი გამომგონებელი მის მიერ გამოგონილი ჩასაცმელი საფრენი მოწყობილობით როგორ ავითარებს საათში 150 კმ-ს, დაფრინავს 30-50 მეტრის სიმაღლეზე და საწვავი ჰყოფნის მხოლოდ 10 წუთს; თუ საწვავის პრობლემა მოგვარდა და, ალბათ, მოგვარდება კიდეც, უახლოეს 10-20 წელიწადში ვინღა ჩაჯდება მანქანაში, ვის უნდა ამხელა ჭედვაში ნერვების მოშლა; შევიძენთ ამ საფრენ აპარატს და გზას, რომელსაც უნდა მოვანდომოთ, დავუშვათ, ერთი

საათი, იმ მანძილს რაღაც 5 წუთში დავფარავთ. ამ სადღეგრძელოს პირველად ვსვამ: გაუმარჯოს სამყაროს, რადგან დღევანდელი დედამიწა უკვე თვალში გვეპატარავება, რადგან ის წარსულის გადმონაშთებითაა დამახინჯებული. ამ ახალი საფრენი აპარატის მფლობელს არც სადგომი დასჭირდება და არც ლიფტი, პირდაპირ აივნიდან შევა ბინაში.

შემდგომ იუზა წამოდგა ფეხზე, ჭიქაში კამკამა ღვინო ულიცლიცებდა.

– ბატონებო, ამ ჩვენი საზოგადოების ჩამოყალიბება-შექმნა თუნდაც იმიტომაც ღირდა, რომ ეს ორიგინალური სადღეგრძელო შეგვესვა. ამ სასმისით მინდა ჯერ სამყაროში მყოფი დასასახლებელი პლანეტების სადღეგრძელო შევსვა. გუშინ გაზეთში წავიკითხე, რომ აკეთებენ თვითმფრინავს, რომელიც ინგლისიდან ამერიკაში ჩაფრენას სულ რაღაც 30 წუთს მოანდომებს. თვითმფრინავი აფრინდება 20 კმ-ის შემდეგ უჰაერო სივრცეში იფრენს სადღაც 10-15 წუთს და იწყებს დაშვებას ამერიკის ჩვეულებრივ აეროპორტში. ოღონდ ესაა, ამ თვითმფრინავის აგება დღეს ძვირი ჯდება, რადგან ატმოსფეროს ხახუნის დასაძლევად მეტად გამძლე შენადნობი სჭირდება. ასე რომ, ჯერჯერობით მე ვსვამ ჩვენი მზის სისტემის სადღეგრძელოს; ვინ იცის, იქნება, ჩვენც მოგვიწიოს მარსზე ტურისტად გასეირნება.

– მოდით, მეც ვუერთდები ამ სადღეგრძელოს, – წამოდგა ფეხზე პაატა.

– იცით, რა მიკვირს, მეგობრებო, ადამიანმა ამ მოკლე დროში ამხელა ტექნიკურ პროგრესს მიაღწია,

მაგრამ მისი ბუნება რომ არ იცვლება?! მაინცდამაინც არც მისმა შეგნებამ, მრწამსმა, ყოფისადმი მიდგომამ განიცადა დიდი ცვლილება. ავიღოთ „ვაჰაბიზმი“, „შაჰიდები“, თანამედროვე ცნობიერების პირობებში როგორღა უნდა მოუწამლოთ მათ გონება, რომ სჯეროდეთ: თუ ისინი თვითმკვლელობას ჩაიდენენ და რამდენიმე მოწინააღმდეგე რჯულისა და აზროვნების სულს თან გაიყოლიებენ, იმქვეყნად ეგრევე სამოთხეში უვიზოდ მოხვდებიან. მოდი, სამყაროს გონიერ არსებებს გაუმარჯოს, რადგან უგნურება ისე მძლავრადაა ჩაკირული ზოგის ცნობიერებაში, რომ ამ სამყაროს გაქრობა თუ არა, დაჩმორება ნამდვილად შეუძლია.

– ჩემო დემურ, შენ რას გვეტყვი კარგს, დამამშვიდებულს, საიმედოს?

– ჩემო თამადავ, სამყაროს მშვიდად ყოფნა ვუსურვოთ, ყოველ ჩვენგანს – ბლომად ფული, კარგი ცხოვრება და ჯანმრთელობა, რათა ჩვენთვის განკუთვნილი წლები, დღეები და წუთები ჯიგრიანად გავატაროთ; ვინც წინააღმდეგია ამ სადღეგრძელოს ამდაგვარი ვარიანტისა, ნუ დალევს!

– ბიჭებო, – ფეხზე წამოდგა ლადო, – ამ სასმისით თამადის „ჩაკარტიჩკებულ“ სადღეგრძელოს გაუმარჯოს, ოღონდ ოპონირების ნებასაც ვითხოვთ. ჩვენი დღევანდელი მოვალეობაა, ადამიანთა კვლავწარმოებას, გამრავლებას მივხედოთ, ხოლო მომდევნო თაობები რა ჭკუაზე დადგებიან, ჩვენ ეს არ გვეხება და არც არავინ შეგვეკითხება. ჩვენთვის ისიც საკმარისია, თუ ისინი ჩვენს სურათებს ზოგჯერ დახედავენ და გაგვიხსენებენ.

– მეც ვუერთდები ამ სადღეგრძელოს, – ფეხზე წამოდგა თემური, – მოდით, ამ სამყაროს გაუმარჯოს, მშვიდობა და ურთიერთგაგება დამკვიდრებულიყო აწ და მარადის. თუ მშვიდობა არ იქნა ამ დედამიწაზე, ნანგრევებად იქცევა ყველაფერი და შემთხვევით გადარჩენილ ადამიანებს თავიდან მოუხდებათ ცხოვრების დაწყება. ამ სადღეგრძელოს მკვირცხლი გონების გურულები მშვიდობის სურვილის სახით სვამდნენ, რადგან შინაგანად გრძნობდნენ: მშვიდობის თვინიერ ყველა მცდელობა ფუჭია. მე, როგორც შვილიშვილებისა და შვილთაშვილის პატრონი, იმედის თვალით ვუყურებ ამ სამყაროს და, როგორც ამ გალაქტიკის შვილს, მშვიდობის სადღეგრძელო ფრიად და ფრიად მომწონს, ყოველგვარ პათეტიკურ სიტყვათა ამოუფრქვეველად.

– აბა, დიდებულო ფილოსოფოსო დავით, შენი ფილოსოფიური ხედვითა და აზროვნებით შეუერთდი ჩვენს განსჯად სადღეგრძელოს!

– დიახ, ბატონო თამადავ, როგორც გალაკტიონი იტყოდა, „იყო ღრმად ფილოსოფოსი, სახელად ერქვა სპინოზა, ის ქადაგებდა, რატომ სვამთ ამდენ არაყს და ღვინოსა“. ღვინის ბრალია, ასაკისა თუ ჩვენი თავშეყრით გამოწვეული სიხარულისა, არ ვიცი, ოღონდ მეც სიამოვნებით ვუერთდები, ერთის შეხედვით, ფილოსოფოსისათვის განსჯად სადღეგრძელოს. ჩვენ რა სახის და ჯილაგის შთამომავლებიც არ უნდა დავტოვოთ, სამყაროს წინასწარ ჩაფიქრებულ კანონზომიერებას ვერავინ გაექცევა. მოდით, ამ სამყაროს უკვდავებას გაუმარჯოს მისი შესაფერი ცოცხალი არსებებით და მისთვის შესაფერისი

ადამიანებით, რომლებიც რას მოიმოქმედებენ და როგორ წარმოჩნდებიან მომავალში, ამ სამყაროში არავინ უწყის. ამასთან ერთად, ღვინის სმა იმითაც არის მისაღები, რა აზრები მოგივა თავში, თავადაც არ უწყი.

– ნუ გეშინიათ, მეგობრებო! – ფეხზე წამოდგა ომარი, – მე არა მგონია, ადამიანის ცნობიერება შეიცვალოს, როგორც ყველა დროში, იმ დროსაც იქნებიან კარგი ხალხი, საშუალონი და ნაძირალები, როგორც წინა თაობებში იყო. ასე რომ, მომხვეჭელობის სურვილს, სხვაზე უკეთ ცხოვრების ძიების საშუალებასა და შურიანობას არაფერი ეშველება და ამას ვერავითარი ტექნიკური პირობების გაუმჯობესება და სხვა პლანეტაზე გადასახლება ვერ უშველის. ამიტომაცაა, მე ვსვამ ამ სამყაროს სადღეგრძელოს დედამიწის თამადობით და საქართველოსათვის პატივის მიგებით; თუ რა იქნება 100 ან 1000 წლის მერე, მე ეს დიდად არ მაღელვებს, მიუხედავად იმისა, რომ მეც თქვენთან ერთად შევსვამ ამ სამყაროს მომავლის სადღეგრძელოს.

– ეტყობა, ვისაც სურვილი ჰქონდა, ყველამ თქვა ამ ჯერზე თავისი სათქმელი, – ფეხზე წამოდგა ოთარი. – მე კი ამ პლანეტისა არაფერი მესმის და არც მაინტერესებს, მაინც ვერაფერს გავიგებ. ამიტომ ამ სადღეგრძელოს ლექსად შემოგთავაზებთ.

„მე დავიბადე დედამიწის სულ ციცქნა ბაღში, მადლობელი ვარ ამ სამოთხის, მიწის და ზეცის, მშვენიერების წალკოტს ვეყრდნობი მთასა თუ ბარში, შემყვარებია ყოველივე ამ ჩვენი ქვეყნის“.

– მადლობას მოგახსენებთ, ბიჭებო, ამ სადღეგრ-ძელოს შესმისა და მხარის დაჭერისთვის, – წამოდგა სავსე ჭიქით ფეხზე თამადა, – ახლა მინდა ქართული სუფრის სავალდებულო სადღეგრძელო შემოგთავაზოთ: ყველა უდროოდ წასულის ხსოვნა და არდავიწყება ყოფილიყოს, ჩვენი საყვარელი მშობლებისა და მეგობრების სადღეგრძელო ვთქვათ, რომლებმაც დედამიწის დაქცევას არ დაუცადეს და დროულად გადაბარგდნენ იმ სამყაროში, რომელში მოხვედრასაც ყველა თქვენგანს 100 წლის შემდეგ გისურვებთ!

– ისე, სიბერის ბრალია თუ დაღვინებისა, ვერ გეტყვით, ოღონდ, რაც ასაკი მემატება, უფრო მეტად დავიწყე საკუთარი მშობლების დაფასება. თურმე, რა დიდებული მშობლები გვყოლია და ამას თავის დროზე ვერ ვაცნობიერებდით, ზოგიერთი თქვენგანის მშობლებს კიდევაც შევესწარი და კარგადაც ვაცნობიერებდი, მაგრამ ისინი, 50-60 წლისანი რომ გარდაიცვალნენ, დიდად გული არ დაგვწყვეტია, რადგან ეს ასაკი მაშინ ძალზე დიდი გვეჩვენებოდა; დღეს 70-80 წლის ადამიანს რომ დავინახავ, შედარებით ახალგაზრდად მეჩვენება ჩემი თავი და არც იმქვეყნისთვის მემეტება; მოდით, ბიჭებო, ყოველ-გვარი ზედმეტი ემოციების გარეშე ერთხმად შევსვათ ეს სადღეგრძელო, მათ შორის ყველა ჩვენი წინაპრისა, რომლებმაც წამებისა და ჭაპანწყვეტის ფასად ასე თუ ისე ეს ქვეყანა შეინარჩუნეს, გადაჯიშება-გადაშენებას გადაარ-ჩინეს და დღემდე მოიტანეს. მე მინდა, ყველა ჩვენგანმა ქედი მოიხაროს მათი ხსოვნის წინაშე, იმისდა მიუხედავად, რომ უამრავი შეცდომა-გადაცდენები აქვთ დაშვებული

დღევანდელი გადასახედიდან. როგორც ამბობენ, ქართულ ლხინ-დროსტარებას მცირეოდენი სევდის გაურევლად ლხინი არ ეთქმის. აბა, ამ ერთხელ მაინც ყოველგვარი განმარტების დაურთავად შევსვათ ეს სადღეგრძელო!

ყველანი ფეხზე წამოდგნენ და ჭიქების მიუჭახუნებლად შესვეს ეს სადღეგრძელო. ქართველებს ბევრი მომდევნო სავალდებულო სადღეგრძელო გვაქვს, როგორიცაა, მაგალითად, „მომავალი თაობის სადღეგრძელო“, ჩვენი რწმენის, ჩვენი ქრისტიანობის სადღეგრძელო, ქართველი ქალის, ტრადიციების სადღეგრძელო, ადათწესების, ლამაზი მოგონებებისა და მრავალი სხვა. ამიტომაც მე მინდა ისეთი სადღეგრძელო შემოგთავაზოთ, რომელიც გონიერებაზე წიხლის დაჭერას გვაიძულებს და ამით მეგობრულ შეხლა-შემოხლასაც ხელს გამოვკრავთ.

მორიგი სასმისი ამგვარია: მინდა შემოგთავაზოთ ქართული პოლიტიკის სადღეგრძელო, რომელიც ჩემი გადასახედიდან მე არ მომწონს, მაგრამ მან, ავად თუ კარგად, დღემდე მოგვიყვანა.

– რად გვინდა, გიორგი, ეს პოლიტიკა. ეგ სუფრაა თუ პოლიტბიუროს სხდომა? გამოთქვა პროტესტი ომარმა.

– რატომაც არ გვინდა, – წამოდგა ფეხზე ოთარი, – პოლიტიკის გარეშე ვერც ტექნიკური პროგრესი გაიქაჩება და ვერც სხვა პლანეტებზე გავფრინდებით. მე მხარს ვუჭერ თამადას, ჩემი სურვილია, პოლიტიკაზეც ვისაუბროთ და შევსვათ სადღეგრძელოები, რადგან ორიგინალურია სუფრა და ორიგინალური სადღეგრძელოებიც იყოს, ამასთან

ერთად, რაღაცით ხომ უნდა გამოირჩეოდეს, ეს სუფრა რომ დავიმახსოვროთ?

– პოლიტიკის მთელი უბედურებაა ისაა, რომ ყველას ჰგონია, ამ დარგში რაღაცა იცის. მაგალითად, არც ერთმა ჩვენგანმა სწორი სიარული, ჯდომა, ჭამა არ ვიცით; კიდევ მეტი, ხეირიანად არც მოთსმა გვეხერხება, ხოლო პოლიტიკოსობას კი ყველანი ვცდილობთ.

– კარგი გიორგი, – გაეცინა ოთარს, – გეთანხმები, რომ კლასიკური მოხდენილი სიარული და მარჯვენა მხარეს, გზის გაკვლევა არ ვიცით, გეთანხმები, სათანადო პურმარილის მირთმევა არ ვიცით ან ცოტათი გვეშლება, მაგრამ ეს 75 წელია მოშარდვის მეტს რას ვაკეთებთ, ამ სიბერეში სულ მცირე ხუთჯერ მაინც ვშარდავთ დღეში და ნუთუ ეგ საქმეც აღარ ვიცით? სწორი არა ვარ, ბიჭებო?

– ჩემო ოთარ და თანამეინახენო, გულახდილად მითხარით, თუნდაც ახალგაზრდობაში, რამდენჯერ გადაგიფსამთ უნიტაზზე, შარვალზე და რამდენჯერ მოუცია შენიშვნა თქვენთვის დედებს, მეორე ნახევრებს, აბა და გაიხსენეთ!

– კი, ბატონო, ყოფილა შემთხვევები, არ უარვყოფთ, განსაკუთრებით, როდესაც „პახმელიაზე“ ვართ, შენ რას გვირჩევ, ერთი გაგვაცნობიერე, ხომ ვიცით, ამ საკითხს შემთხვევით არ წამოჭრიდი, რაღაც საიდუმლო იცი მოთსმისა და არ გვიმხელ. აბა, გაგვანათლე, როგორ უნდა მოვშარდოთ ისე, რის შარვლის დასველება ერთხელ და სამუდამოდ გამოვრიცხოთ.

– ე.ი. როგორცა ვხვდები, სუფრის წევრები ერთხმად აღიარებთ ამ საქმეში თქვენს უცოდინარობას და თითსა

კაკვავთ. ამიტომ, როგორც ძველ მეგობრებს, უფასოდ გასწავლით, მიუხედავად იმის ცოდნისა, რომ უფასოდ სწავლებას არავინ დაგიმადლის. მოშარდვის დროს შარვლიდან ცოცართან ერთად ყვერებიც უნდა ამოიღოთ, საჩვენებელი თითით მიმართულება უნდა მისცე, რათა უნიტაზსა და შარვალზე არ დააფსათ. როდესაც შარდვას მორჩებით, დაბერტყეთ თქვენი მამაკაცური ღირსება და შეინახეთ შარვალში, გასაგებია? ეს დაიმახსოვრეთ და წინასწარ, დაუსწრებლად ვიღებ თქვენი ცოლების მადლობას.

– გავითვალისწინებთ, ბატონო თამადავ, გავიზიარებთ შენს გამოცდილებას, მაგრამ ერთი რამ მაინტერესებს: ამ აღმოჩენას თავად მიაგენი თუ ვინმემ გიკარნახა, გასწავლა?

– ჩემო ბორის, სიახლის მოყვარული კაცი ხარ, ე.ი. სხვაზე უფრო მეტად დაკვირვებული უნდა იყო, თანაც ჩემზე კარგად იცი: ხუთოსნებს არაფერი ხელშესავლები არ აღმოუჩენიათ ამქვეყნად, რადგან ისინი მრავალმხრივი განათლებით არიან დაპროგრამებულნი და წინასწარ იციან, რისი გაკეთება შეიძლება, რისი არა. ისინი სიახლის შეცნობაზე დიდად თავს არ იტკიებენ. ამ ქვეყანაზე ყველაფერი ახალი და საუკეთესო ზარმაცი მამაკაცების შექმნილია; როდესაც ცოლებმა ემანსიპაციას გემო გაუგეს, სარეცხის რეცხვასა და ბავშვის მოვლაში ქმარი საქმეში გაიყვანეს, მამაკაცი იძულებული გახდა, სარეცხის მანქანა და ბავშვის პამპერსი გამოეგონებინა. ასე რომ, ტექნიკურ წინსვლაში ქალებს მიუძღვით ლომის წილი, რადგან ფული უმთავრესად კეთდება ბავშვებისა და ქალების

მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე. ამასთანავე, პროგ-რესს ეხმიანება ჩემ მიერ შემოთავაზებული წესიც.

– ჩემო გიორგი, შენ მიერ შემოთავაზებული მოფსმის ეგ წესიც უკვე მოძველებულია, – ფეხზე წამოდგა ოთარი, მე უკეთესს გასწავლით: მე პირდაპირ პირსაბან ნიჟარაში ვშარდავ ყოველგვარი ყვერების ამოღებით და ამდენი ჩალიჩი მოსაშარდავად აღარ მჭირდება, ოღონდ ესაა, ცოლმა და შინაურებმა არ უნდა შეგამჩნიონ, თორემ ატყდება ერთი ალიაქოთი.

– კარგი, გეთანხმები, რომ მოშარდვა არ ვიცით, – დაეთანხმა ლადო, – მაგრამ ჭამის საკითხი როგორ აღვიქვათ?

– როდესაც მეუღლე გემრიელ საჭმელს გიმზადებთ, ის გემო უნდა გაიხანგრძლივოთ და დააფასოთ, მაგალითად, როდესაც ხაშლამას მიირთმევთ, ამ ხორცის მაცერაცია ბოლომდის უნდა მოახდინოთ, 1-2 წუთი პირში უნდა აგლახაოთ, რათა მისი გემო მეტხანს შემოგრჩეთ და შემდგომ უნდა დააყოლოთ ღვინო, ჩაი ან სხვა სასმელ-საჭმელი.

– გიორგი, კახელებსა და აღმოსავლეთ საქართვე-ლოში ლეკებში რომ ხაშლამას მიირთმევ, გაცილებით გემრიელია, ვიდრე დასავლეთ საქართველოში მოხარ-შული ხორცი, ალბათ, ეს კლიმატის ბრალია, – გამოთქვა თავისი აზრი პაატა ქორქიამ.

– მოკლედ, თავს არ შეგაწყენთ, ხაშლამის მოსახარ-შავად ყველაზე უფრო მისაღებია მწიფე საქონლის, ხარის ხორცი, მეორე-მესამე კატეგორიაა ძარღვიანი და ძვლიანი ნაწილი. თქვენ, ალბათ, არც ის გეცოდინებათ, როგორ

უნდა განასხვაოთ ხარისა და ძროხის ხორცი. ხარის ხორცს ნეკნები ამობურცული აქვს, ხოლო ძროხისას თითქოს ჩაწეული. ხაშლამისათვის ხორცი უნდა დაიჭრეს მოზრდილ ნაჭრებად, მათი დანაწევრება შეიძლება მოხარშვის შემდეგაც. მოკლედ, სახაშლამე ხორცი თანდათანობით და არა ერთდროულად უნდა ჩავყაროთ მდუღარე წყალში, რათა მოხდეს ხორცის გარეთა უჯრედების დაცობა; როდესაც ყველა ნაჭერს მოათავსებთ ქაფქაფა ცხელ წყალში, ადუღეთ იგი მაღალ ტემპერატურაზე. ბოლოს ჩაყრილი ხორცის დროიდან 15-20 წუთის შემდეგ ცეცხლს ჩაუწიეთ და ხარშეთ ნელ ცეცხლზე იმ დონემდე, რომ ხაშლამის ნაჭერს თეფშზე როცა დააგდებთ, უნდა შეხტეს, თუ „ტყლუმპი“ დაიძახა, ის გადახარშულია.

საინტერესოა, – თქვა პაატა ქორქიამ, – ამ ტექნოლოგიას მეგრელებსაც ვასწავლი ზუგდიდში, თორემ ყველაფერ ამას ნიგვზის საწებელში ამოსვრიან და ხორცს თავის გემოს უკარგავენ.

– ბატონო თამადავ, პოლიტიკაზე საუბარს შეგვპირდი და კულინარიაზე საუბარი გამოგივიდა!

– ჩემო ოთარ, ეკონომიკისა და ახალი ტექნოლოგიების გარეშე ვერც ერთი პოლიტიკა ვერ იარსებებს, ხოლო კულინარია ეკონომიკის ნაწილია. ნედლეული რაც შეიძლება რაციონალურად უნდა გამოვიყენოთ, მისი კვებითი ღირებულებისთვის ზიანის მიუყენებლად.

– ამ თავშეყრიდან მე პირადად რაღაც-რაღაცები ვისწავლე, ახლა დროა, ჩემო გიორგი, პოლიტიკაშიც გავნათლდეთ.

– ჩემო ოთარ, ამ სუფრაზე ჩვენი აზრთა გაზიარება რომ ყბედობაში არ გადაიზარდოს, მე სოკრატეს მსგავსად დავსვამ კითხვებს: თქვენ ან უნდა დამეთანხმოთ, ან – არა. ანუ მე რომ ვიყო ხელისუფლებაში, ამ საკითხს ამდაგვარად გადავწყვეტდი და არა ისე, „მასმედიაში“ რომ გაქანებული ყბედობაა და, კორესპონდენტიდან დაწყებული რესპონდენტით დამთავრებული, ყველა თავის ჭკვიანად მოჩვენებას ცდილობს და ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიან, მოკლედ, გასაგებია თამაშის წესები. ვგონებ, სჯობს, ერთმანეთს აზრის დაფიქსირება ვაცალოთ და თან სადღეგრძელოებსაც მივხედოთ, რათა ყელი არ გაშრეს და საუბრის ხალისი არ დავკარგოთ. პირველი კითხვა ასეთი მაქვს სუფრის წევრებთან: ვინ იყო ყველაზე კარგი დამპყრობელი საქართველოსთვის და ჩვენ ამ დამპყრობელთან ურთიერთობაში მოთმინება და წინდახედულება რომ გამოგვეჩინა, ქართული მარიფათი რომ გამოგვეყენებინა, დღეს ქართველთა რაოდენობა ერთ-ნახევარ მილიარდს გადააჭარბებდა.

– ალბათ, რუსეთი.

– ძვირფასო ოთარ, შენი აზრი მოგვაწოდეთ, თუ შეიძლება: შენ „რასიზმი“ გავლილი გაქვს, რუსეთში გარკვეული პერიოდი ცხოვრობდი და ერთგვარი ცოდნა და გამოცდილება, რომელსაც ფლობ დღეს, იქაური ყოფის დამსახურებაა.

– დამპყრობელი, ჩემო გიორგი, ყველა ერთი და იგივე ოხერია, მაგრამ რუსები, ალბათ, სხვა დამპყრობლებს იმითი სჯობდნენ, რომ სარწმუნოება და რწმენა ერთი გვქონდა, მაგრამ დამპყრობლის ყველა სხვა

მახასიათებელი ჰქონდათ და, თუ მიზეზს მოიხელთებდნენ, იცოცხლე, შემთხვევას არ გაუშვებდენ ხელიდან ჩვენს დასაჩაგრავად. მით უმეტეს, რომ ჩვენი უჭკუო თავადებისა და მეფის შთამომავლების ურთიერთდაპირისპირებას საშველი არ დაადგა.

– შენ რას იტყვი, ბორია, შენც გარკვეულ ხანს ცხოვრობდი რუსეთში.

– რუს ხალხზე ცუდის თქმა ნამდვილად არ შემიძლია, ის სიკეთე, რაც მათ თავის დროზე ჩემთვის გუკეთებიათ, მაშინ, როდესაც უახლოესი ქართველებიც კი კვანტს მიდებდნენ, ჩემგან რუს ხალხზე აუგის თქმა უმადურობა იქნებოდა.

– კარგი, რუსები კეთილ პატრონებად მივიჩნიეთ, ვაღიარეთ, რომ კარგი დამპყრობლები იყვნენ, მეორე ვინ იყო კარგი დამპყრობელი თითქმის ორასი წელი რომ თავზე გვასხდნენ, ბატონო რეზო?

– ალბათ, მონღოლები, ოღონდ რატომ?!

– ყველა პატრიოტის ვალია არა უგუნური წინააღმ-დეგობის გაწევა, არამედ მოჩვენებითი მორჩილება, ერის გამრავლება, ტრადიციებისა და ენის შენარჩუნება, რადგან, ადრე თუ გვიან, იმპერიას დედა ეტირება. მონღოლები რომ შემოვიდნენ საქართველოში, გვითხრეს: ერთხელ ჩავატარებთ მოსახლეობის აღრიცხვას, ვთქვათ, თითო კომლმა ერთი ცხვარი უნდა გადაიხადოს; 10 კომლიდან ერთი კომლის წევრმა ჯარში უნდა იმსახუროსო. ისინი სოფლებში არ შემოდიოდნენ, სოფლის განაპირას ცხოვრობდნენ და ჩვენს საქმიანობასა და სარწმუნოებაში არ ერეოდნენ.

ეგრეთ წოდებული რუსი დამპყრობლები საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს, თუ გეყოლებოდა სამი შვილი, ბინას უფასოდ და ურიგოდ გაძლევდნენ; თუ გეყოლებოდა შვიდი შვილი და მეტი, ქალს გმირი დედის წოდებას ანიჭებდნენ. ამ წოდებას კი ახლდა გარკვეული დაფინანსება, გარკვეული დახმარებები, ხოლო ათი შვილის ყოლის შემთხვევაში „უაზ“ ტიპის მიკროავტობუსს იძლეოდნენ საჩუქრად. მეტი რა სიკეთე უნდა გაგიკეთოს დამპყრობლებმა. ამასთან ერთად, არ გშიოდა, არ გწყუროდა, სამსახური გქონდა, მეტს რა სიკეთესა სთხოვ დამპყრობელს?! ხოლო იყვნენ ე.წ. ერის შვილები, რომლებიც პატრიოტობაზე დებდენ თავს, ხოლო ციხეში მოხვედრას არ ერიდებოდნენ. სწორედ ასეთი შემთხ-ვევითი, უტრაკო ყარაჩოღელები მოვიდნენ 1989 წელს ქვეყნის სათავეში.

– ამ აზრებში არ გეთანხმები, – წამოდგა ფეხზე ოთარი.

– ყველა ერთი კაცის ჭკუაზე ვერ იცხოვრებს. ჩემი ბუნებრივი მოწოდებაა, ისა ვთქვა, რაც დღეს მიმაჩნია სამართლიანად და ამის გამო არ უნდა დამიჭირო და მომსპო. რამდენი ადამიანი დახვრიტეს 1930-იან წლებში უმიზეზოდ.

– ისინი იმიტომ დახვრიტეს, ჩემო ოთარ, რომ ზოგს სხვაზე უკეთესი საცხოვრებელი, სამსახური, ლამაზი ცოლი ჰყავდა; შენმა მოშურნე ახლობლებმა ვითომც შენი კეთილის მდომმა ქართველებმა „ანონიმკა“ დაწერეს. ე.ი. იმავე ქართული ჯიშისა და მოდგმის ხალხმა ჩაგიშვეს, რათა შენი ქონება ხელში ჩაეგდოთ და კარიერა წარმატება

ჰქონოდათ. ე.ი. აქ დამნაშავე რუსები კი არ არიან, არამედ შენი ვაიმეგობარი ქართველები და გრძელი ენა, რომელზედაც კბილის დაჭერა არ ვიცით. თუ ენას კბილი დავაჭირეთ, მაშინ ხომ ვერ წარმოვჩნდებით?!

– სადაც შენც მართალი ხარ, ჩემო გიორგი, მაგრამ ქართველმა ხალხმა უდიდესი ხარკი გაიღო როგორც მეორე მსოფლიო ომში, ასევე 1937 წლის რეპრესიებში.

– ჩემო თეიმურაზ, ვიცი, არც შენ გევასება რუსების მაშინდელი მთავრობა, იმისდა მიუხედავად, თუ რაიმე მიღწეული გაქვს ცხოვრებაში, მათთან ურთიერთობის შედეგია. მოდი, ასეთ კითხვას გისვამთ ყველას: რომ არ ყოფილიყო 1937 წლის რეპრესიები, მაშინ არ იქნებოდა 1945 წლის 9 მაისი, რომელიც გერმანიის ფაშიზმზე საბჭოთა კავშირის გამარჯვებით დასრულდა, რომელს აირჩევდით?

– ასე რადიკალური კითხვის დასმა არ შეიძლება, ვინ იცის, შემდგომ გერმანელები როგორ მოიქცეოდნენ, იქნებ, დღეს ღვინოსათვის თავი დაგვენებებინა და გერმანული ლუდით გაგვეხეთქა მუცლები? – გაეღიმა დავითს.

– ისე, რომ დაუფიქრდები, რა საინტერესოა ეს ცხოვრება და განვლილი წლების ანალიზი. დღეს ირკვევა: ჰიტლერს ომი რომ 2-3 წლით გვიან დაეწყო, ბირთვული იარაღის გაკეთებას ასწრებდა და მთელი მსოფლიოს ძალაუფლება მის ხელში აღმოჩნდებოდა. ეტყობა, განგებას ეს თავის დროზე გამორჩა და ჰიტლერს ომი უდროოდ დააწყებინა საბჭოთა კავშირის, წინააღმდეგ იმ დროს, როდესაც ჰიტლერი ინგლისის იმპერიის ქალაქებს

უმოწყალოდ ბომბავდა, ევროპა მთლიანად შემოერთებული არ ჰყავდა, ხოლო იმდროინდელ საბჭოთა კავშირთან ნორმალური ურთიერთობა ჰქონდა და სტალინი მასთან საერთო ენის გამონახვას ცდილობდა, რადგან ერთი ხელმძღვანელობდა სოციალისტურ წყობას და მის პოსტულატებს ამკვიდრებდა, ხოლო მეორე ნაციონალ-სოციალისტი იყო და თავისი გეგმის აღსრულებას ცდილობდა.

ამ დროს ჰიტლერს თავში რაღაცამ დაარტყა და სრულიად უმიზეზოდ თავს ესხმის სსრ კავშირს. ეტყობა, ამ სამყაროს რაღაც უხილავი ძალა მართავს, თორემ ასე უხეში და გაუმართლებელი შეცდომა ჰიტლერს არ უნდა დაეშვა.

– ჩემო დავით, გთხოვ, დღევანდელი გადასახედიდან განვლილი წლების კაპიტალურ რემონტს ნუ შევეცდებით.

– დღევანდელი გადასახედიდან, რა თქმა უნდა, ჩვენთან ერთად რუსების გამარჯვება სჯობდა ამხანაგ სტალინის თამადობით, მაგრამ ხომ არსებობდა მეორე უკიდურესობაც: შეიძლებოდა თერმობირთვული ომი დაგვეწყო ამერიკასთან.

– რა იქნებოდა ხვალ, ჩემო სუფრის წევრებო არავინ უწყის, მაგრამ, ჩვენ რომ ერის გამრავლებისათვის მეტი ყურადღება მიგვექცია, გაცილებით უკეთ ვიგრძნობდით თავს იმ საბჭოთა კავშირშიც. მე წინასწარ გავითვალისწინე ჩვენი სუფრის სალაპარაკო თემა და განსასჯელი საკითხები, რადგან საკუთარ კადრებს, ე.ი. თქვენ, ძალიან კარგად გიცნობთ და კომპიუტერზეც ამოვბეჭდე ყველა თქვენგანისთვის საჯილაო ცხრილი, რომელსაც ახლა დაგირიგებთ,

რათა საუბარი და კამათი უფრო ეშხიანი და საქმიანი გამოვიდეს. გიორგი წამოდგა, მეორე ოთახში გავიდა და ამობეჭდილი ქაღალდები სუფრის წევრებს დაურიგა.

– მეგობრებო, სანამდის ამ ცხრილების განსჯას დავიწყებდეთ, ერთი სადღეგრძელო უნდა შევსვა, რათა ყელი არ გაშრეს. იმ სასმისით მომავალი ქართველების სადღეგრძელო მინდა ვთქვა, როგორც ჩვენ წარმოგვიდ-გენია, ვუსურვოთ დროულად დაღვინებულიყვნენ, ფიქრისა და წინხედვის უნარი ჰქონდეთ, რათა ჩვენი ისტორიის მანძილზე დაშვებული უაზრო შეცდომები გაეთვალისწინებინოთ და მომდევნო საუკუნეებში აღარ შემცდარიყვნენ და, რაც მთავარია, სხვის იმედზე აღარ ყოფილიყვნენ, განსაკუთრებით – გადამთიელებისა.

– მე ამ სადღეგრძელოს ამგვარად ვიტყოდი; – წამოდგა ფეხზე დავითი, – ამ სასმისით ჭკუანაღრძობი, ამბიციური, მაგრამ ნიჭიერი ქართველების სადღეგრძელო მინდა შემოგთავაზოთ, რომლებიც თავიანთ ნიჭსა და ცოდნას სხვა ქვეყნებში უკეთ აბანდებენ და გაცილებით მეტი სარგებელი მოქვთ იმ ქვეყნისთვის, რომელმაც ისინი შეიფარა. აბა, გაიხსენეთ ჩვენი ისტორია, რამდენი სახე-ლოვანი მამლუქი იბრძოდა ეგვიპტეში, ირანში, რუსეთში; მოდით, ამ სასმისით იმ სახელოვანი ქართველების სადღეგრძელო იყოს, რომელიც ქართულმა ჯიშმა, ნიჭმა და ჯილაგმა სხვაგანაც წარმოაჩინა.

– ერთის მხრივ, მართალი ხარ, ჩემო დავით, მეორეს მხრივ, არა. სხვა ქვეყნებში გადახვეწილი ჯიშიანი და შემოქმედი ნაშიერები უცხო ქვეყნებში დარჩნენ, ხოლო საქართველოს აქედან ხეირი არ უგრძნია. დღესაც განა

იგივე არ ხდება? ოღონდ ცივილიზებულად და დროის შესატყვისად. წინათ თუ ძალით მიჰყავდათ და სტამბოლის ბაზარზე ყიდდნენ საქართველოში ნაყიდ ყმებს, დღეს თავადვე ყიდიან ეს „ყმები“ თავიანთ თავს საბერძნეთში, თურქეთში, გერმანიაში და, ვინ იცის, კიდევ სად. ამასთანავე, თუ წინათ მამრობითი სქესის წარმომადგენლებით ვაჭრობდნენ, დღეს ქალებითაა გადატვირთული ეს ბაზარი. სსრ კავშირის შემადგენლობაში ყოფნისას, ქართველი ქალი, რომ იტყვიან „ტრაკზე ბუზს არ ისვამდა“, დღეს კი უცხოეთში მცხოვრებ მოხუცს უვლის და ტრაკსაც უწმენდს და ლოგინშიც უგორდება, ხოლო აქ უსაქმოდ დარჩენილი მათი ქმრები და შვილები ტრაბახობენ, რომ მათი დედები, დები უცხოეთში მუშაობენ, იქიდან ფულს უგზავნიან. ქართველმა მამაკაცმა თავისი მისია „ოჯახის უფროსობის და მარჩენლისა“ რომ დაკარგა და მუქთახორად იქცა, ამას არად დაგიდევენ.

– ჩემო გიორგი, აქ რომ ჩამოვიდნენ თავიანთი ადგილების დასაკავებლად და ადგილზე დარჩენილ დასაქმებულებს კონკურენცია გაუწიონ, ეს უფრო მეტად დააზარალებს საქართველოს.

– აბა, გამოსავალს სადა ხედავ, ჩემო დავით?

– ვისაც წასვლა უნდა, წავიდეს, ვინც დასარჩენია, დროებით ისიც უნდა გადასახლდეს სხვა ქვეყნებში, თუ გრძნობს, რომ მისი ცოდნა-გამოცდილება, განათლება სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ქვეყანას გამოადგება.

– მოდი, მე განვტვირთავ სიტუაციას, – წამოდგა ფეხზე ლადო ჯუმუტია, – ამ სასმისით მინდა შევსვა ჩვენი განუსჯელი ცხოვრების სადღეგრძელო, შურიანი და „გიჟ

ვრაცუა“ ქართველების სადღეგრძელო, რომლებიც სიტყვით საქართველოს სიყვარულზე თავს დებენ, საქმით კი პირადი ცხოვრების მოწყობა და კარიერის გაკეთება ურჩევნიათ და ამისათვის თავს არ ზოგავენ.

ადამიანი თუ თავის სამშიბლოში არ დაიბადა, აღიზარდა, დასაქმდა, თავისი ქვეყანა ისე ვერ ეყვარება, რომ მისთვის თავი გადადოს. რადგან ის სხვა ქვეყნის ავს და კარგსაც შეეჩვია. ხოლო სხვაგან დაბადებულ და აღზრდილ ქართველს, რომელსაც ქვეყნის სიყვარული მშობლებმა ჩაუნერგეს, სამშობლოში საცხოვრებლად გადმოსვლის შემდეგ, ბევრ რაღაცაში გაწბილებული რჩება, რადგან წარმოდგენით სამშობლოსადმი სიყვარული, რეალობას არ ემთხვევა. რადგან ყველა ერს თავის დადებითიც აქვს და უარყოფითიც. ამიტომ ქართველი საქართველოში თუ არა, ქართულ გარემოში უნდა იშვას და აღიზარდოს და დაბადების ადგილზე უცხო გარემოში ქართველობის წარმოჩენას უნდა ცდილობდეს. ეს ის შემთხვევაა, როდესაც მოსახლეობის რაოდენობა სჯობნის მის ხარისხს. რადგან ადრე თუ გვიან, ერი თავის ნიჭს გამოავლენს დროისა და გარემოს შესატყვისად. ამიტომ ამ სასმისით მე ვსვამ ქართველების უგზო-უკვლოდ გამრავლებამდე გაჯეჯილების სადღეგრძელოს.

– ბიჭებო, უკეთ რომ გავერკვეთ იმ სადღეგრძელოს არსში, გთხოვთ, პირველ ცხრილს ყურადღებით დააკვირდეთ თანაც ჩემი ახსნა-განმარტებაც მოისმინოთ!

ყველამ ცხრილს დახედა და მოსასმენად შეემზადნენ.

ქართველების გამრავლების ტაბულა

დასაოჯახებული ვაჟები სულადობა / წლები	2	3	4	5	6	დასახლების ადგილები რუსეთში (დღევანდელი გადასახედიდან)
I	II	III	IV	V	VI	VII
1725	32	32	32	32	32	„მალაია გრუზინსკაიას ქუჩა ქ. მოსკოვში“
1750	64	96	128	160	196	„ბოლშაია გრუზინსკაიას“ ქუჩა ქ. მოსკოვში
1775	128	288	512	800	1152	„კრასნოე პრესინსკის“ რაიონი ქ. მოსკოვში
1800	256	864	2048	4000	6912	„ცენტრალური ოკრუგი“ ქ. მოსკოვში
1825	512	2592	8192	20000	41472	ქ. მოსკოვში
1850	1024	7776	32768	100000	248832	მოსკოვის ოლქი
1875	2048	23328	131072	500000	1492932	რუსეთის ევროპული ნაწილის დასავლეთი
1900	4096	69984	524288	2500000	8957952	რუსეთის ჩრდილოეთი, სანკტ-პეტერბურგი, მურმანსკი

I	II	III	IV	V	VI	VII
1925	8192	209952	2097152	12500000	53747712	რუსეთის აღმოსავლეთი, კავკასია, ყირიმი, როსტოვი
1950	16384	629856	8388608	62500000	322486272	რუსეთის სამხრეთი, ყაზანი, ეკატერი-ნობურგი, სამარა, ორენბურგი
1975	32768	1889568	33554432	312500000	1934917632	რუსეთის ციმბირის მხარე
2000	65536	5668704	137217728	1562500000	11609502792	რუსეთის შორეული აღმოსავლეთის მხარე

– ამ ცხრილში მოცემულია ის დრო, როდესაც 1724 წელს ქართლ-კახეთის მეფე ვახტანგ მეექვსე რუსეთში გადავიდა თავისი 1200 კაციანი ამალით საცხოვრებლად და დახმარების სათხოვნელად, რათა მეფე პეტრე პირველი დახმარებოდა გარეშე მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად. მაშინ, რუსეთის მეფის ბრძანებით, დღევანდელი მოსკოვის ზოოპარკის ტერიტორიასთან ახლოს გამოუყვეს მიწის ნაკვეთები, დაეხმარნენ 300-მდე საცხოვრებელი სახლის აშენებაში. ამ დასახლებაზე გამავალ ქუჩას დღეს „მალაია გრუზინსკაია“ ჰქვია. აქვე აშენებულია ეკლესია, სადაც დღესაც ქართულ ენაზე მიმდინარეობს ლოცვა-კურთხევა. ამ დროს ამ დასახ-ლებაში რომ გამოჩენილიყო ვიღაც გონიერი ნაღდი პატრიოტი ქართველი და იქ მცხოვრები ქართველე-ბისათვის 1725 წლიდან თავს მოეხვია, ვთქვათ, იესო ქრისტეს მიმდევართა, ნაღდ ქრისტიან „გეორგიანელთა“ სარწმუნოება, თუნდაც საზოგადოება, დაეშვა ორცო-ლიანობა, მარხვის დღეებში რძის ნაწარმისა და კვერცხის ჭამა, შვილების, ვთქვათ, არანაკლებ ათი შვილისა, ყოლის აუცილებლობია, ხოლო, ვისაც შვილები არ ეყოლებოდა, ეშვილათ; თუ თავად უძლური იყო ამ საქმეში, ნათესავი-სთვის, ახლობლისათვის ეთხოვა დახმარება, ხოლო, თუ ქალი გამოდგებოდა უშვილო, მაშინ დამატებით მესამე-მეოთხე ცოლი მოეყვანა. შედეგად დღეს სრულიად შესაძლებელი იყო ქართველების ოდენობა სამყაროში ერთ-ნახევარ მილიარდზე მეტი ყოფილიყო. ამისათვის საჭირო იყო ვაჟებისათვის ჩაგვენერგა, რომ ისინი იყვნენ

გვარის გამგრძელებლები. ამ სარწმუნოების მიმდევარნი ვალდებული იქნებოდნენ თითოეულს ჰყოლოდათ მინიმუმ ხუთი ვაჟი, ხოლო ამ დავაჟკაცებულ ვაჟებსაც უნდა ჰყოლოდა სულ მცირე ხუთი ზრდასრული ვაჟი. ამისათვის კი საჭირო იყო ყოველ წელიწადში ახალ დასახლებულ რაიონებში აეშენებინათ ახალი ეკლესიები და რუსულ ენასთან ერთად ქართულ ენაზე ელოცათ; ეკლესიასთან უნდა გაეხსნათ ორკლასიანი სკოლები, რის შედეგად რწმენაც გაძლიერდებოდა, ცხოვრების კულტურაც ამაღლდებოდა და მოვალეობის შეგრძნებაც გაძლიერ-დებოდა. ამასთან ერთად, მოსახლეობის გარკვული ნაწილი წერა-კითხვასაც ისწავლიდა როგორც ქართულ, ისე რუსულ ენებზე და ისინი საჭირო ადამიანები იქნებოდნენ ირგვლივ მყოფთათვის. ამასთან ერთად, უნდა ჩაგვენერგა, რომ სიცოცხლეში ერთხელ მაინც უნდა მოენახულებინათ თავიანთი სამშობლო საქართველო და, ვისაც ექნებოდა საშუალება და სურვილი, თავის ქვეყანაში დაბრუნებულიყო.

– რატომ გგონია, რომ რუსეთის მთავრობა ასე გვაბაირამებდა?

– ჯერ ერთი, იმიტომ, ჩემო ოთარ, რომ ამხელა ტერიტორია რუსეთის იმპერიისა ქრისტიანებით დასახლ-დებოდა, მეორეც, ცოტა მეტი მოხერხებულობა უნდა გამოგვეჩინა და რუსეთის მეფისათვის შეგვეთავაზებინა კაზაკების მსგავსად ომში მონაწილეობის მიღება ჩვენი ცხენებითა და სამხედრო აღჭურვილობით. თუ რუსეთს ვინმე დაესხმებოდა თავს, გაგვყავდა 80% ქართველე-ბისაგან შემდგარი ჯარი, ხოლო, თუ რუსეთი აწარმოებდა

დაპყრობით ომს, მაშინ 10-20%. ამით ორი საქმე გაკეთდებოდა, შეუიარაღებელი ქართველების წინააღმდეგ მის არამოყვარეთ ხმის ამოღება გაუჭირდებოდათ. ამასთან ერთად, გადასახადებისაგან განთავისუფლდებოდნენ ან მცირედი იქნებოდა გამოსაღები. ეს დასახლება მოწინავე იქნებოდა და სხვათათვის საჩვენებელიც, რადგან აქ ბატონყმური დამოკიდებულება კი არ იქნებოდა, მხოლოდ უფროს-უმცროსობის წესზე მოხდებოდა დასახლების მართვა.

– გიორგი, როგორც ვიცით, ვახტანგ მეექვსე 1737 წელს საქართველოში წამოსვლა გადაუწყვეტია, როდესაც პეტრე I გარდაიცვალა, და რუსეთის მთავრობისაგან საჭირო სამხედრო დახმარება ვერ მიიღო. იგი ქ. ასტრახანში გარდაიცვალა და, თუ არ ვცდები, დღესაც ქ. ასტრახანში მიძინების ტაძარში არის დამარხული.

– ამ ჩემს ნაოცნებართან ვახტანგ მეექვსეს არაფერი ესაქმება. ის რუსეთის მეფესთან ლამობდა შეხვედრას და მას ქართველებისთვის არ ეცალა. იქ უნდა გამოჩენილიყო სამღვდელოების რომელიმე გონიერი წევრი.

აქ მთავარ ცხრილს დავუკვირდეთ: მე 300 ოჯახიდან გთავაზობთ 32 ოჯახს 64 სხვადასხვა გვარის წარმომადგენლებისას, რათა მეხუთე თაობამდე სისხლის აღრევა არ მოხდეს, თუმცა ებრაელები მამიდაშვილ-ბიძაშვილზეც კი ქორწინდებიან და საკმაოზე ნიჭიერი ხალხი გამოსდით.

– გიორგი, ამ ცხრილს გადავხედე და 32 ოჯახიდან თუ ყოველს 6 ვაჟი ეყოლებოდათ, დღეს თერთმეტ მილიარდზე მეტი ქართველი გამოგვდის, ხომ წარმოგიდგენია, რა დღეში ჩავარდებოდა მსოფლიო.

– ოთარ, აქ ყველაფერი პირობითადაა მოცემული, ხომ იცი, ციფრებითა და ოცნებით ყველაფრის დამტკიცება შეიძლება. დღევანდელ სუფრის წევრებს შორის შენ ყველაზე მეტი, სამი, ვაჟკაცი გყავს და, ხომ ხედავ, რამხელა სხვაობაა ორი ვაჟის ნაამაგარსა და სამი ვაჟის ნაამაგარს შორის. თუ არ ვცდები, შენ უკვე 8 შვილიშვილი გყავს და, ალბათ, მალე ღვთის წყალობით შვილიშვილის შვილსაც მოესწრები.

– მერედა, გიორგი, სად დაასახლებ ამდენ ქართველს?

თქვენ, ჩემო ოთარ, ბორია, რეზო, დუგლას, თემურ, კარგად იცნობთ მოსკოვს. როგორ გგონიათ, იმ დროს დაუსახლებელი „ბოლშაია-გრუზინსკაიას“ ქუჩა დაიტევდა თუ არა 128 მოსახლეს, რომელსაც „მალაია გრუზინსკაიას“ ქუჩიდან გადმოვასახლებდით? შემდგომ მოდის „კრასნო-პრესენსკის რაიონი“, რომელიც დღევანდელი ქუთაისის ტერიტორიის ოდენაა, დაიტევდა თუ არა 800 ოჯახს გამოკლებულ 160 ოჯახს ე.ი. 640 ოჯახს, შემდგომ მოდის მოსკოვის ცენტრალური ოკრუგი, რომლის ტერიტორია თბილისზე მეტია და აქ უნდა დასახლებულიყო 3560 ოჯახი და ასე შემდგომ, რადგან რუსეთის ტერიტორია მაშინ დაუსახლებელი იყო და მეფე ამ ახალ მიერთებულ ტერიტორიაზე დასასახლებლად თავის ერთგულ ხალხს ეძებდა. ამასთანავე, სრულიად შესაძლებელი იყო, რომ მაშინდელ რუსეთის მეფეს უგუნურობა არ ჩაედინა და 1861 წელს ალიასკა არ გაეყიდა და აქაც ქართველების გარკვეული ოდენობა დაესახლებინა. ამგვარი გამრავ-

ლება ქართველებს საშუალებას მოგვცემდა, გაგვეხორ-ციელებინა ჩვენი ნაოცნებარი და უფრო მეტი ტერიტო-რიების მქონე საქართველო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე გაშლილიყო. მაგრამ, ეტყობა, განგება ყველას იმას გვარ-გუნებს, რაც გვეკუთვნის და რასაც ვიმსახურებთ, რადგან შური და „იმან როგორ მაჯობა“ ქართველებს გენში გვიზის.

– გიორგი, ცხრილს რომ ვუყურებ, ვხედავ: მართლა შესაძლებელი ყოფილა ჩვენი უგზოუკვლო გამრავლება, მაგრამ რითი უნდა დაგვესაქმებინა ეს ხალხი, დღეს ოთხი მილიონი ვართ და მოსახლეობის მეოთხედი უმუშევარი დაწანწალებს.

– მაშინ, ჩემო დემურ, უნდა აგვეთვისებინა ახალი პროფესიები, როგორიცაა კაცებისთვის: მჭედელი, მენახი-რე, ექიმი, დიაკონი-მასწავლებელი, თერძი, მეწაღე, დურ-გალი, ვეტექიმი, წიგნების გადამწერი, სანთლის ჩამომსხ-მელი, მეწისქვილე, მეეტლე, დალაქი, ხურო, მეჯინიბე, ვაჭრები, გემოპატები, ხოლო ქალებისათვის მქსოველები, მაჭანკლები, ბებიაქალები, მონაზვნები და, ვინ იცის, იმ დროს რა ხელობისა და განათლების ხალხი დასჭირ-დებოდათ.

ამ პროფესიების მოდაში შემოსვლა საშუალებას მოგვცემდა ქალაქის ტიპის დასახლებები შეგვექმნა და მოსახლეობის გარკვეული ნაწილი თანდათანობით ქალაქში გადავიდოდა საცხოვრებლად.

ამასთან ერთად, მოსახლეობის ერთი ნაწილი უნდა წასულიყო ევროპაში, ამერიკაში, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში, აფრიკაში საცხოვრებლად; უნდა

დაუფლებოდნენ ზღვაოსნობას, ყოველივე რაციონალურსა და ახალს, დროულად უნდა შემოგვეტანა ქართველებით დასახლებულ ტერიტორიებზე სიახლენი, რადგან რუსეთის სახელმწიფო, ტექნიკური პროგრესის თვალსაზრისით, ძალზე ჩამორჩებოდა მაშინდელ ევროპას, ხოლო დღევანდელი ტექნიკური პროგრესის შემყურეს ასე დიდ ჩამორჩენას არ გვაპატიებდა გამჩენი.

– სადღაც, ჩემო გიორგი, ცხრილს რომ ვუყურებ და თანაც შენი განმარტებები მესმის, თეორიულად მართალი ხარ, მაგრამ პრაქტიკულად ამის განხორციელება და შემდგომი თაობების დამოძღვრა გაჭირდებოდა.

– ჩემო ლადო, სარწმუნოება, იდეოლოგია და ტრადიციები იმიტომ არსებობს, რომ მის მოძღვრებას ყველანი ვემორჩილებით, მით უმეტეს, ჩემი შემოთავაზებული სარწმუნოება მცირედით განსხვავდება მართლმადიდებლური, კათოლიკური, პროტესტანტული, გრიგორიანული ეკლესიებისგან, გარდა იმისა, რომ ჩვენ სარწმუნოებაში ვწერთ: მამაკაცი ვალდებულია ჰყავდეს სულ მცირე ხუთი ვაჟი ორი ცოლისგან, ხოლო, თუ ცოლები ვერ გაუჩენენ ამ ოდენობის ვაჟებს, მაშინ უნდა იშვილონ. მე ამ სარწმუნოებას ვუწოდე „გეორგიანელები“, რომლებსაც მარხვის დღეებში უფლება აქვთ, კვერცხისა და რძის ნაწარმს ჭამონ, რათა ხრიოკ და მოუსავლიან ადგილებზე დასახლებულებმა თავი სრულყოფილად გამოიკვებონ.

– სხვით რითი განსხვავდება შენი შემოთავაზებული სარწმუნოება მართლმადიდებლობისაგან?

– თითქმის არაფრით, გარდა იმისა, რომ ეკლესიაში მომსახურე ქალებს – ჩვენებურად მონაზვნებს – უფლება

აქვთ შვილის გაჩენის, აღზრდის, უპატრონო ბავშვების, შვილების მოვლისა.

– ყოველივე ეს კარგი, ჩემო გიორგი, მაგრამ რა ვქნათ, ზოგიერთი ქალი რომ მხოლოდ გოგოებს აჩენს, რა ვუყოთ ამ გოგოებს, ხომ არ გადავყრით?!

– ჩემო ომარ, გადავყრით კი არა, ყველანი უნდა გავათხოვოთ ქართველებსა და სხვა ეროვნების შვილებზე, რათა სხვა ერის ხალხები დავინათესაოთ და ჩვენ მიმართ კეთილად იყვნენ განწყობილი. განა ჩვენი მეფეები თავიანთ ქალიშვილებს მუსლიმანებზე არ ათხოვებდნენ? ხშირად მომხდარა, ქართველ ქალებს ჰარამხანაში უხდებოდათ ცხოვრება, მუსლიმ ქმრებს შვილებსაც უჩენდნენ. რას ვიზამთ, ასეთი იყო იმდროინდელი საგარეო პოლიტიკა!

ამ ცხრილში მოცემულია მინიმალური ოდენობა ვაჟების ყოლისა, ხოლო მაქსიმალური ოდენობა ბავშვების ყოლისა შეუზღუდავია. აგერ, მეოცე საუკუნის დასაწყისში, ბებიაჩემს, რომელიც მარტვილის რაიონში ცხოვრობდა, 12 დედმამიშვილი ჰყავდა ცოცხალი და 5 – გარდა-ცვლილი. ასე რომ, ჩემმა დიდმა ბებიამ 17-ჯერ იმშობიარა და იმ დროს ეს ჩვეულებრივი მოვლენა გახლდათ. ამასთანავე, რაღაცნაირად ზრდიდნენ ამ შვილებს, კიდეც უვლიდნენ და, რომ გაიზრდებოდნენ, ყველანი თავიანთ გზა-კვალს ნახულობდნენ ცხოვრებაში.

– დღეს რომ იცოდეს ადამიანმა, ეკონომიურად არ გაუჭირდება, 5 ვაჟიშვილის გაჩენას კიდევ გარისკავს, მაგრამ ამდენივე ქალიშვილიც რომ შეეძინოს, 10 შვილის

მოვლა-დაბინავება ძალიან ძნელია და მაშინ საკუთარი თავისათვის ვერ უნდა მოიცალო.

– თუ აგრეა, მაშინ, ჩემო ომარ, პატრიოტობაზე თავი არ უნდა დადო და „სიათვანდური“ ყბედობით ვენები არ უნდა გადაიჭრა, რადგან პატრიოტიზმი ფანატიკური რწმენაა, შეგნება, მოვალეობაა და არა გულის მოსათხანი მჭევრმეტყველება.

– გიორგი ამგვარი პატრიოტიზმის საწყისები რომ ჩავნერგოთ საზოგადოებაში, საჩვენებელი მაგალითები უნდა გვქონდეს, რადგან ამ მაგალითებზე უნდა აღიზარდონ მომდევნო თაობები.

– დღეს, ჩემო ომარ, ამ ცხოვრების ცირკი ის არის, რომ ყველაზე მეტს ისინი გაჰყვირიან პატრიოტიზმზე, რომელთაც ერთ ან ორი შვილი ჰყავთ, ნაღდი პატრიოტების ვალია, მოთმინება და გამრავლება. დღეს ეროვნულ გმირად წარმოგვიჩენენ საქართველოს დამოუკიდებლობას შეწირულ 18 წლის მშვენიერ მარო მაყაშვილს, მაგრამ განა არ სჯობდა სამშობლოს ნაღდად მოყვარულ საქალბატონეს ეს პატრიოტული გამოხდომები უკან მოესროლა და წინ გაეხედა – 5-6 შთამომავალი დაეტოვებინა, რადგან მისმა თავგანწირვამ მაინც ვერა-ფერი უშველა ქვეყანას – ის 1921 წელს მაინც შეიერთა რუსეთმა და მისგან დაგვრჩა მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობისკენ მოწოდება. ან 1989 წლის 9 აპ-რილს იმ 23 ქართველ გოგონას რომ 5-7 შვილი გაეჩინა, განა მეტ სარგებელს არ მოუტანდა საქართველოს, ვიდრე მათი სიკვდილი, რომლებიც საბჭოთა ჯარისკაცების ნიჩბების დარტყმებს შეეწირნენ.

საერთოდ, პიროვნებას რაც უნდა კარგი განზრახვები ამოძრავებდეს თავის ქვეყნისა და ერის წარმოსაჩენად, თუ ის შედეგს არ აღწევს, გმირად არ უნდა ჩაითვალოს. რომელ ჩვენგანს არ უნდა, რომ საქართველო იყო გაჯეჯილებული, განათლებული, ეკონომიკურად მძლავრი ქვეყანა, მაგრამ ვერც ერთმა ჩვენგანმა ეს ვერ გააკეთა, ე.ი. ჩვენ არ შეიძლება ერისთვის მაგალითის მიმცემნი ვიყოთ. ე.ი. განგება არ იძლევა ამის საშუალებას, რადგან, როდესაც საქართველოს გაუჭირდა, მან წარმოაჩინა სახელოვანი მეფეები, პიროვნებები, რომლებმაც ერი გადაგვარებას, გადაშენებას გადაარჩინეს.

– მაშ, რა ვიღონოთ?

– ჩემო ომარ, უპირველესია გავმრავლდეთ, გვერდში ერთმანეთს ამოვუდგეთ, შური და ქედმაღლობა მოვიცილოთ და ვაუები, გვარის გამგრძელებლები, ვაკეთოთ, გავანათლოთ, დავასაქმოთ; წარსულს გადავხედოთ, განვსაჯოთ, დღევანდელობას მოვარგოთ და ისე დავიწყოთ ცხოვრება, ყოველგვარი საყვედურებისა და ბრალის დადების გარეშე.

– ბატონო თამადავ, ერთი სერიოზული შეკითხვა მაქვს, მე, ომარ ლომთაძეს, მაინტერესებს შემდეგი, ჩვენ გვყავდა ბევრი ღირსეული ქართველი, ერის შვილები, რომლებმაც უდიდესი მემკვიდრეობა შექმნეს თუნდაც ლიტერატურაში, მხატვრობაში, მაგრამ მათ არ დაგვიტოვეს თავიანთი ნაშიერები ან ისინი უსუსურები აღმოჩნდნენ. ასეთი იყო ჩვენი ერის მამად წოდებული ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, რომელიც 28 წლის ასაკში გარდაიცვალა და თავისუფლად შეეძლო

დაოჯახებულიყო, ნიკო ფიროსმანი. ამათ ნაშიერები არ დაგვიტოვეს ან თუ დატოვეს, ძალზე შეუმჩნევლები და უვარგისები, ერისთვის გამოუსადეგარნი.

– ჩემო ომარ, ეს ნიჭით დაჯილდოებული ხალხი განგებამ ერის წარმოსაჩენად გააჩინა და არა ერის გასამრავლებლად, რადგან შვილების აღზრდა დროს, გარჯასა და შემართებას მოითხოვს, ხოლო გენიალური ადამიანი რომ მთლად დალაგებული იყოს, არ შეიძლება, რადგან ის გრძნობების ჭიდილითა და თავისი ფანტა-ზიებით ცხოვრობს. ეს იგივეა, შოთა რუსთველს უსაყვე-დურო, შვილები რატომ არ გყავდაო და, თუ გყავდა, ერთ-ერთი მაინც რატომ შენ არ დაგემსგავსაო? ამიტომ, ჩემო ომარ, ყველგან ჩვენთვის განკუთვნილი საქმე უნდა ვაკეთოთ, ხოლო, როცა დიდი ნიჭით არ გამოვირჩევით, ერს ქალთან „ჰწკნაური“ არ უნდა დავამადლოთ და შვილები გავაჩენინოთ, აღზრდაში დავეხმაროთ, ასე რომ, ჩემო ომარ, ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს ამ სამყა-როში. ხომ გაგიგონია, „ქოთანი მექოთნემ უნდა შექმნასო“. რადგან ეს ერის სასარგებლო საქმედ იქცევა.

– მე, ჩემო გიორგი, არ გამომდის და არა ეს ბიჭები, თანაც ახლა უკვე ჩემს მეუღლეს შვილის გაჩენა აუკრძალეს ექიმებმა.

– ამიტომაცაა ჩემო ომახ საჭირო სხვა ტრადიცია, მეორე ცოლის მოყვანის ტრადიცია! ამასთანავე, ახალ-გაზრდობაში თუ შენზე უფროსი ქალი მოგეწონება, შეიძ-ლება ცოლადაც მოიყვანო, შვილებიც გააჩენინო, ხოლო 10-15 შემდგომ ახალგაზრდა მეორე ცოლით კი არ ჩაანა-ცვლო, არამედ გვერდში ამოუყენო, დაამეგობრო. ამასთან

ერთად, როგორც მამაკაცი, უფრო მოწონებული და დაფასებული იქნები.

– ეს ყველაფერი კარგია, ჩემო გიორგი, მაგრამ ახლა მეორე ცხრილის მონაცემები აგვიხსენი და გაგვანათლე. ეს ბიჭები როგორ და რა დროს უნდა ვაკეთოთ? – დაინტერესდა პაატა.

ბავშვის ჩასახვისა და სქესის დადგენისას

წლოვანება ქალისა	იანვარი	თებერ-ვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემ-ბერი	ოქტომ-ბერი	ნოემბერი	დეკემბერი
18	ქ	ვ	ქ	ვ	ქ	ვ	ვ	ვ	ვ	ვ	ვ	ქ
19	ვ	ქ	ვ	ქ	ქ	ვ	ქ	ქ	ქ	ქ	ქ	ქ
20	ქ	ვ	ქ	ქ	ქ	ქ	ქ	ქ	ქ	ქ	ქ	ქ
21	ვ	ქ	ვ	ქ	ვ	ქ	ქ	ვ	ქ	ქ	ქ	ვ
22	ქ	ვ	ვ	ქ	ვ	ქ	ქ	ვ	ქ	ქ	ქ	ვ
23	ვ	ვ	ქ	ვ	ვ	ქ	ვ	ქ	ვ	ვ	ვ	ქ
24	ვ	ქ	ვ	ვ	ქ	ვ	ქ	ქ	ქ	ქ	ქ	ქ
25	ქ	ვ	ქ	ქ	ვ	ქ	ვ	ვ	ვ	ვ	ვ	ვ
26	ე	ქ	ვ	ქ	ქ	ვ	ვ	ვ	ვ	ვ	ვ	ვ
27	ქ	ვ	ქ	ვ	ქ	ქ	ვ	ვ	ვ	ქ	ვ	ვ
28	ვ	ქ	ვ	ქ	ქ	ქ	ვ	ვ	ვ	ვ	ქ	ქ
29	ქ	ვ	ქ	ვ	ვ	ვ	ვ	ვ	ვ	ქ	ქ	ქ
30	ვ	ქ	ვ	ქ	ქ	ქ	ქ	ქ	ვ	ვ	ქ	ვ
31	ვ	ქ	ვ	ქ	ქ	ქ	ქ	ქ	ქ	ქ	ვ	ვ
32	ვ	ქ	ვ	ქ	ქ	ქ	ქ	ქ	ქ	ქ	ვ	ვ
33	ქ	ვ	ქ	ვ	ვ	ქ	ქ	ვ	ქ	ქ	ვ	ვ
34	ვ	ქ	ვ	ქ	ქ	ქ	ქ	ქ	ქ	ქ	ვ	ვ
35	ვ	ვ	ქ	ვ	ქ	ქ	ქ	ვ	ქ	ქ	ქ	ვ
36	ქ	ვ	ვ	ქ	ვ	ქ	ქ	ქ	ვ	ქ	ვ	ქ
37	ქ	ვ	ქ	ვ	ვ	ქ	ვ	ქ	ვ	ქ	ვ	ვ
38	ქ	ვ	ქ	ვ	ვ	ქ	ვ	ქ	ვ	ქ	ვ	ვ
39	ვ	ქ	ვ	ქ	ვ	ქ	ქ	ვ	ქ	ვ	ქ	ვ
40	ქ	ვ	ქ	ვ	ქ	ვ	ვ	ქ	ვ	ქ	ვ	ქ

– ბიჭებო, სანამდის ამ ცხრილს გადავხედავდეთ და განვსჯიდეთ, ამ სასმისით იმ ადამიანების სადღეგრძელო მინდა შევსვა, რომლებსაც ჩვენი ნაშიერები ჰქვიათ და, გულითაც რომ გვინდოდეს, ფეხებსაც ვერ მოვჭამთ, ქალიშვილები იქნებიან ისინი თუ ვაჟიშვილები. ისინი ჩვენია, გვარის გამგრძელებლები, შვილიშვილების მჩუქებელნი. ეს სადღეგრძელო მინდა ფეხზე ადგომით შევსვათ, ეს ჭიქა ბოლომდის იცლება, იცლება ერთდროულად!

– მე, ბიჭებო, ჩვენს შთამომავალს ასე დავლოცავდი, – წამოდგა ფეხზე დუგლასი, – მათ ვუსურვებ სახელით ეცხოვროთ და არა გვარით, იმდენად საჭირო და დაფასებული ადამიანები გამხდარიყვნენ.

– ჩვენს შთამომავლობასთან დაკავშირებით, მე ამ სადღეგრძელოს ამდაგვარ შესავალს გავუკეთებდი, – წამოდგა ფეხზე ოთარი. – კახელმა თავისი შვილი თბილისში გაგზავნა სასწავლებლად. იგი ერთი წლის შემდეგ კახეთში საყურეგაყრილი დაბრუნდა. კახელმა დაინახა, რომ ბიჭს ყურში საყურე აქვს გაყრილი, რა თქმა უნდა, არ მოუწონა და ძე ფანჯარასთან მიიყვანა, სადაც მდინარე ალაზანი მოედინებოდა და უთხრა: შვილო, გამიგია, საყურეს იკეთებენ პირატები და პიდარასტები, ახლა ალაზანზე თუ გემი არა იქნება დაყენებული, დედას გიტირებო! მოდით, ამ სასმისით ჩვენს შთამომავლობას გაუმარჯოს თავისი ტრადიციებით, რომელმა ტრადიციებმაც ქართველობა აქამდე შეგვინარჩუნა. ამასთანავე, გისურვებთ თქვენს ნაშიერს გემი წყნარ ოკეანეში თუ არა, შავ ზღვაში მაინც ჰყავდეს დაყენებული.

– რაკიღა ანეგდოტებზე მიდგა ჯერი, მეც მათქმევინეთ ურთიერთგაგების სადღეგრძელო, – წამოდგა ფეხზე ჩხუბიანაშვილი. – მოშე უკმაყოფილოა ცხოვრებით, აბრამ-მა მიზეზი ჰკითხა. – როგორ არ ვიქნები უკმაყოფილო, ჩემო აბრამ, ჩემს ცოლთან გრაფი ცხოვრობს, მე კი – გრაფის ცოლთან. მერედა რაღა გაწუხებს, ბარი-ბარში ხართ! როგორ თუ რა მაწუხებს, ის ებრაელებს აჩენინებს ჩემს ცოლს, მე კი გრაფებს ვამრავლებო. მოდით, ურთი-ერთგაგებას გაუმარჯოს და, თუ ამას მივაღწევთ, მაშინ ქართველი ერის გამრავლების პრობლემაც იოლად გადაწყდება.

– ეგ ღადაობა კარგია, მაგრამ, ჩემო გიორგი, ერთი აგვიხსენი ეს ცხრილი როგორ უნდა გამოვიყენოთ ბიჭების გასაჩენად? – დაინტერესდა პაატა, – ხომ იცით, მე ერთ-გვარად ცოლის მოყვანა დამიგვიანდა და პირველი შვილი, სასურველია, ბიჭი იყოს.

– ჩემო პაატა, პირველ აბცისაში მოთავსებულია ქალის წლები, შემდგომ აბცისებში – წლის თვეები. წლებისა და თვეების შესატყვისად ქალი დაფეხმძიმებისას, ამ ალბათობის შესაძლებლობა გვაძლევს ბავშვის სქესის დამუღამებას. როგორც ამბობენ, 80% ამართლებსო. რა ვიცი, გამოიყენეთ ეს ცხრილი, თქვენს შთამომავალს, შეიძლება, მართლაც დაეხმაროს გვარის გამგრძელებლის გაჩენაში, თუ არადა დიდ პრობლემას ეგ არ ქმნის.

– ბატონო თამადავ, შთამომავლობისა და გვარის გამგრძელებლების სადღეგრძელო ყველამ შევსვით, მომდევნო რა სადღეგრძელოს გვთავაზობ, თორემ გაშრა ყელი, – გაეცინა დემურს.

– შემდეგი იქნება დედების სადღეგრძელო, ოღონდ ამ სასმისს, რაკიღა სანახევროა, მამების მოუხსენიებლად ვსვამ. ის ორიგინალურად და დასამახსოვრებლად უნდა იქნეს დალეული!

თამადამ აიღო ჭიქა, დადო საინზე, მასში ჩაასხა ღვინო, ხოლო ამ ღვინის ჭიქაში ჩადო მომცრო არყის ჭიქა, ისიც შევსებული ღვინით. ამის შედეგად გარკვეული რაოდენობის ღვინო გადმოიღვარა თეფშზე.

– ამ სასმისით მინდა შევსვა სამი სახის დედის სადღეგრძელო. ფეხმძიმე ქალის; იმ ქალისა, ვინც ჩვენ გვშობა და იმ ქალებისაც, ვინც ჩვენს გვერდში დგანან. თამადამ პირველად პატარა ჭიქით შესვა ღვინო და ცარიელი ჭიქა გვერდზე გადადო, ეს ჭიქა ორსულ ქალებს ეკუთვნით. შემდგომ ღვინის ჭიქა დალია, ეს ჩვენს ცოლებს ეკუთვნითო, დასძინა და ბოლოს თეფშზე გადმოღვრილი ღვინო დააყოლა. ეს კი ჩვენს დედებს ეკუთვნის, რომლებიც იმ ქვეყნიდან ძუძუებით გვლოცავენ. ამრიგად, შემოგთავაზეთ სამი დედის სადღეგრძელოს ერთად შესმის ხერხი და, ვისაც სურვილი გაქვთ, მომბაძეთ!

დუგლასს გაეღიმა, მანაც იგივე გაიმეორა და ბრძანა: დედის სადღეგრძელო ბევრჯერ დამილევია და ამდაგვარად, არასოდესო: – დედებს გაუმარჯოსო და მანაც თამადის ქმედებათა შესატყვისად დალია სასმელი. სუფრის წევრები ფეხზე წამოიშალნენ და რიგრიგობით დიდი ინტერესითა და ხალისით დალიეს ეს სადღეგრ-ძელო; ამდაგვარად დედის სადღეგრძელო მათ არც როდი შეესვათ.

– მაშ, ასე: ეს სადღეგრძელოც შევსვით და ამ ცხრილის მნიშვნელობაც გავიგეთ, ჩემო გიორგი, მაგრამ მე მაინც არა მჯერა შენი პროექტისა, საქართველოს დაუძინებელმა მტერმა შაჰ-აბასმა საქართველოდან ირანში, კერძოდ, ფერეიდანში, უამრავი ქართველი გადაასახლა, მიწებიც მისცა და მიზანიც დაუსახა: ეს ტერიტორია მეზობელი მომთაბარე ტომებისაგან დაეცვა, მაგრამ დღეს იმ მხარეში ქართული რომ იცის და ქრისტიანობის საწყისები შეინარჩუნა, ასეთი ქართველი ძალზე ცოტაა. გადასახლებულთა უმეტესობა ირანში მცხოვრებ ტომებს შეერია და ქრისტიანობამ და ქართველობამ ჭირი მოგვჭამა. შენი ცხრილის გაანგარიშებით, დღეს მთელი რუსეთი და მათ შორის, ალბათ ირანი, და მისი მეზობელი ქვეყნები ქართველებით უნდა ყოფილიყო დასახლებული და ფაქტობრივად პირიქით მოხდა.

– ჩემო დავით, ძალიან კარგად იცი, რომ ხალხი ვერც როდის ვერაფერს ვერ წყვეტს, თუ მას სათავეში ძლიერი პიროვნება არ ჩაუდგა. შაჰ-აბასის შემდგომ რამდენიმეჯერ დაუძლურდა ირანის სახელმწიფო. სამწუხაროდ, იმ დროს არ გამოჩნდა ერთი გონიერი და ძლიერი ბუნების, ასევე, განგებისაგან დამოძღვრილი „პიროვნება“, რათა ქართველები დაერაზმა და გაემრავლებინა. ამასთან ერთად, შენ კარგად იცი, რომ ერის განვითარებაზე დიდ ზეგავლენას ახდენს განგების მოციქული, პიროვნება, ქვეყნის ეკონომიკა, რწმენა და იდეოლოგია.

მე რომ მკითხოთ, დღევანდელ ავად ცივილიზებულ საქართველოშიც კი შეიძლება ამ პროექტის განხორციელება, როდესაც ჩვენშიცა და მთელ განვითარებულ

ქვეყნებში შობადობამ ასე ძლიერ იკლო. თქვენ იცით, რომ ამ ბოლო დროს ჩვენთან ერთ წელიწადში 40000 ოფიციალური აბორტი გაკეთდა, ხოლო არაოფიციალური რამდენი იყო, არავინ უწყის.

– კეთილი, ოღონდ რას გვთავაზობ ახალს, ჩვენო მამავ და მარჩენალო?

– იცინე, იცინე, ჩემო თეიმურაზ, და, ჩემი ნება რომ იყოს, შემოვიღებდი „საჯიშე მამაკაცთა“ ინსტიტუტს, ხოლო, ვინც ამ წოდების ტარებას ისურვებდა, პირადობის მოწმობაში გარკვეული სამედიცინო დასკვნების შემდგომ ჩაეწერებოდა ეს წოდება, ხოლო ამ წოდების მქონე მამაკაცებს ოფიციალურად ექნებოდათ უფლება საყვარ-ლის ყოლისა ან ორცოლიანობისა. ამასთან ერთად, ცოლთან გაყრის შემთხვევაში ალიმენტს არ იხდის; სამსახურში მოწყობისას პრივილეგიით სარგებლობს, ინსტიტუტში მისაღები გამოცდების გაუვლელად ჩარიცხა-ვენ და განათლებას უფასოდ იღებს, შენ რა გგონია, განა არ გამოუჩნდებიან ამ მიმდინარეობას თანამოაზროვნენი, ჩვენი ტრადიციებისა და მენტალიტეტის მიუხედავად?

– ეგ არაა საეჭვო, დიახაც გამოუჩნდებიან, ჩვენი ხალხის ამბავი ხომ იცი, ოღონდ სადმე გამოჩნდეს, წარმოჩნდეს და ყველაფერზე წამსვლელია.

– მაგაში, ჩემო დუგლას, სრულიად გეთანხმები. ჩვენი ხასიათი ჰქონდა გათვალისწინებული ბრძენკაცს, როცა ბრძანა: „სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოვლისა მოსახვეჭ-ლისა!“ მაგრამ მე მაინტერესებს, საჯიშე მამაკაცის საპატიო წოდება რა სახის მონაცემებს უნდა ემყარებოდეს?

– პირველ ყოვლისა, სიმაღლით ის არ უნდა იყოს მეტრი და ოთხმოც სანტიმეტრზე დაბალი, არ უნა ჰქონდეს ღიპი; მისი პენისი, ანუ საოხრე, როგორც ქალები ეძახიან, 18 სმ-ზე ნაკლები არ უნდა იყოს; უნდა ფლობდეს ქალის მოფერების კულტურას და მისი სექსუალურად დაკმაყოფილების ხელოვნებას; ღამეში სულ მცირე ორჯერ-სამჯერ უნდა შეეძლოთ მდედრის სექსუალურად დაკმაყოფილება და ქალს უნდა განაცდევინოს ორგაზმი. ამ უკანასკნელის შესასწავლად სპეციალური კურსები უნდა გაიაროს და რეკომენდაციაც უნდა წარმოადგინოს ლამაზმანებისა.

– მაგაში, ჩემო გიორგი, მეც გეთანხმები, მამაკაცის ბუნებრივი მოწოდებაა ქალს მოემსახუროს, განაცდევინოს ორგაზმი, სინამდვილეში მამაკაცი უნდა მოემსახუროს ქალს, ხოლო ბევრი მამაკაცი სექსუალური უკულტურობის გამო მხოლოდ თავის სიამოვნებაზე ფიქრობს.

– მაქ მეც გეთანხმები, ჩემო იუზა, მამაკაცი ორჯერ მეტ სიამოვნებას განიცდის, როდესაც გრძნობს, რომ მასთან ერთად ქალმაც განიცადა ორგაზმი. ასე რომ, ეს უპირველესი საქმე მამაკაცის განათლებისა, თვითდინებაზე გვაქვს მიშვებული.

– ამისათვის რაა საჭირო, ჩემო გიორგი, ჩვენი შვილები როგორღა გავანათლოთ?

– საამისოდ, ჩემო ბორის, საჭიროა საქართველოს რამდენიმე დიდ ქალაქსა და დასასვენებელ ადგილებში გაიხსნეს „სექსის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება“, სადაც გაიყიდება სამდღიანი ფასიანი საგზურები. აქ ახალგაზრდა ვაჟებს ჩაუტარებენ თეორიულ ლექციებს და პრაქტიკულადაც ამეცადინებენ, აუხსნიან, თუ როგორ უნდა

შეამზადონ ქალი ორგაზმისათვის, რათა მდედრმაც ისიამოვნოს, ამასთან ერთად, იმასაც აუხსნიან, რომ სექსს ქალმა უნდა უხელმძღვანელოს თავისი მოძრაობებით, მიმიკებით, მინიშნებებით, რათა იგი ერთობ ნასიამოვნები დარჩეს.

– დღევანდელი სექსის მუშაკები, ე.ი. მდაბიურად ბოზები, აბა, რას აკეთებენ?

– ჩემო რეზო, ბოზმა, რომელიც მამაკაცს მოემსახურება, ყველასგან თუ ორგაზმი განიცადა, ის ვეღარ იმუშავებს. ის ფულის საშოვნელად არის გამოსული ქუჩაში და არა სიამოვნების მისაღებად.

– ამასთან დაკავშირებით, ჩემო გიორგი, მახსენდება ერთი თბილისში ცნობილი ბოზი და მისი გამოცდილება: ერთ მამაკაცს უხერხულ გარემოში თავისი მამაკაცური ღირსება არ დაემორჩილა, ხოლო სექსის მუშაკს, თქვენი გაგებით, ხოლო ჩვენი გაგებით, ბოზს, დროის დაკარგვა არ უნდოდა. იგი მამაკაცს ჩქმეტდა, აქებდა და, დროულად რომ მორჩენილიყო თავის საქმეს, ბრაზით ეუბნებოდა: ეს რამხელა გქონია, მკლავ, ეს რომ მცოდნოდა, შენთან საქმეს არ დავიჭერდიო. ამ შექმების შედეგად მამაკაცი თავის საქმეს წარმატებით აგვირგვინებდა, ხოლო ეს ქალი მიუგდებდა რაიმე ჩვარს და დაცინვით ეტყოდა, „გაიწმინდე ჭუჭყიანიო!“ ამით მას ეს მამაკაცი უფრო დაბმული და დაჩმორებული ჰყავდა შემდგომისთვის და მამრიც ისევ ამ ბოზით იკმაყოფილებდა თავის მორიდებელ სექსუალურ მოთხოვნილებას.

– ასეა, ჩემო ლადო, მამაკაცთა უმეტესობამ არც ქალების არჩევა იცის და არც – სექსი. ქალის არჩევაში,

როგორც უკვე გითხარით, უდიდეს როლს ასრულებს ორივე წყვილის ჰორმონები, რაც ბერძნულად ნიშნავს მოძრაობას, წაქეზებას. აქ მთავარია ის ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები, რომლებსაც შინაგანი სეკრეციის ჯირკვლები გამოიმუშავებენ და სისხლში გამოიყოფა. ისინი სპეციფიკურ ზეგავლენას ახდენენ ამა თუ იმ ორგანოების მოქმედებებზე, ცვლიან ფიზიოლოგიურ და ბიოქიმიურ რეაქციებს. ჰორმონების თვითრეგულირება დიდ როლს ასრულებს როგორც ქალის, ისე მამაკაცის სექსუალური შესაძლებლობების, ურთიერთშესაძლებლობის გაძლიერებაზე და ეს უნდა გავითვალისწინოთ დაქორწინებამდე.

– ეს ყველაფერი კარგია, კარგია, რომ ჩვენს განათლებაზე ზრუნავ, ძვირფასო თამადავ, მაგრამ ამ საქმეში მარტო განათლება არ კმარა, ცოდნაც გვარგუნე და აგვიხსენი, როგორ უნდა შევარჩიოთ ქალი, რომ ჩვენი შვილები და შვილიშვილები გავანათლოთ, რათა მეორედ და მესამედ არ დასჭირდეთ ცოლის გამოცვლა, მით უმეტეს, ჩემი ორი ვაჟი დასაქორწინებელია.

– ჩემო რეზო, გაიხსენე შენი ახალგაზრდობა, თუ არა და ჩემი გამოცდილებიდან გეტყვი: როდესაც ახალგაზრდა ხარ და სისხლი გიდუღს, მაშინ დიდ მნიშვნელობას როდი ანიჭებ ქალის გარეგნობასა და მის წლოვანებას; როდესაც საღამო ხანს, ბარის ან რესტორნის მონახულების შემდგომ, ახვალთ სასტუმროს ნომერში, ერთხელ ან ორჯერ ზედიზედ იღებთ სიამოვნებას და მას უკან ძილს მიეცემით, მაგრამ დილას „სავალდებულო“ წესი ხომ უნდა აღასრულო ქალთან ურთიერთობაში და, თუ ამ დროს ქალს შენთვის არასასიამოვნო სუნი ასდის, ის ქალი შენი

ჰორმონების შესატყვისი არაა. ასეთ ქალთან სერიოზულ ურთიერთობაზე, დაოჯახებაზე არ უნდა იფიქრო, რადგან სანამდის ახალგაზრდა და ჯეელი ხარ, ამ სუნს ყურადღებას არ აქცევ, მაგრამ უეცრად გამოჩნდება შენი ჰორმონებისათვის შესაფერისი ქალი, დაუახლოვდები; შედეგად ოჯახი ინგრევა და ამ ნგრევას შვილების ყოლა ვერ შეაჩერებს.

ასე რომ, ძვირფასო სუფრის წევრებო, გადაეცით თქვენს დასაოჯახებელ შვილებს, შვილიშვილებს, რომ ქალისა და მამრის დაოჯახებისას უმთავრესია ჰორმონების ურთიერთმორგება და არა ხასიათი, მსოფლმხედველობისა და ჰოროსკოპის თანხვედრა და ა.შ..

– ბატონო გიორგი, რას გვეტყვი ჰოროსკოპზე, იქაც არის მინიშნებები, თუ რომელმა ზოდიაქმა რომელ ზოდიაქოს უნდა დაუკავშიროს თავისი ბედი, რათა საფუძვლიანი და საიმედო ოჯახი შეიქმნეს.

– ჩემო დემურ, მე ჰოროსკოპისა არაფერი გამეგება, მაგრამ ჰოროსკოპიც თავისებური მეცნიერებაა, რომელიც მრავალი წლის დაკვირვებების შედეგად არის ჩამოყალიბებული და მისი მე ასე თუ ისე მჯერა, მაგრამ, რამდენად აქვთ ჰოროსკოპისტებს მამაკაცის ჰორმონები შესწავლილი, მე ამაზე წარმოდგენა არ მაქვს, მაგრამ მათი რჩევები მაინც გასათვალისწინებელია.

– მოდით, ბიჭებო, ამ სასმისით ჩვენი აზროვნებისა და ცოდნის ხარისხის სადღეგრძელო შევსვა, რადგან არის ცოდნის რაღაცა სახე, რომელიც ყველა დროში, გარემოსა და ასაკში გჭირდება, თუნდაც ჩვენი შვილიშვილების დასამოძღვრად და დასამუნათებლად.

– არა ხარ, ჩემო დემურ, მართალი: რაღაც 100 წელი გაივლის და, დღეს რომ ამ მსუბუქი ავტომანქანის ბუმია, ხვალ ის მოძველებული იქნება, ქალებსა და კაცებს მომავალში, ალბათ, რობოტები ჩაანაცვლებს და შემდგომში დაოჯახება საჭირო იქნება თუ არა, ღმერთმა უწყის. 300 წლის შემდეგ კოსმოსში სხვადასხვა პლანეტებზე თუ დასასვენებლად ან სამოგზაუროდ გავემგზავრებით, მაშინ ჩვენს მენტალიტეტს, ტრადიციებს დედა ეტირება.

– ეგ როგორ, გიორგი?!

– როგორ და, ჩემო დემურ, მთვარესა ან სხვა პლანეტაზე რომ წავა არა მარტო შენი შთამომავალი, არამედ დედამიწაზე აწყობილი რობოტი, მასაც ხომ შეეკითხებიან, საიდან ხარო? ის ეტყვის დედამიწაზე შექმნილი რობოტი ვარო. ასე რომ, როდის დადგება რობოტების დიქტატურა, არავინ უწყის, განსაკუთრებით საშიში იქნება თვითმყოფადი რობოტები, რომლებიც თავიანთ აზრებსა და სურვილებს თავზე მოგვახვევენ, თან, თუ ეს რობოტები ქალისა და კაცის სექსუალურ მომსახურებას გაგვიწევენ ისინი კონკურენციასა და ადამიანებთან ურთიერთობას აღარ დასჯერდებიან და ეს სამყარო მთლიანად რობოტებს ჩაუვარდებათ ხელში; ისინი ამიერიდან უკვე ადამიანებს გამოიყენებენ ტაკიმასხარად და გასართობად; ასე რომ, ნაძალადევ და განუსჯელ ცივილიზაციას უნდა ვუფრთხილდეთ, თორემ არც მომავალ თაობებს დაადგებათ კარგი დღე. ამიტომ ადამიანის მხრიდან უდიდესი სიფრთხილე და გონიერებაა საჭირო, რათა თავადაც მარიონეტ თოჯინად არ გადაიქცეს.

– გიორგი, თუ ასე უიმედო მომავალს ხედავ, მაშინ რაღად გვთავაზობ ამ ცხრილებს, დიაგრამებსა და ნოტაციებს?!

– ჩემო ოთარ, ხვალ რა იქნება, არავინ უწყის. ამიტომ ყველა ჩვენგანი თავის დროს უნდა ემსახუროს, ოღონდ დინჯად, წინდახედულად და ურთიერთდაუპირისპირებ-ლად, რადგან, ჩვენზე დიდი ერები იყვნენ, თავი დიდად მოჰქონდათ და „ცა ქუდად არ მიაჩნდათ და დედამიწა – ქალამნად“, მაგრამ დღეს წყნარად არიან და თავიანთ ტყავში ეტევიან. რომი, ეგვიპტე, საბერძნეთი, მონღოლეთი – ყველა მათგანს ჰქონდა აყვავების პერიოდი, მაგრამ დრო და გარემო ცვალებადია. მოდით, ბიჭებო, ამ სასმისით კიდევ ერთხელ გაუმარჯოს ჩვენს შეუცნობად სამყაროს, რომლის სიურპრიზებს, ადამიანის გონება, ეტყობა, ვერასოდეს ჩასწვდება.

– მხარი დავუჭიროთ თამადას! ჩვენს შეუცნობად სამაყროს გაუმარჯოს, სადაც ჩვენ გვიხდება ცხოვრება. ღმერთსა თუ სხვა ჩვენთვის უცნობ ძალას, ამ სამყაროს შემქმნელს ვთხოვოთ, იმქვეყნად გადასახლების საშვი, რაც შეიძლება, გვიან გამოგვიწეროს, რათა საშუალება მოგვეცეს ამ სამყაროს საოცრების რაღაც ნაწილს კიდევ ჩავწვდეთ და გავიაზროთ.

– ჩემო მეგობრებო, დღეს სრულად შესაძლებელია, არა 50-100 წლის, არამედ 200-300 წლის შემდგომაც კი კვლავ შევხვდეთ ერთმანეთს. თქვენ, ალბათ, წაკითხული თუ არა, გაგონილი მაინც გექნებათ კრიოკონსერვირების შესახებ, როდესაც გარდაცვლილ ადამიანს თხევადი აზოტის დახმარებით მინუს 196 გრადუსზე ყინავენ და არის

იმედი გარდაცვლილი ორგანიზმისა და, მათ შორის, ტვინის დაუზიანებლად რეანიმაციისა. სხვათა შორის, გარკვეული რაოდენობის გაყინულ ცხედრებს ინახავენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში და ეს დღეს ჯდება დაახლოებით 60000 დოლარი, ანუ ერთი სამოთახიანი ბინის ფასი. ამ თანხას ერთდროულად გადაიხდი და იქნები მშვიდად, სანამდის 22-ე ან 23-ე საუკუნეში არ გამოგაღვიძებენ და გაგაცოცხლებენ. ახლა თქვენ წარმოიდგინეთ, 200 წლის შემდგომ რომ შევიკრიბოთ, როგორ ვიმხიარულებთ და ერთმანეთს იმქვეყნის ამბებს რა გატაცებით მოუყვებით, აბა, ვინ არის თანახმა ფული რომ შევაგროვოთ და კრიოკონსერვირებისთვის გავემზადოთ? ეს ხელის აწევით გამაგებინეთ!

– რატომ ხარ წინააღმდეგი, ჩემო ოთარ, ამ სამყაროს რომ, ვთქვათ, 200 წლის შემდგომ მოევლინოთ ჩვენთან ერთად?

– მოდი, გიორგი, განგებას თავზე ნუ გადავახტებით, ვიცხოვროთ იმდენი, რაც გვეკუთვნის და განგებას ჩვენთვის დაუდგენია, ამასთანავე, რა უნდა გავაკეთოთ იმ გარემოში, როდესაც ახლობლები ირგვლივ არა გვყავს და გარემოცა და ქცევის ნორმებიც შეცვლილია?

– ოთარ, შენ მთავარს ვერ ხედავ. განა გაცოცხლებად არა ღირს თუნდაც ის, რომ შენი შვილიშვილის შვილის ნაშიერსა ნახავ, გაეცნობი, გაარკვევ, რა მასტის, რა ჯიშ-ჯილაგის გამგრძელებლები დატოვე.

– გიორგი, ჯერ ამაზე არ დავფიქრებულვარ და დღეს რამე პასუხის გაცემა მიჭირს.

– ხომ ხედავთ, მეგობრებო, ტექნიკური პროგრესი რა სწრაფად მიიწევს წინ. დღეს უცხო პლანეტების არსებობაში ეჭვი უკვე აღარავის გვეპარება, ამასთანავე, ჩვენი რწმენა, შეხედულება, ტრადიციები წინაპართა მიერ ჩვენი აღზრდის შედეგია.

თქვენ რა გგონიათ, დღეს უცხოპლანეტელები რომ ჩამოვიდნენ, განუკურნებელ დაავადებებს უმკურნალონ და გარკვეული, ჩვენთვის უცნობი, სასწაულები მოახდინონ, ახალი მსოფლმხედველობა და სარწმუნოება შემოგვთავაზონ, ხალხი მხარს არ დაუჭერს?

– რა თქმა უნდა, დაუჭერს, რადგან, როგორც კერპთთაყვანისმცემლობამ მოჭამა ჭირი თავის დროზე უამრავი სალოცავი კერპების გამო, ასევე, დღევანდელი ტექნიკური პროგრესიც ამასვე გვაიძულებს, რადგან განა შეიძლება, სამყაროს ღვთის ამდენი წარმომადგენელი ჰყავდეს დედამიწაზე? აბა, შევიხსენოთ: ბუდა, ქრისტე, მუჰამედი და, კიდევ ვინ იცის, ვის რა ღმერთი სწამს, მით უმეტეს, ქრისტიანულ სარწმუნოებაში ამდენი განშტოება გვაქვს: მართლმადიდებლები, კათოლიკეები, პროტესტან-ტები, გრიგორიანელები და, ვინ იცის, კიდევ რამდენი სხვა წვრილმან-მსხვილმანი მიმართულება და სექტა!

– ჩვენ, ჩემო რეზო, ერთმანეთს ფიზიკურად მაინც არ ვუპირისპირდებით, ახლა ნახე, რა ამბავია მუსლიმანურ სარწმუნოებაში, როგორ ხოცავენ ერთმანეთს, თუნდ უმნიშვნელო განსხვავებისათვის რწმენაში. აგერ 21-ე საუკუნე დადგა და რა დროს შახიდებია, რატომ ებრძვი შენი სარწმუნოებისავე ადამიანს, განა დიდი მნიშვნელობა აქვს ქრისტიანისათვის იმას, მარჯვნიდან დაიწყებ პირჯვრის

წერას თუ მარცხნიდან, როდესაც ასე საოცარი რაღაცები ხდება სამყაროში? ეტყობა, ჩვენთვის შეუცნობელი ძალა შიდა დაპირისპირებებს აღვივებს ერთმორწმუნეებში, რათა მოკლე ხანში, ასე, 50-100 წელიწადში, დედამიწის მოსახლეობა ერთ სარწმუნოებას გვაზიაროს.

– გიორგი მართალს ამბობს, ალბათ, ჩამოვლენ უცხოპლანეტელები და გვაზიარებენ ერთ დიდ და ყოვლისმომცველ სარწმუნოებას, ერთ ღმერთს, – დაეთანხმა ლადო.

– გიორგი, რატომ არ შეიძლება, ღვთისა და რწმენის გარეშე ვიცხოვროთ?

– არ შეიძლება, ჩემო რეზო, ადამიანის არსება რაღაცამ უნდა აღზარდოს და მოთოკოს. კომუნისტების მმართველობის დროს სადმე გინახავთ, ახალგაზრდებს ასე სახალხოდ ჯვარი გადაეწეროთ და ღვთის წყალობა ეთხოვოთ? მაშინვე მათ კარიერას წერტილი დაესმებოდა. დღეს ეკლესიის დანახვისას, ყველა თუ არა, საზოგადოების გარკვეული ნაწილი მაინც პირჯვარს იწერს და ამით სულს იმშვიდებს, იმედს ელაციცება.

– რას იზამ, სოციალიზმიც, კომუნიზმში გადასვლის პერსპექტივაც, თავისებური სარწმუნოება იყო თავისი ახლად გამომცხვარი ღმერთებით. ესენი არიან: მარქსი, ენგელსი, ლენინი, სტალინი, მაგრამ დროისა და გარემოების ჭიტლაყს ვერც ამ ახალმა სარწმუნოებამ გაუძლო.

– მოდით, ბიჭებო, ამ სასმისით იმ ღვთის სადღეგრძელო შევსვათ, რომელიც ყველაზე მეტად უნდა

გვწამდეს – ეს ჩვენი სამშობლოა, შვილებია, დედმამი-შვილებია, მეორე ნახევრები და შთამომავლობაა. რას იტყვით, ხომ მხარს მიჭერთ? – წამოდგა ფეხზე ხელსასმისიანი ლადო.

– ჩემო ლადო, მხარს როგორ არ გიჭერთ, მაგრამ, ეტყობა, ტექნიკური პროგრესი მაგ გრძნობებსაც ბოლოს მოუღებს. ის სხვა გრძნობაა, როდესაც შვილი და რძალი სახლში გვყავს და ხან ავად, ხან კარგად ეპყრობიან ერთმანეთს, მაგრამ სულ სხვა სიყვარულია, როდესაც ერთმანეთს „სკაიპით“ ხედავთ და ესიყვარულებით; თუ ადამიანები ერთმანეთს არა ხვდებიან, მათ შორის წარმოიშიშვება გაუცხოება. აბა, წარმოიდგინეთ, როგორია შენი შვილი მთვარეზე, მარსსა ან რომელიმე სხვა პლანეტაზე გადავა საცხოვრებლად უკეთესი ცხოვრების ძიებაში და იქიდან დაგიკავშირდება და სად გვერდზე რომ გყავს რძალი, შვილიშვილები, შვილთაშვილები!

– მე მინდა, ბიჭებო, ჩვენი თაობის სადღეგრძელო შემოგთავაზოთ. ჩვენ გაგვიმართლა და სკოლისა და ინსტიტუტის დამთავრების შემდგომ საქართველოში დავრჩით საცხოვრებლად. თქვენ წარმოგიდგენიათ? 100-200 წლის შემდეგ რომ დავბადებულიყავით, რამხელა წინააღმდეგობების გადალახვა მოგვიხდებოდა, ჩვენ რომ ერთურთს შევხვედროდით.

– მეორე ვარიანტიც ხომ არსებობს, ჩემი ბორის, გვექნებოდა კი სურვილი, სხვა პლანეტებიდან წამოვსულიყავით ერთმანეთთან შესახვედრად? ან კიდევ, მოვფერებოდით ერთმანეთს და ასე ქართულ ყაიდაზე წარგვემართა ეს სუფრა?

– მაშინ, გიორგი, ამ სადღეგრძელოს მე ასე ჩამოვაყალიბებ, – წამოდგა რეზო, – ყველას იმ დროში გაგვიმარჯოს, რა დროშიც განგებამ ცხოვრების უფლება მოგვცა! მე, მაგალითად, იმაზე თავს ვერ დავდებ 30-50 წლის შემდგომ რა იქნება. ასე რომ, ყველამ თავისი დროის „ბოსტანს“ მოუაროს, რას იტყვით, ხომ ხედავთ, რა ძნელი ყოფილა განსჯა და წინხედვა?!

– კარგია, ჩემო რეზო, ამ სამყაროს ავ-კარგში რომ გავერკვეთ, მაგრამ მე მინდა ჩვენს დროს ვემსახუროთ და შენი აზრი მაინტერესებს ქართველების გამრავლების ტაბულაზე. პრაქტიკულად თუ არა, თეორიულად ხომ შესაძლებელია მისი განხორციელება, რადგან ამ პლანეტაზე ყოფნის გარანტი ჩვენი შთამომავალების გამრავლებაა.

– თეორიულად, ჩემო გიორგი, როგორც ვთქვი, ყველაფერია შესაძლებელი და მე შენს ცხრილს ყოველ-ნაირად ვეთანხმები, მაგრამ, თუ განგებამ არ ინება, არაფე-რი გამოვა. აგერ წინა საუკუნის ბოლოს რამდენ იზმებთან გვქონდა საქმე ქართველებს: ზვიადიზმი, ედუარდიზმი, მიშიზმი, ბიძინიზმი და, კიდევ ვინ იცის, ვისი „იზმის“ ვითარებაში მოგვიხდება ცხოვრება. ამიტომ ყველას გისურვებთ: განგების მიერ თქვენთვის მინდობილი საქმე გაგეკეთებინოთ, პოლიტიკაში ღრმად არ შეგეტოპოთ და თქვენი სიამოვნებისათვის გეცხოვროთ, სიბერეში მაინც. ამიტომ თავს დიდად ნუ გადავიტვირთავთ, ბატონო თამადავ, მე პირადად ყველაფერში გეთანხმები და ამ სასმისით მინდა შევსვა ჩვენი ბედის სადღეგრძელო; გისურვებთ, დროსა და გარემოს ჩვენთვის არ დაეცინოთ

და ჩვენ მიერ წარმოდგენით შექმნილ სამყაროში ცოტა მაინც გვეცხოვროს, ხოლო ჩვენ გავმრავლდებით თუ არა, ეს, ეტყობა, ზეციურ ძალაზეა დამყარებული; მოდით ბიჭებო, ამ სასმისით დღევანდელი დღის სადღეგრძელო დავლიოთ, რომელმაც ლაპარაკისა და ურთიერთმოფერების საღერღელი აგვიშალა. დღევანდელი დღის სადღეგრძელო შევსვათ, ყოველგვარი გაჯანჯლებისა და ცხოვრების მოფერების განსჯის გარეშე!

– რას ვიზამთ, მე მთლიანად ვეთანხმები ჩვენი ოთარის ნათქვამს. აბა, მხარი დამიჭირეთ და უსიტყვოდ მივაგოთ პატივი დღევანდელ დღეს! – ოთარმა ჭიქა გამოცალა და დაჯდა, სხვებმაც მას მიბაძეს.

– რაკიღა სჯა-ბაასის საღამო გამოგვივიდა, მინდა მეორე კითხვა დაგისვათ; მინდა გავიგო თქვენი აზრი დღევანდელი გადასახედიდან: რომელ დროში გერჩიათ ცხოვრება, ოღონდ პრაქტიკულად და არა თეორიულად: სსრ კავშირში, რომელიც იმ დროს იკავებდა მთელი ჩვენი სამყაროს ერთ მეექვსედ ნაწილს და იმ სახელმწიფოში ყველაზე დაფასებული და მიღებული ერი ვიყავით, თუ დღეს, როდესაც ყველას ველაქუცებით, იქნებ, ფული გადმოგვიგდონ და რუსეთისაგან დაგვიფარონ. ამასთანავე, ჩვენს აღმავლობას ხელს ისიც უწყობდა, რომ რესპუბლიკიდან რუსეთში უპრობლემოდ გადიოდი სამუშაოდ, ამასთან ერთად, გასაღების ბაზარი უკიდეგანოდ დიდი გვქონდა. ყოველივე ეს ჩვენში ცხოვრების დონის ამაღლებას იწვევდა. დღეს კი 251 ქვეყანას შორის გარკვეულ საკითხებში პირველ ასეულშიც ვერა ვხვდებით. კითხვა ასეთია, დღევანდელი გადასახედიდან საბჭოთა

კავშირის შემადგენლობაში სჯობდა ცხოვრება სადაც სამშობლო გვქონდა და არა სახელმწიფო, თუ დღევანდელ სიტყვით დამოუკიდებელ, დემოკრატიულ საქართველოში, სადაც სახელმწიფო გვაქვს და სამშობლოს სიყვარულმა რეალურად ჭირი მოგვჭამა. ეს მაშინ, როდესაც ყველა უცხოელს ხელებში შეჰყურებ, იქნებ, წყალობა გაიღოს, დაგვაფინანსოს ან ინვენსტიციები ჩადოს, რათა იქიდან უკუგორებით ჩვენმა ხელისუფლებაში გამძვრალმა ნაძირლებმა ფული იშოვნონო?

დღეს სახელმწიფოდ გვცნობენ, მაგრამ სამშობლოს თანდათანობით ვკარგავთ, რადგან მილიონზე მეტი ქართველია სამშობლოდან გასული მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

– გიორგი, ცოტა ძნელი სათქმელია, მაგრამ უნდა ვთქვა: ყველა ჩვენგანი გულში ოცნებობდა, საქართველო თავისუფალი და დამოუკიდებელი ყოფილყო და ყველა ჩვენგანის ოცნება იყო, ის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გვენახა, მაგრამ, აქედან თუ ასეთი „დომხალი“ გამოვიდოდა და ჩვენი ხალხი ასე აიჭრებოდა ამ ვითომდა თავისუფლებისა და დემოკრატიის მორევში, ამას ვერავინ იფიქრებდა! ერთი სიტყვით, სურვილი და ოცნება მის საწინააღმდეგო გარემოს წინასწარ ვერ განჭვრეტენ.

– მაგრამ, ბატონოვ, თამადა დღეს ხომ იმ 251 ქვეყანაში შევდივართ და მაინც თავისუფალი სახელმწიფო გვქვია.

– მართალი ხარ, ჩემო რეზო, მაგრამ ღირდა კი ეს თავისუფლება ამდენი უაზრო სისხლის ღვრად, გაჭირ-

ვებად, ტერიტორიების დაკარგვად? რამდენი პერსპექ-ტიული ახალგაზრდის სიცოცხლე შეეწირა ამ უაზრო დაპირისპირებას? ჩვენ ერთი რამ ვერ გავიგეთ: ყველა იმპერიას არსებობის რამდენიმე წელი ან საუკუნე აქვს, შემდგომ ისინი იშლებიან და ამ დაპყრობილი ქვეყნების მოქალაქეთა ხელში ხვდებიან. აგერ ავიღოთ ინგლისი. თითქმის მთელი სამყაროს ნახევარი დაპყრობილი ჰქონ-და, დღეს რა შერჩა ხელში? მხოლოდ ის, რომ ცალკეულ ქვეყნებს სალაპარაკო ენად დაუტოვა ინგლისური. იგივე ბედი ეწია ესპანეთს, პორტუგალიას, საფრანგეთს. ამჟამად კი მათ თავი უნდა დააღწიონ ამდენი ემიგრანტის შემოსე-ვას ყოფილი დაპყრობილი ქვეყნებიდან. მათი იმპერიული წარსული დღეს მათი თავის ტკივილად იქცა.

ამ დროს ფეხზე წამოდგა ოთარი: – ამ საკითხის განხილვასთან დაკავშირებით ერთი კარგი სადღეგრძე-ლო მინდა შემოგთავაზოთ და აგიხსნათ, თუ ამდენი ჯახიდან ქართველები ბოლოს მაინც რატომ გამოვდივართ გამარჯვებული.

ადამიანებმა რომ ხის კარგად დამუშავება ისწავლეს, ინგლისელებმა გემების გაკეთება დაიწყეს, ხოლო ქართველებმა – საწნახლის. ინგლისელებმა ეს გემები სხვადასხვა იარაღით აღჭურვეს და ისე იპყრობდნენ სხვა-დასხვა ხალხს და მათს ტერიტორიებს, ხოლო ქართვე-ლებმა ამ საწნახელში ყურძენი დაწურეს, იქიდან ღვინო ამოიღეს და ამ ღვინით დაიპყრეს უცხო სახელმწიფოების მოქალაქეთა გულები. ასე რომ, თეორიულად ორივენი დამპყრობლები ვართ, იმ განსხვავებით, რომ ერთი სხვა ქვეყნების სხეულს ფიზიკურად იპყრობს, ჩვენ კი – მათ

სულებს. ამ სასმისით ღვინის იარაღით შეიარაღებულ დამპყრობლების სადღეგრძელო მინდა შემოგთავაზოთ ქართველების თამადობით. ამ ერისთვის სტუმრის პატივისცემა უმთავრესი თავის მოსაწონარია, რაც გენში უზის.

– ისე, ჩემო გიორგი, მართლა საინტერესო და საოცარი ხალხი ვართ: ყველა წუწუნებს, ფული არა გვყოფნის, გაჭირვებაში ვართო, მაგრამ საკმარისია, სტუმარი ესტუმროს, ისეთ პურ-მარილს გაუშლის, თავადაც უკვირს.

– რას ვიზამთ, ჩემო ბორის, ეს გენეტიკა, კუდაბზიკობა, ტრადიცია, აღზრდაა და თვითმყოფადობის ამ ელემენტს არაფერი შველის და მე ვისურვებდი, რომ არც არაფერი ეშველოს!

– ამ სასმისით მე მინდა ჩემს ერს ვუსურვო, რომ მარად თეთრი ყვავები ვიყოთ ამ სამყაროში. სხვათა შურიან თვალებში საკუთარი მე გვეჯირითებინოს, საკუთარი მესთვის მეტი პატივი გვეცეს და სიამოვნება მიგვეღოს! ბოლოს და ბოლოს, რაღაცით ხომ უნდა განსხავავდებოდე სხვა ერებისაგან?

– ამ სასმისით მინდა იმათ ხსოვნისა და მოგონების სადღეგრძელო შევსვათ, ვისი გენისაცა ვართ, რადგან ჩვენი წინაპრებიც ასე დაუფიქრებლად ცხოვრობდნენ და, ეტყობათ, ბედნიერებიც იყვნენ.

– მე კიდევ, ჩემო ომარ, შენს სადღეგრძელოს დავუმატებ, მოდით და ამ ჭიქით ჩვენი სულიერების მუსიკალურ ჟღერადობას გაუმარჯოს, რომელიც საშუალებას გვაძლევს, ერთად ყოფნითა და ამ სუფრის მადლით დავტკბეთ.

– ამ სასმისით, მეგობრებო, მინდა შევსვა ყველა ჩვენგანის ღირსებისა და მაღალ ღირებულებათა სადღეგრძელო. ეს ღირებულებები ქართველთა საკუთრებაა და არა პლანეტაზე მცხოვრები რომელიმე სხვა ერისა! ფეხზე წამოდგა და ისე გამოცალა ჭიქა ლადომ.

– მოკლედ, ძვირფასო ჩემო სუფრის წევრებო, ჩვენ მიერ წარმოთქმული სადღეგრძელოების რეზიუმე ასეთია: „რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ“. ჩემი აზრით, რადგანაც ეს ასაკოვანი ხალხი დღეს აქ შევიყარეთ, ესეც თავისებური ურთიერთგაგება, ურთიერთმონატრება და სიყვარულია. მოდით, რიგის შესატყვისად ყველამ კიდევ ერთხელ ვთქვათ სადღეგრძელო სიყვარულზე, ვისაც როგორ ესმის და რისი თქმაც ამ საკითხზე გაუხარდება. ჩვენი წესდების თანახმად, დავიწყოთ ალფაბეტით და ამ პირველი სიტყვის თქმა ბატონ დემურ ბახტაძეს მივაკუთვნოთ.

– ამ სასმისით მინდა შევსვა შვილების მოსიყვარულე დედის სადღეგრძელო, რომელიც წინასწარ გრძნობს, თუ მის შვილს რა წაადგება ცხოვრებაში. ერთ ამბავს გიამბობთ: ოჯახისთვის მოუმწიფებელმა ბიჭმა მამასთან სიცოლე მიიყვანა და უთხრა, ამ ქალიშვილზე უნდა დავქორწინდეო. მამას არ მოეწონა საპატარძლო და ეშმაკობა იხმარა:

– რას ამბობ, შვილო, ეს ხომ შენი დაა! შენსავით ახალგაზრდა რომ ვიყავი, ქალებში დავდიოდი და ეს გოგონა მაშინ გაჩნდაო.

– გავიდა რამდენიმე ხანი და შვილმა ახლა სხვა გოგონა წარუდგინა და ნებართვა სთხოვა მასზე დაქორწინებისა. მამას არც ეს სარძლო მოეწონა:

– არ შეიძლება, შვილო, შენი დააო!

გაბრაზებული და ნაწყენი ბიჭი მივიდა დედასთან და ყოველივე უამბო, – დედას გაეღიმა: რომელზეც გინდა, იმ გოგონაზე დაქორწინდი, შვილო, მამაშენი შენი ნამდვილი მამა მაინც არ არისო. აი, ასე იხსნა წინდახედულმა ქალმა თავისი შვილი ვითომდა ქალებში მოგულავე ქმრის კაპრიზებისაგან.

ამ სასმისით წინდახედული და განსჯადი დედების და, მათ შორის ჩვენი ცოლების, სადღეგრძელო მინდა შევსვა, რომლებსაც, იმედია, ჩვენთვის ჯერ არ უღალატიათ და, აწი რას იზამენ, მათ სინდისზე იყოს.

– ახლა, ვგონებ, ჩემი რიგია, – ფეხზე წამოდგა თეიმურაზი:

– მამაკაცები ერთმანეთს შეხვდნენ ერთ-ერთის ბინაში. ძმაკაცმა სუფრაზე შემოდგა OC მარკის ძალზე ძველი კონიაკი და განაცხადა, დავლიოთ.

სტუმარი ჩაფიქრდა და ძმაკაცს ეკითხება:

– რა სჯობს, 20 წლის სანატრელი კონიაკის დალევა, თუ 70 წელს გადაშორებული ცოლის მომსახურება. დღეს ეს საკითხი ჩვენ არ გვაწუხებს და მოდით, ამ სასმისით ქალებს გაუმარჯოს, ხოლო არჩევანს ვინ როგორ და რაგვარად გააკეთებს, თავისი მეობის საქმეა. თეიმურაზ, როგორც ამ სადღეგრძელოს ავტორს, გეკითხები: დღეს რომელ ვარიანტს აირჩევდი ამ სიბერის ჟამს? მე, რა თქმა

უნდა, კონიაკს თქვენთან ერთად დასალევად, რადგან არა მგონია, დღეს კონიაკს ქალი ვამჯობინოთ.

– აბა, ჩემო დავით, შენი აზრი ამ ფილოსოფიურ საკითხზე!

– მოდით ამჯერად გაუმარჯოს იმ გრძნობათა ჩოჩქოლს, რომელიც დროებით განსჯის უნარს გვართმევს, მიღებულ ურთიერთობათა სტერეოტიპებს არ ემორჩილება. ზოგჯერ მას სულიერების აღმაფრენასთან ერთად გრძნობათა აშლილობა ჰქვია. ახლა თქვენ რაც უნდა გისურვოთ, უკვე დაგვიანებულია, მაგრამ თქვენს შთამომავალს ვუსურვებ, რომ ამდაგვარი გრძნობათა ჩოჩქოლით სიცოცხლეში თუნდაც ერთხელ მაინც დაავადებულიყვნენ, რომ ჩვენს ასაკში ის ამბავი სასიამოვნო მოგონებად შემორჩენოდეს.

– აბა, ჩემო რეზო, შენი აზრიც ჩამოგვირისტე ამ უკვდავი და დაუდგრომელი გრძნობის შესახებ.

– ამ სასმისით იმ გრძნობათა ჩოჩქოლს გაუმარჯოს, თქვენი წარსულის გახსენება რომ არ ეზარება და ცხოვრების ბოლომდე გაუანჩხლებლად გამოგყვება; შემოგხედავს, არაფერს გეტყვის, გული კი გაგინათდება და იმ წამის მარადისობას განატრებინებს, – რეზომაც ეს ჭიქა სულმოუთქმენლად გამოცალა.

– აბა, ომარ, შენს ჯერ ნუ გააციებ!

– ამ სასმისით მინდა შემოგთავაზოთ ჭეშმარიტად დიდებული სადღეგრძელო. რაზეც ვლაპარაკობ, ის უნატიფესი გრძნობაა, რომელსაც არ ეკადრება განუსჯელი ცნობისმოყვარეობა. სულიერებას გაუმარჯოს და იმ ხალხსაც, ვისაც კი ერთხელ მაინც შეუცნია ამ გრძნობის მადლი!

– აბა, იუზა, ვგონებ, შენი რიგია, რას გვეტყვი უკეთესს, ხომ ხედავ, რომ ამ გრძნობათა ჩოჩქოლს თავს ვერ ვანებებთ.

– არის ასეთი გამოთქმა: სიკვდილი ხომ საშინელებაა და უბედურება, მაგრამ უსიყვარულო სიცოცხლე სიკვდილზე უარესია. ვისაც ეს ნამდვილი გრძნობა ჯეელობაში არ გამოგიცდიათ, ამ სიბერეში მაინც გამოგეცადოთ, არც ახლაა დაგვიანებული. ამ სიბერეში რატომღაც ჩემი ცოლი უფრო მიყვარდება, თუ გნებავთ, ამ სიყვარულს პლატონური დაარქვით!

– ჩემი სუფრის წევრთა წინაშე ამ სადღეგრძელოს მოკლედ ვიტყვი: ვისაც ვინ უყვარს, ვისაც რა უყვარს და ვისაც წარსულის გრძნობათა ღელვა დღესაც აღელვებს და ახსოვს, ყველას გაუმარჯოს! ოთარ, შენ დაუკა! ანუ დაუმატე!

– ეს იმ პირველ სიყვარულს გაუმარჯოს, რომელიც მეორეზე არ გვაფიქრებინებს, ხოლო ეს იმ მეორე სიყვარულს გაუმარჯოს, რომელიც პირველს დაგვავიწყებს. ვგონებ, ჩვენ მაინც შეცდომა დავუშვით, რომ ჩვენი დღევანდელი მეორე ნახევრების თამადობით ეს სადღეგრძელო გამორჩეულად არ დავლიეთ. ჩვენ დაღვინებული გრძნობების სადღეგრძელო უნდა შევსვათ. ესენი არიან ისინი, ვინც შემოგვრჩა და ვისაც შემოვრჩით, ხოლო სხვა სიყვარულმა უკვე ჭირი მოგჭამა, რადგან დღევანდელ გადამოწმებულ სიყვარულს ურთიერთთანადგომა, ნდობა ემატოს და, რადგანაც ასაკში, ცოლის გარდა, დიდად გული ჩვენზე არავის შესტკივა, ამ სასმისით ჩვენთვის გასაგებ და დღემდე გაუგებარ გრძნობათა ღელვას,

სიყვარულს, გაუმარჯოს! ეს დღეს ასე მოჩანს, ჩვენი გონიერების გადასახედიდან, რადგან დღეს იმ ასაკში ვართ, რომ სიყვარულს გონიერებაც უნდა წავახმაროთ.

– აბა, ახლა მარად პერსპექტიულ სასიძოს, ჩვენს პაატას მოვუსმინოთ, რას გვეტყვის და როგორ შესვამს ამ მარადიული გრძნობის სადღეგრძელოს, მოგვასმენინოს ამ საკითხზე თავისი აზრი!

– „ამ ნაპოვნ სიყვარულს გაუმარჯოს, დაკარგულ სევდასა და ცრემლს, ყველა საცდუნებელ ქალს გაუმარჯოს, ყველაზე სასიხარულო დღეს“. ასე რომ, მე კიდევ მრჩება დრო სანუკვარი მეორე ნახევრის ასარჩევად და შესაყვარებლად, თქვენგან განსხვავებით. ამიტომ წინასწარ გთხოვთ, ჩემი რჩეული მეორე ნახევრის სადღეგრძელო შევსვათ, რომელიც დროა, უკვე გამოჩნდეს, მოკლედ, როგორც შეგპირდით, ყველა თქვენგანი ქორწილში დაპატიჟებული მყავხართ. მერე არ იყოს წყენა, არ გავახსენდი და არ დამპატიჟაო.

– პაატა, ოღონდ კი ცოლი მოიყვანე და ამ ხალხის მობილიზებისა და შენს ქორწილში დასწრების პირობას პირადად მე გაძლევ.

– შევთანხმდით!

– აბა, რეზო, მოგვაშველე შენი სადღეგრძელო ამ გრძნობაზე!

– „მინდა, რომ შევსვა სასმისი. ერთი მუდამ გვახსოვს – მაღალი ღმერთი. ეს გრძნობათა ღელვა საით წაგვიყვანს, ჩვენს ოცნებასთან ნეტავ მიგვიყვანს, თუ გული გწამს

და გონებაც იღვწის, ყველა ბილიკი გრძნობებისაკენ ილტ-ვის“. ჩვენ მიერ გაცნობიერებულ გრძნობას გაუმარჯოს, რომელსაც სიყვარული ჰქვია.

– რას ერჩით ამ სუფრის წევრებს. ყველა წარმატებით მეტყველებს სიყვარულზე, აბა, ჩემო ლადო, შემაჯამებელი დასკვნები შენ უნდა გამოიტანო და დამაჯერებელი წერტილი შენ უნდა დაუსვა ამ სადღეგრძელოს.

– „როცა მინდოდა მისი გულის მონადირება, ტკბილი სიტყვები, რაც გამაჩნდა დავხარჯე ხელად, მაგრამ ყვე-ლაზე უკეთ სჭირდა ეს დაპირება, ცოლად შეგირთავ, ძვირფასო ჩემო ლამარავ, მომავლის დედავ“, ასე რომ, მე დიდი გრძნობათა ჭიდილი არ მქონია, მომწერა: „შემი-ყვარდა, ცოლად მოვიყვანე“. ამრიგად, ჩემი გრძნობების ფინალის სიყვარული ჩვენი მეორე ნახევრებია. ამიტომ სიყვარულს გაუმარჯოს მათი თამადობით, მოკლედ, რეზიუმე არ აქვს ამ სადღეგრძელოს.

– ბატონო თამადავ, რაღაც დანაპირებს არ ასრულებ, პოლიტიკაზე საუბარს შეგვპირდი და ჩვენ პოლიტიკა სიყვარულზე წარმოსათქვამი სადღეგრძელოებით შევ-ცვალეთ.

– კეთილი, რაკიღა პოლიტიკაზე გსურთ საუბარი, ვისაუბროთ, ჩემო ოთარ, მე მექნება ასეთი კითხვა პირადად შენთან და სხვა სუფრის წევრებთან: დღეს თქვენ რომ იყოთ მთავრობის ხელმძღვანელი, ვთქვათ, პრემიერ-მინისტრი, რას გააკეთებდით ქვეყნის ასაყვავებლად. ამას-თანავე, დიქტატორის ძალმოსილებასაც განიჭებთ.

– უპირველესად ხალხს მოვუსმენდი და ისე ვიმოქმე-დებდი.

– მაგალითად, რას გააკეთებდი, უპირველეს ყოვლისა?

– ჯერ სამუშაო ადგილებს შევქმნიდი.

– როგორ?

– როგორ და დავავალებდი ბიზნესმენებს, გაეხსნათ ახალი საწარმოები.

– მერედა რა გარანტია ექნებოდათ, რომ ისეთ საქონელს აწარმოებდნენ, რომელნიც შემოტანილზე უკეთესი ხარისხისა იქნებოდა და უფრო იაფი. ამასთანავე, შენ უნდა იცოდე, შემოტანილ იმპორტულ საქონელზე სახელმწიფო სათანადო ფულს იღებს და ქვეყნის ბიუჯეტს ავსებს. ამასთანავე, უკუგორების გზით ე.წ. „ოტკატით“ სახელმწიფო მოხელეები ქრთამსაც იღებენ და საზღვარგარეთაც დაგრიალებენ, ხოლო შენ მიერ გამოშვებული საქონელი როდის მოუტანს ქვეყანას შემოსავალს, არავინ უწყის.

– მაშ, რა ვქნათ, არ დავეხმაროთ ბიზნესმენებს?

– ბიზნესმენებს უნდა დავეხმაროთ, მაგრამ გარკვეული წილი ახალი საწარმოების შენებისა და წარმოების პროცესის დანერგვისა, სახელმწიფომ უნდა ითავოს და ტრაკზე ხელებდადებულმა არ უნდა იოცნებოს.

– მაგალითად, შენ კი რაღას მოიმოქმედებდი?

– მე, მაგალითად, სადაც ეს შესაძლებელია, აღვადგენდი ძველ ჩაის ფაბრიკებს, კვების მრეწველობის საწარმოებს, ქარხნებს და მზა პროდუქციის ძველ მყიდველებთან ურთიერთობებს აღვადგენდი.

– მაგ ამბავში მართალი ხარ, ჩემო გიორგი, მაგრამ შენი მთავრობის წევრები ამას როდი ცდილობენ, თანაც

მედროვენი არიან და დღესვე სწადიათ დიდი ფულის შოვნა, რადგან იმედი არ აქვთ, თავიანთი უნიათობისა და უცოდინარობის გამო ამ თანამდებობებს დიდხანს შემორჩებიან.

– იმ დღეს, ჩემო ოთარ, – დაიწყო რეზომ, თბილისში, გამოფენასთან, სამსართულიანმა მინგრეულ-მონგრეულმა შენობამ მიიპყრო ჩემი ყურადღება. ვიკითხე და აქ, თურმე, წინათ საკონდიტრო საწარმო იყო, რომელიც მაღალი დონის შოკოლადებს უშვებდა. დღეს კი შოკოლადის ფილები და, მათ შორის, შოკოლადის პლიტკები უკრაინიდან და რუსეთიდან შემოგვაქვს. როდის აქეთაა, რომ რუსეთმა კაკაოს მოყვანა დაიწყო. რუსებიც კაკაოს ნედლეულს ყიდულობენ და ამუშავებენ. განა ჩვენ კი არ შეგვიძლია მისი წარმოება. არავინ აღმოჩნდა მთავრობაში ისეთი, რომ ეს საწარმო გაეხსნა და ჩვენი ხალხი დაესაქმებინა.

– ხალხის დასაქმება, ჩემო ოთარ, შეიძლება კვლევითი ინსტიტუტების აღდგენით, რადგან დღეს ტექნიკური პროგრესი ჩვენთან მკვდარია, ხოლო მეცნიერების გარეშე მისი გაცოცხლება შეუძლებელია.

– ხომ გახსოვს, გიორგი, კვლევით ინსტიტუტში რამდენი შემთხვევითი პირი იყო დასაქმებული, რომლებიც, უბრალოდ, დროს აცდენდნენ, თუმცა რას გასწავლი, თავად მუშაობდი მაგ ინსტიტუტში!

– მაგ ამბავში მართალი ხარ, მაგრამ ის ბალასტი რომ არ ყოფილიყო, მე ინსტიტუტში ვერ მოვხვდებოდი. ამასთან ერთად, შეიძლება, 80-90% არავითარი სიახლის

მომტანი არ იყო, მაგრამ გამოჩნდებოდნენ ახალგაზრ-დები, რომლებიც რაღაც სიახლეს გვთავაზობდნენ და პროგრესისაკენ გვიბიძგებდნენ. ამიტომაც იყო, ესა თუ ის დარგი არ კვდება და სიცოცხლეს ავად თუ კარგად აგრძელებს.

– ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ჩვენმა უდღეურმა ხელისუფლებამ რა გზით და საშუალებებით უნდა დააფი-ნანსოს ეს კვლევითი ინსტიტუტები, როდესაც აგერ, რამდე-ნი ხანია, პენსიებიც კი ვერ გაუზრდია მოხუცებისთვის.

– ფულის შოვნა და ბიუჯეტის შევსება ყოველთვის შეიძლება, თუ გონება გიჭრის და სახელმწიფო თანამ-დებობისათვის შესაფერისი ხარ.

– მე, მაგალითად, ახალი ბინების მშენებლობას სახელმწიფო სამსახურებს მივანდობდი, მოვახდენდი ბენზინგასამართი სადგურების პრივატიზაციას, საცხოვ-რებელი ბინის მქონე მოხუცებისათვის სანატორიუმებს გავხსნიდი და იქ იცხოვრებდნენ სიცოცხლის ბოლომდე თავისი ასაკისა და ჭკუის ხალხთან ერთად და ექნებოდათ დასვენებისა და ცხოვრების საუკეთესო პირობები, ხოლო მათი ბინების რეალიზაციას მოვახდენდი. ამასთანავე, სხვა მოგებიანი დარგების და ქმედებების მოძიებაცაა შესაძლებელი.

– მე, მაგალითად, სოფელში ან რაიონში ავაშენებდი რძის გადასამუშავებელ ქარხნებს. მოსახლეობა იოლად ჩააბარებდა ძროხის ღამისა და დილის ნაწველს; იგი ჩაისხმებოდა ალუმინის დანომრილ ჭურჭელში, რომელიც ეზოს ჭიშკართან დაიდგმებოდა; რძის ქარხნის მანქანა ამ ჭურჭელს აიღებდა და თვის ბოლოს გლეხი, ფერმერი,

თავის კუთვნილ ფულს აიღებდა. ეს კი გამოიწვევდა ძროხების სულადობის ზრდას, მოსახლეობის დაინტერესებას, დასაქმებას.

– ეგ კარგი აზრია, ჩემო გიორგი, მაგრამ ამ გამოთაყვანებულმა ყოფილმა მთავრობამ საძოვრებიც დაყიდა და დღეს, ამ საძოვრებზე საქონელი რომ აბალახო, ფული უნდა გადაიხადო.

– ეგ არაფერი, სახელმწიფომ აუცილებელი საჭიროების შემთხვევაში უნდა შეძლოს არა მარტო საძოვარი, არამედ ჩვენი საცხოვრებელი ფართიც შეიძინოს.

– მაშინ მიწის მეპატრონენი დიდი თანხების გადახდევინებას მოინდომებენ.

– ამიტომ არის ქვეყნის სათავეში გონიერი და წინმაცქერალი ხელისუფალი საჭირო. უნდა დაწესდეს უძრავი ქონების გადასახადი და ეს უძრავი ქონება უნდა შეაფასოს სპეციალიზებულმა კომისიამ, რათა უძრავი ქონება არც ნაკლებად და არც ზედმეტად არ შეფასდეს და, როდესაც ეს საკითხი მოწესრიგდება, სადავოც არაფერი იქნება.

– მაგ ამბავში გეთანხმები, გიორგი, მაგრამ რა სახსრით უნდა შეიძინოს სახელმწიფომ ეს ქონება, როდესაც დაგეგმილი ბიუჯეტის შევსება ჭირს?

– ბევრი საამისო ხერხი და გზა არსებობს: ერთ-ერთს მე შემოგთავაზებთ, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი აზრების გაზიარება ფული ღირს.

– კარგი ერთი, გამოიჩინეთ, ბატონო გიორგი, მოწყალება და ფულის შოვნის ეგ საშუალება უფასოდ შემოგვთავაზე.

– ამბობენ, ჩვენში ერთი მილიონი მანქანა დაგრიალებსო. ამ მძღოლებისთვის შემოვიღოთ საჯარიმო ტალონები, ვთქვათ, 20 ტალონ-ქვითარი, მათი საერთო ღირებულება იქნება 1000 ლარი. ე.ი. თითო ჯარიმა 50 ლარი. მძღოლი, რომელიც წესებს დაარღვევს, ადგილზევე გადაიხდის ამ ჯარიმას. გაუთავდება ქვითრები და მათ ხელმეორედ შეიძენს, მაგრამ ეს უკვე ორჯერ მეტი ეღირება. ხოლო ის, ვინც წესიერი მძღოლია, როდესაც თავს დაანებებს მანქანის მართვას, დარჩენილი ტალონების ღირებულება ბანკის საპროცენტო დანარიცხებთან ერთად დაუბრუნდება იმ პროცენტული დანამატით, რაც ბანკს დაწესებული აქვს. ასე, რომ აქ სადავო არაფერია. ამასთანავე, ნასვამი მძღოლების მანქანა გაიყიდება აუქციონზე, გაყიდული მანქანის თანხის ნახევარი მძღოლს დარჩება, ხოლო მეორე ნახევარი ქვეყნის ბიუჯეტში დაისადგურებს. კიდევ ბევრი ამდაგვარი ფულის ამოსაღები საშუალება არსებობს, მაგრამ ჩვენ ისევ საჯარიმო ტალონებს დავუბრუნდეთ. ერთი მილიონი საჯარიმო ტალონების თანხა გავამრავლოთ 1000 ლარზე. ეს გამოვა მილიარდი ლარი, რაც საკმარისია ამ სახელმწიფო ობიექტების მშენებლობისათვის, მათი ფეხზე დაყენებისთვის და შემდგომ, თუ ეს ქვეყნის ინტერესებს დასჭირდება, აუქციონზე გაიყიდება.

– გიორგის წინადადებას სრულიად ვეთანხმები, თუ ქვეყნის ხელისუფალი თავს გაანძრევს, ათასი ხვრელი არსებობს ფულის შოვნისა და გონივრულად დაბანდებისა – შეაჯამა გიორგის აზრი ოთარმა.

– მე ვფიქრობ პოლიტეკონომიკაზე საუბარს წერ-ტილი დავუსვათ, თორემ ეს ჩვენი სუფრა პოლიტბიუროს სხდომას დაემსგავსა. რას იტყვი, ჩემო ოთარ?

– მერე რა არის ამაში დასაძრახი, ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა გავერკვეთ, რა ადგილი გვიჭირავს ქართველებს სამყაროში და რას წარმოვადგენთ?

– მაშინ გავაგრძელოთ საუბარი არა მარტო პოლიტიკაზე, არამედ ეკონომიკაზეც, რადგან პოლიტიკა ეკონომიკის გარეშე არარაობაა და სხვა – არაფერი. ხომ გახსოვს ცნობილი დეფინიცია: პოლიტიკა ეკონომიკის გაგრძელებაა სხვა საშუალებებითაო?

– მოკლედ, არ გვეშვები ბატონო გიორგი, გინდა გამოგვტყუო ჩვენი შეხედულება საქართველოს პოლი-ტიკოსებზე, თანაც იცი, რომ ნასვამი კაცი უფრო თამამად მეტყველებს და ამბიციურია.

– ჩემო ოთარ, ამ სასმისით მინდა, გავაერთიანო ის აუცილებელი სადღეგრძელოები, რაც უნდა შეგვესვა. აბა, ვიწყებ და, თუ რამე გამომრჩეს, შემახსენეთ: ამ სასმისით ჩვენს გონიერებასა და შორსმჭვრეტელობას გაუმარჯოს, მშვიდობასა და საქართველოს უკვდავებას გაუმარჯოს! ამასთან ერთად, აუცილებელი სადღეგრძელოებიც არ უნდა გამოგვრჩეს, რითაც ქართული სუფრა ყელყელაობს. ასეთი სადღეგრძელოებია: ვინც ჩვენ გვიყვარს და ვისაც ჩვენ ვუყვარვართ, იმათი ხსენებისა; ჩვენი რწმენის, რაობის სადღეგრძელო, ქართველი ქალის როგორც დედისა და საზოგადოდ მისი ავტორიტეტის სადღეგრძელო, ხვალინ-დელი დღის, ჩვენი დიდი სანათესაოს, მეგობრების, ტრა-დიციების, ლამაზი და დასამახსოვრებელი მოგონებების

სადღეგრძელო, ყოვლადწმიდის, მთავარი ანგელოზების, დაშლა-არმოშლის სადღეგრძელო. სადღეგრძელოთა გამეორება საჭირო არ არის. ვისაც ფეხზე წამოდგომის თავი აქვს, შეუძლია, ამ სადღეგრძელოების მთელი „თაიგული“ ერთ ჭიქაში მოათავსოს და ასე შესვას.

ეს სასმისი, როგორცა ვხედავ, ყველამ ბოლომდის შესვა, ახლა გთხოვთ გავაგრძელოთ საუბარი. დამისვით თქვენთვის საინტერესო კითხვები და პასუხებიც ერთად განვსაჯოთ; რაკიღა სუფრა და მოლხენა დამთავრებულია, ვისაც სურვილი აქვს, შეუძლია კითხვები დაგვიტოვოს მომავალ თვემდე, ვიდრე ისევ შევიყრებოდეთ!

– ჩემო გიორგი, ამჯერად ასე მოგმართავ, რადგან უკვე თამადა აღარა ხარ, შენი აზრი გამაგებინე აბორტზე!

– ოთარ, აბორტსა და მის მიმყოლ კითხვებზე მოსაზრება ასეთია: ყველაფერზე პასუხი უნდა აგოს ხელისუფლებამ, რადგან მან ადამიანების ინტერესები სახელმწიფოს ინტერესებს უნდა მოარგოს ამ უკანასკნელის პირველობით. უნებართვო აბორტი უნდა აიკრძალოს, ექიმსა და მის პაციენტს 10 წლის პატიმრობა მიესაჯოს. მესმის, რომ ახალგაზრდა გოგონა თავის სურვილის საწინააღმდეგოდ დაორსულდა და მის პერსპექტივებს, ოცნებებს ფრთები ეკვეცება. ამიტომ სახელმწიფომ ასეთი ქალებისათვის რომელიმე საკურორტო ადგილზე, დასახლებიდან მოშორებით, უნდა იქონიოს სანატორიუმის მსგავსი დაწესებულება, სადაც მიდიან დასასვენებლად და სამშობიაროდ ორსულობის მეექვსე თვის დასაწყისში, როდესაც ფეხმძიმობა ეტყობათ, მოამშობიარებენ და ბავშვებს იქვე დატოვებენ, ხოლო, ვისაც სურვილი ექნება,

ბავშვი არ გააშვილოს, ოღონდ სწადია მას აღუზარდონ, ამის შესაძლებლობაც იქნება. ამრიგად, სიცოცხლეც გადარჩება და ქალს თავისი მომავლის გეგმებიც ხელიდან არ გაუფრინდება; ვინ იცის, ბედი როგორ დასცინებს: შეიძლება, ვერც გათხოვდეს და მაშინ შვილი მაინც შერჩება!

– ასეთ ხელშეკრულებას ბევრი ქალი გააფორმებს, თუ მას მზამზარეულ შვილს ჩააბარებენ!

– არც მთლად მასეა საქმე, ჩემო ოთარ! როდესაც ეს ქალბატონი გახდება 25 წლისა, გარკვეული თანხა უნდა გადაუხადოს სახელმწიფოს, თუ მას ბავშვი უნდა, თუნდაც ხელფასის 25%.

– რას იტყვით იმ ახალშობილებზე, რომლებიც დაუნად ან შესამჩნევი ფიზიკური ნაკლით დადაღული დაიბადება? ეს ხომ მომავალში მძიმე ტვირთად დააწვება ოჯახს, სახელმწიფო ბიუჯეტს, ბატონო ყოფილო თამადავ?

– ჯერ ერთი, ამდაგვარი დაავადების დიაგნოზირება დღეს ქალის ორსულობის დროსაც შეიძლება; მეორეც, მე „სპარტანული“ აღზრდის წესის მომხრე ვარ, როდესაც სპარტანელი უდღიურ ბავშვებს მშობლების დაუკითხავად კლდიდან ყრიდნენ. ჩვენ, ალბათ, მათ ეგრეთ წოდებული მიძინების წესით გავუშვებთ ამ ქვეყნიდან ანდა ასეთი ბავშვების აღზრდას სახელმწიფო აიღებს თავის თავზე, რადგან ამდაგვარ შვილზე ზრუნვა მომდევნო თაობების ბავშვების გაჩენას უშლის ხელს, ამასთანავე, რომელ დედმამიშვილს ესიამოვნება დაუნი და-ძმის ყოლა, რომლის მოვლა მათ ტკივილად აწვება და აქ საუბარი კაცთმოყვარეობაზე, ჩემი აზრით, დემაგოგი და კარგ

ადამიანად თავის მოჩვენებაა, დევიზით: „სხვისი ჭირი ღობის ჩხირიო“. თეორიულად ეს ქმედება კაცთმოყვარეობის მოშველიებით მიუღებელი და სადავო საკითხებია, მაგრამ სახელმწიფოს გარკვეული ინტერესების გათვალისწინებით მისაღები და დასაშვებია.

– ეგ საკითხი, ჩემო გიორგი, სწრაფად და გაუჯანჯლებლად უნდა გადაწყდეს. არადა, დღევანდელი ჩვენი სასამართლოსა და ძალოვნების გადამკიდე, მახინჯი ბავშვის საკითხს მანამდე გააჯანჯლებენ სანამდის ბავშვი არ დაიბადება და არ გაიზრდება.

– ჩემო ოთარ, არც ეს მგონია რთული საქმე. უნდა შეიქმნეს 24 საათიანი მორიგე სასამართლო ყველა რაიონში და დაბადების დღესვე უნდა გადაწყვიტოს საკითხები, მოსამართლეს ასეთი საქმის გადადება უნდა აეკრძალოს.

– თუ საამისოდ საკმარისი ფაქტები არ არის?

– აქ მან უნდა გამოიყენოს მოსამართლის ინტუიცია და პრაქტიკული გამოცდილება, ხოლო, თუ მომჩივანს გადაწყვეტილება არ მოეწონება, მას უფლება ექნება გაასაჩივროს მიღებული გადაწყვეტილება ზემდგომში 10 დღის განმავლობაში. ასევე, სხვა გვერდითი საკითხებიც 24 საათის განმავლობაში უნდა გადაწყდეს.

– გიორგი, შენ ეგ როგორ წარმოგიდგენია?

– დაუშვათ, ჩემო ოთარ, მე და შენ ჩხუბი მოგვივიდა: შენ ნასვამ მდგომარეობაში შემაგინე, მე კი ავდექი და ხელი გაგარტყი. ამას შეესწრო ვიღაც უცხო პირი, დარეკა მილიციაში და ორივენი ეგრევე მიგვიყვანეს სასამართლოში. მოსამართლემ აქვე დაგვკითხა და მოგვისაჯა 15-

15 დღით პატიმრობა, ხოლო იმ პირმა, რომელმაც პოლიციას შეატყობინა ჩვენი ჩხუბის შესახებ, საჩუქრად მიიღოს თანხის ნახევარი ჩვენს მობილურ ტელეფონზე დადებული 100-100 ლარიდან. აი, როგორ უნდა იყოს.

– ეს როგორ?

– ყველას, ვისაც მობილური ტელეფონი აქვს, მაიმუნობა რომ არ მოხდეს, ან ცრუ შეტყობინებები, ან გამოძახებები, მობილური ტელეფონის ანგარიშზე ედება ხელუხლებელი თანხა 100 ლარი. საჭიროების შემთხვევაში, თუ სამაიმუნოდ დარეკავთ პოლიციაში, ის ასი ლარი ჩამოგეჭრებათ, ხოლო, თუ დამნაშავეებს დასჯიან, ყოველივე მათგანის ჯარიმის ანგარიშიდან ის 50% გადმოგერიცხებათ. ამით სახელმწიფო ორმაგ სარგებელს ნახულობს: დეპოზიტზე მუქთა ფული იდება, რომლის გამოყენება მას შეუძლია ინვესტიციების სახით, ხოლო მოქალაქეებს წაახალისებენ, რათა თუნდაც წვრილმან დანაშაულს ამ გზით ებრძოლოს.

– გიორგი, კაცო, ჩვენ პოლიტეკონომიიდან ახლა მართლმსაჯულებაში გადავიჭერით და უკვე ბიჭებმა გადავწყვიტეთ, შინ წავიდეთ, თორემ დღეს, ეტყობა, კიდევ იმდენი საკითხი წამოიჭრება, რომ ღამე დარჩენა მოგვიწევს.

– კარგი, ჩემო ოთარ, ვისაც სურვილი გაქვთ, დაგვტოვეთ და მშვიდობიანად შინ მისვლას გისურვებთ. მე კიდევ ერთი-ორი საათი არ დავიძინებ და კეთილი ინებეთ, ტელეფონზე დამირეკეთ, როდესაც სახლში მიხვალთ! შევთანხმდით?

– კი, ბატონო, ისე მოვიქცევით, როგორც სუფრის თამადა და მასპინძელი გვეტყვის.

– ჩემთან დარჩება დუგლასი, რომელსაც ხვალ ქუთაისში მიმავალ ავტობუსზე გავაცილებ.

– ეს კარგი, ჩემო გიორგი, რომ კანონმდებლობაში რაღაცა სიახლის შეტანა და მოფიქრება შეიძლება, მაგრამ რა ვუყოთ ამ ეკონომიკას, უმუშევრობას? პირველ ყოვლისა, თუ ამას ვერ მივხედეთ, რა ერის გამრავლებასა და კვლავწარმოებაზე შეიძლება ლაპარაკი? ლაპარაკი კი არა, ოცნებაც შეუძლებელია!

– ჩვენი განუსჯელობა, უცოდინრობა ის არის, რომ სახელმწიფომ ყველაფერი კერძო სექტორს მიანდო, ხოლო ხელისუფლებაში მოკალათებულმა უცოდინარმა ვიგინდარებმა სხვადასხვა ნებართვის გაცემის ხარჯზე უმტკივნეულოდ უკუგორების სახით მუქთა და დაუმადლე-ბელი ფულის შოვნა ისწავლეს.

– შენ გინდა თქვა, ჩემო გიორგი, რომ საქარ-თველოში პატიოსანი ხალხი აღარ დარჩა?

– დღეს, ჩემო ომარ, ისეთი უმტკივნეულო ფული იშოვნება ამ „უკუგორებით“ რომ თვით წმინდა მარიამიც შეიცდენდა თავს.

– ხომ იცი, ჩემო გიორგი, მიუხედავად იმისა, რომ სანატორიუმის ექიმი ვიყავი, ფული არასოდეს ამიღია და არც ახლა ავიღებ.

– კარგი, ჩემო ოთარ, შემოგთავაზებ ერთ მორიგება-გარიგებას და შევამოწმებ, ბრიყვი ხარ თუ მექრთამე. დავუშვათ, დღეს შენ ხარ საქართველოს პრემიერ-მინისტ-რი და დაინტერესებული ხარ უცხოელი ინვესტიციების

მოზიდვით. დაუშვათ, მე ვარ უცხოელი ინვესტორი და შეხვედრისას გთავაზობ, რომ ავაშენებ კაშხალს თავისი ელექტროსადგურებით და ეს მე დამიჯდება, ვთქვათ, ერთი მილიარდი დოლარი, ხოლო, სამაგიეროდ, ამ ელექტრო-სადგურიდან გამომუშავებულ ენერგიას გავყიდი 30 წლის განმავლობაში და შემდგომ ეს ელექტროსადგური გახდება სახელმწიფოს საკუთრება.

– შენ თუ მცოდნე და პატიოსანი პრემიერი ხარ, უნდა მევაჭრო და შემომთავაზო 30 წლის ნაცვლად 25 წელი. ჩვენ ორნი ვართ და გეუბნები, მოდით, ამ კაშხალ-ელექტროსადგურების მშენებლობას გავაძვირებ 100 მილიონი დოლარით, რომელსაც ოფშორში გადავრიცხავ შენი ცოლის ძმის სახელზე და ამ ელექტროსადგურების ექპლუატაციას ვაწარმოებ არა 30, არამედ 35 წელს. 35 წლის შემდგომ შენი სახელი არავის ემახსოვრება, ამასთანავე, როდის გადაგირჩევენ და რამდენ ხანს გაგაჩერებენ ამ თანამდებობაზე, არავინ უწყის, ასე რომ, ჩემო ოთარ, თუ აზროვნებ და ისიც საშენოდ, უნდა აიღო, რადგან ბედმა გაგიღიმა და მას ხელი არ უნდა ჰკრა. რას იტყვი, ჩემო ოთარ, იღებ ქრთამს თუ არა?

– მოდი, ჩემო დავით, სახლებისკენ ჩვენც შევუბეროთ, სანამდის ამან მექრთამეებად არ გაგვხადა. დუგლას, შენ, ალბათ, გიორგისთან დარჩები ამ ღამით, ჩვენ კი სახ-ლისკენ შევუბერავთ, აბა, კარგად იყავით, ღმერთმა არ გამოგვილიოს ასეთი სუფრები და მარად კარგად მყოლოდეს თქვენი თავი.

– აბა, შინ რომ მიხვალ, თქვენც დამირეკეთ, რათა წყნარად და მშვიდად დავიძინო! – კვლავ დამოძღვრა გიორგიმ წამსვლელები და კარები მიხურა.

– რა ვქნათ, დუგლას, შევუბეროთ თუ დავიძინოთ?

– გიორგი, რაღაც არ მეძინება და თან ქართველების გამრავლების ტაბულამ ძალზე დამაინტერესა, რაღაც დიდი ეჭვის მიუხედავად, მგონია, რომ ქართველების გამრავლების საკითხი, მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც შეიძლებოდა მოგვარებულიყო.

– საერთოდ, დუგლას, ყველა პატარა, ერი როგორც პატარა ზომის კაცი, ამბიციურია, თავზე დიდი წარმოდგენა აქვს და თავის წარუმატებლობას მარად სხვებს აბრალებს, თორემ, რაც ქართველს ქართველისთვის ცუდი გაუკეთებია და უღალატია, იმის ნახევარიც კი არ ჩაუდენია მის მოწინააღმდეგე მტრებს, დაწყებული სამთავროების დაპირისპირებითა და ტყვეების გაყიდვით დამთავრებული.

– დღესაც იგივე არ ხდება? წინათ თუ იტაცებდნენ და საქართველოს გარეთ ყიდნენ თავიანთ ყმებს აზნაურები, დღეს ქართველები, შენი თქმისა არ იყოს, თვისივე ფეხით ეახლებიან და იყიდებიან. რამდენი ნიჭიერი და მიმწოლი ახალგაზრდა მიდის სამუშაოდ ანდა თავის შესაძლებლობების წარმოსაჩენად. თუ ვინმე ოცნებას განახორციელებს და წარმატებული იქნება, უკან, საქართველოში, თითქმის აღარ ბრუნდებიან. საქართველოში კი რჩება უნიათი, საერთო მოხმარების, ჩვეულებრივი მომაკვდავი, უინიციატივო, ენადაგრძელებული ახალგაზრდა ქართველი, ხოლო ერი და ქვეყანა ისე ვერ განვითარდება, თუ

სახელმწიფოს სათავეში ღონიერი და გონიერი პიროვნება არ მოევლინა.

რადგან გონიერი ხელისუფლების გარეშე ხალხი, მით უმეტეს დღევანდელი დაჩმორებული მასა ვერავითარ აღზევებას ვერ მიაღწევს.

– ეტყობა, ჩემო დუგლას, ყოველივე ზევით წყდება, ალბათ, როდესაც ძალიან გაგვიჭირდება და უკიდურესად დავჩმორდებით, განგება გამოგვიგზავნის ვიღაცა ღვთისნიერს, რომელსაც ჭკუის ხმობასთან ერთად ამ დამყაყებული მოსახლეობის გაწვრთნაც არ დაეზარება.

– გიორგი, რა ხდება? როგორც ვიცი, ურწმუნო კაცი ხარ, ათეისტი, ეკლესიაში შენ არ დადიხარ, არ ლოცულობ. დღეს კი როგორღაც ხშირად მოგიწია ღმერთის ხსენება და ჩვენი მომავალი შესაძლებლობების მასზე გადაბრალება.

– ჩემო დუგლას, ამ საოცარ სამყაროში იცხოვრო და მისი მოწყობის უცნაურობაზე არ დაფიქრდე შეუძლებელია, ხოლო, რაც შეეხება რწმენას, ისე მარტივად და განუსჯელად, თქვენ რომ ღმერთი გწამთ, მე არ შემიძლია ვიწამო. ის რთულია და, მე რომ მინდა ვიწამო, იმ სიღრმით ჩემი ცნობიერება ვერ სწვდება და ვერც ვერასოდეს ჩასწვდება.

რთულია თუნდაც ის, რომ ქართველებიც თავისებურად დაუპირისპირა გამჩენმა ერთმანეთს, როდესაც სალაპარაკო დიალექტი სხვადასხვა მისცა. მაგალითად, ცალცალკე დიალექტებია: კახური, იმერული, აჭარული, გურული, ფშაური, ხევსურული; უკვე გამოკვეთილი ენებია: აფხაზური, მეგრული, სვანური, ლაზური; მათ ოსური ენაც

დაემატა მათი ჩამოსახლების შემდგომ. ასე რომ, თუ ქართული ეთნოსი ჭკუით არ იფიქრებს, განგებას ყოველთვის შეუძლია ჩვენში უთანხმოების ჩამოგდება და ერთმანეთის დაპირისპირება.

– ჩემო გიორგი, მოდი, ღრმად ნუ ჩავწვდებით განგების ჩანაფიქრს, მას, ეტყობა, არაფერი ეშლება. ტყუილად როდი უთქვამს რუსთველს: „არს უკეთესი, რაცაღა სწადს განგებასა, ზენასა“. სჯობს, ისევ ჩემ მიერ მოწონებულ შენს ტაბულას გადავხედოთ.

– მე გადავხედე შენს ცხრილს და დავრწმუნდი მის რეალობაში, დღესაც ციმბირი და შორეული აღმოსავლეთი პრაქტიკულად დაუსახლებელია, ამხელა ტერიტორიებისთვის 5-10 მილიონი მოსახლეობა საბჭოთა კავშირის დროს არ იყო და, ვინც ამ ადგილებში მიდიოდა სამუშაოდ, მას ხელფასს უორმაგებდნენ, სახლს აძლევდნენ, თანაც სატუსაღოებისა და კოლონიების უმრავლესობა ციმბირში იყო განლაგებული და, ვისაც ქურდობა-მამაძაღლობისთვის თავის დანებება უნდოდა და შრომას არ დაიზარებდა, სამყოფ ფულს ყოველთვის იშოვნიდა. აგერ ჩემი მეზობელი, ქურდობაზე ოთხჯერ იყო ნასამართლევი, ბოლოს, როგორც რეციდივისტი, ციმბირის კოლონიაში გაუშვეს. სასჯელი რომ მოიხადა, ეტყობა, ქურდობაც მობეზრდა და ამ 40 წლის კაცმა ციმბირში დაიწყო მუშაობა „სტარატელად“, ოქროს მომპოვებლად, ჩამოვიდა ქუთაისში, ააშენა ორსართულიანი სახლი, ცოლი მოიყვანა, 4 შვილი ჰყავს, ეტყობა, რაღაც შემორჩა კიდევ. ამ „სტარატელობიდან“ ბენზინგასამართი პუნქტი გახსნა და ქეა ახლა თავისთვის წყნარად.

– ჩემო დუგლას, დაღვინებაცა და გერემო პირობებიც თავის როლს ასრულებს, ეტყობა, შენი მეზობელი გვიან დაღვინდა, გვიან მოეგო გონს, ეტყობა, ესეც განგების ნება იყო.

– ჩემო გიორგი, მე და შენ რუსეთში გვიცხოვრია და იმ ხალხს, ავად თუ კარგად, სხვებზე უკეთ ვიცნობთ. მართალია, სსრ კავშირის შემადგენლობაში ყოფნისას არა გვქონდა სახელმწიფო, მაგრამ გვქონდა სამშობლო, ვიყავით გაცილებით ეროვნულები, საზოგადოება, ავად თუ კარგად, ჩამოყალიბებული ჩანდა, ამასთან ერთად, სსრ კავშირს ეკავა დედამიწის ერთი მეექვსედი ნაწილი, სადაც 250 მილიონი სხვადასხვა ეროვნებისა და ჯიშ-ჯილაგის მქონე ხალხი ცხოვრობდა. 15 მოკავშირე რესპუბლიკაში ყველაზე დაფასებული, მიღებული და ცნობილი ერი ვიყავით. შენ იცი, რომ ბევრ მათგანს, უმეტესად რუსებს, ქართველებთან მეგობრობა ეამაყებოდათ და მათთან ნაცნობობით ტრაბახობდნენ კიდეც. მატერიალურად სხვა ერებზე გაცილებით უკეთ ვცხოვრობდით, რადგან რუსეთის ბაზარი, როგორც შენა თქვი, ხელთ გვეპყრა.

– ჩემო დუგლას, ჩვენ რუსებს კი არ ვყავდით დაპყრობილნი, არამედ, პირიქით, ჩვენ გვყავდა ისინი ჩვენზე დამოკიდებულნი და, თანამედროვე გაგებით, დამპყრობელი ისაა, ვისაც სხვისი ბაზრები აქვს ათვისებული და მასში ინვესტიციებსა დებს. შენა გგონია, უცხოელები მუქთად გვეხმარებიან? ისინი თავიანთი დახმარებით ჩვენს ბაზრებს ითვისებენ. ძირითადად ამიტომაც გვეხმარებიან.

– მაგ ამბავში გეთანხმები ჩემო გიორგი, მაგრამ ბევრი შეუსაბამობაც იყო. შენ გახსოვს, ბინა რომ მიგეღო, 10-15

წელი რიგში უნდა მდგარიყავი, ხელფასი ყველას არ გვყოფნიდა, თუ არ მოიპარავდი, სხვაზე უკეთესად ვერ იცხოვრებდი.

– გეთანხმები, სსრ კავშირი იყო ქურდობასა და ილუზიებზე აგებული სახელმწიფო, მაგრამ ვინც ვარგოდა, ყველა კარგად ცხოვრობდა. მე და შენ მონათმფლობელურ წყობილებაშიც კარგად ვიცხოვრებდით, რადგან მოხერხებულნი ვართ, ხოლო უამისოდ ყველა წყობილება უვარგისია.

– დღესაც ასე არ არის? უვარგისი დღესაც უარესად ცხოვრობს, ვიდრე სსრ კავშირში ცხოვრობდა. მაშინ სამსახურით, დასაქმებით მაინც ვიყავით უზრუნველყოფილნი, ხოლო მუქთამჭამელს ციხეში გსვამდნენ.

– გეთანხმები. ნეტავი, თუ იცი, როგორ უნდა მიგეღო ურიგოდ ბინა ერთ-ორ წელიწადში ისე, რომ ქრთამი არ მიგეცა?

– აბა, გაგვანათლე. შენ მასეთ რაღაცებში არასოდეს იბნეოდი.

– მაშინ, ჩემო დუგლას, ყოველ 1-2 წელიწადში იხსნებოდა საკავშირო მთავრობისადმი დაქვემდებარებული ქარხანა, კვლევითი ინსტიტუტი და სხვა ორგანიზაციები. ამ ორგანიზაციებს ყოველთვის მოჰყვებოდა გეგმიური დაფინანსება, ფული, სადაც საწარმოს შენობის ასაშენებლად ფულთან ერთად მოჰყვებოდა ხელფასის ფონდი და საცხოვრებელი ბინის ასაშენებელი თანხა. სწორედ ამ მომავალ საწარმოში უნდა დაგეწყო მუშაობა და შენი ბინის მისაღებად საბუთები გადმოიტანდი რაიონის აღმასკომიდან, როგორც ამ საწარმოს თანამშრომელი.

ასე, რომ ბინას დროულად მიიღებდი და თანაც სამსახურთან ახლოს.

– გიორგი, ახლა ის მითხარი, როგორ მიაღებინე შენი ძმაკაცის ოჯახს ოროთახიანი ბინის ნაცვლად სამოთახიანი?

– ჩემს მეგობართან ვარ ოჯახში, რომელსაც საერთო ეზოში ერთი ოთახი აქვს საერთო სათავსოებით. შემთხვევით შევესწარი ჩემი მეგობრის მშობლების საუბარს, რომლებსაც ჰყავდათ ორი ვაჟი და მათ საბურთალოზე სთავაზობდნენ ოროთახიან ბინას, რაკიღა ერთი სქესის შვილები ჰყავდათ. მათ რომ გოგო და ბიჭი ჰყოლოდათ, ანუ სხვადასხვა სექსის შვილები, მაშინ, თურმე, შეეძლოთ სამოთახიანი ბინის მიღება. დედამისმა უთხრა ჩემს ამხანაგს, საბინაო კანტორიდან მოეტანა ცნობა ოჯახის სულადობის შესახებ. ამ საუბარში გაირკვა, რომ ჩემს მეგობარს ია რქმევია, რომელიც ქალის სახელად აღიქმებოდა, ხოლო მე მას იაკობად ვიცნობდი. მივედით საბინაო კანტორაში. კანტორის უფროსმა მდივან გოგოს დაავალა ცნობის შევსება და, როდესაც სქესი უნდა მიეწერა, მე ვუთხარი, ია მდედრობითი სქესის სახელია-მეთქი. კანტორის უფროსს არც დაუხედავს, ისე მოაწერა ხელი და ბეჭედი დაუსვა. სამი თვის შემდეგ მათ სამოთახიანი ბინის ორდერი მიიღეს და ამ საქმეში ჩემი ღვაწლი მხოლოდ ამის შემდეგ გააცნობიერეს.

– საერთოდ, ადამიანი მადლიერი არასოდესაა, რაც არ უნდა გადაჰყვე, მაინც უკმაყოფილოა, განსაკუთრებით მაშინ, თუ მას მეზობელმა, ნაცნობმა, თუნდაც ნათესავმა აჯობა და ცხვირი მაღლა აწია.

– რას იზამ, ჩემო დუგლას, ეტყობა, ადამიანის ბუნება ასეთია.

– გოგი, ამ დასაქმებისთვისაც რაიმე ხომ არ მოგვეხერხებინა, მაშინ ხალხის პრეტენზიები გაცილებით შემცირდებოდა. თანაც მამაკაცებმა ოჯახის უფროსის იმიჯი დაკარგეს, ცოლები გაშვებული ჰყავთ საზღვრებს გარეთ და მათი გამოგზავნილი ფულით ცხოვრობენ და არჩენენ შვილებს.

– მიზეზი სამუშაო ადგილების უქონლობაა.

– მერედა, ვინ არის დამნაშავე? ბათუმში, სადაც მე ვმუშაობდი თევზსაჭერი ფლოტის მთავარ ტექნოლოგად, „პერესტროიკის“ დროს მეზღვაურებს დაურიგეს პრივატიზების სახით თევზსაჭერი სეინერები, რომელთა მიერ დაჭერილი თევზი ხამსა რუსეთში მიდიოდა, უმთავრესად მეცხოველეობის კომპლექსებში ღორების გამოსაკვებად. სსრ კავშირი დაიშალა და ეს შენი ხამსა არავინ წაიღო. ქართველს უყვარს დღევანდელი კარგი ცხოვრება, ხვალინდელ დღეზე არ ფიქრობს და ყველა ეს სეინერი მათმა მფლობელებმა ერთმანეთის თანხმობით ჯართად ჩააბარეს. ფლოტი დარჩა გემების გარეშე და დღეს თევზს აჭარაში თურქები იჭერენ, რადგან ეს ეკვატორია მათ იჯარით აიღეს. აქაც რუსები არიან დამნაშავენი?!

– არც ესენი არიან მთლად ანგელოზები!

– ჩემო დუგლას, როდესაც შენს მეზობლად დიდი და აგრესიული სახელმწიფო არსებობს, მასთან საერთო ენის გამონახვას უნდა შეეცადო და ინიციატივა თავადვე უნდა აიღო, რუსეთი იქნება ეს, თურქეთი, ირანი თუ ჩეჩნეთი.

– ჩეჩნეთთან რაღა გინდა, გიორგი?

– ჯერ ერთი, ერეკლე მეორეს ომების უმეტესი ნაწილი მათთან აქვს გადატანილი. რადგან ჰაერი და სასმელი წყალი კარგი აქვთ, გამრავლებითაც კარგად მრავლ-დებიან, ხოლო საკვები სათანადოდ ვერ იკმა-ყოფილებდნენ თავს და იძულებულები იყვნენ, ეყაჩაღათ და ქართლ-კახეთს თავს დასხმოდნენ.

– მერედა, რას ვუშველიდით მათ გაჭირვებას, ამაზე არ გიფიქრია?

– როგორ არა, ჩვენი უხუცესები უნდა შეხვედროდნენ მათ უხუცესებს და მათთან ნათესაური კავშირი უნდა დაგვემყარებინა, რომ მათგან ჩვენ, დავუშვათ, წამო-ვიყვანდით სიძეებად და დავასახლებდით 100-დან 75 ჩეჩენს, მთიულს, ხოლო ისინი ჩვენგან წაიყვანდნენ, ვთქვათ, 25 ქართველს სიძეებად და იქ დაასახლებდნენ. შედეგად მოხდებოდა ჩვენი დანათესავება და 75% ჩეჩნის გაქართველება, რაც ნათესავებს შორის დაპირისპირებას გამორიცხავდა. მათი ვაჟკაცები ჩვენს ჯარში იმსახურებდ-ნენ და მოგვეხმარებოდნენ სხვა მტრების მოგერიებაში.

– ჩემო გიორგი, მე კვლავ გეთანხმები იმ ამბავში, რომ მასა, ხალხი, მით უმეტეს გაუთვითცნობიერებელი ბრბო, არაფერს არ წყვეტს. თავის დროზე განგებას ჩვენთვის ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, გიორგი ბრწყინვალე და სხვები რომ არ გამოემეტებინა, დღეს საქართველო, როგორც სახელმწიფო, თუნდაც დღევანდელი სახით, არ იარსებებდა.

– დღეს, ჩემო დუგლას, წაგვიგრძელებია ენა და ყველგან გავყვირივართ, განსაკუთრებით ევროპელებისა და ამერიკელების სასიამოვნოდ, რუსეთი დამპყრობელია,

მან დაგვიპყროო. რუსეთს ეს არც დაუმალავს: მან ჯერ ქართლ-კახეთი შეიერთა, შემდეგ – იმერეთის სამეფო, ბოლოს აფხაზეთი და ჯიქეთიც ზედ მიაყოლა და ამგვარი ქმედებებით დაიცვა ჩვენი ქრისტიანობა. ჯარს, რომელმაც ეს გააკეთა, განა შენახვა არ უნდა? მშვიდობა მუქთად როდი მოდის. ის უამრავ დაუგეგმავ ხარჯს მოითხოვს, მით უმეტეს, დღევანდელ პირობებში, როდესაც ტექნიკური პროგრესი ყველას თავზე წამოგვაჯდა და, ხვალ რას მოიმოქმედებს, თუნდაც რობოტების შექმნის ხარჯზე, არავინ უწყის. დღეს რუსეთი უამრავ საბიუჯეტო თანხას ხარჯავს შეიარაღებაზე, რათა თავის ქვეყანაში მშვიდობა შინარჩუნოს. ჩვენს უნიათო ვიგინდარებს რომ ჰგონიათ, დასავლეთი დაგვიცავს და გამოგვესარჩლება, ეს აუხდენელი ოცნება, სრული ტყუილია. 1918 წელს, როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, გერმანიამ, შემდეგ ინგლისმა აღვითქვეს ჩვენი სუვერენიტეტის დაცვა, ხოლო, რუსეთი რომ შემოგვესია, ხელიც არ გაუნძრევიათ. ჩვენი უტვინობის გამო თურქეთში ჩვენი ტერიტორიები დავკარგეთ, სადაც რუსეთის ჯარი იდგა 1918 წლის ბოლომდე. ჩვენი უმადურობის გამო რუსეთმა ეს ტერიტორიები თურქეთს დაუთმო. მაგრამ ჩვენ ჭკუა დღესაც ვერ გვისწავლია, რა შეცდომებსაც უშვებდნენ ჩვენი წინაპრები, იმასვე ვიმეორებთ და დამნაშავე მუდან სხვაა.

– როგორ ფიქრობ, გიორგი, რა უნდა გვექნა?

– არაფერი, ხომ იცი, პოლიტიკა რაა, „ჩასაფრება და დროის შერჩევა“. უნდა გავყუჩებულიყავით, რუსეთთან კარგი ურთიერთობა უნდა შეგვენარჩუნებინა, მით უმეტეს,

რომ იმ რევოლუციის სათავეში ქართველები იდგნენ. ესენი იყვნენ: ფილიპე მახარაძე, სერგო ორჯონიკიძე, იოსებ სტალინი და ბევრიც სხვა. თანაც ჩვენ შესანიშნავად ვიცით ქართველი კაცის ბუნება, ყველას პირველობა უნდა და ამ პირველობის მოსაპოვებლად ის ფსონში ყველაფერს ჩადებს და არაფერს დაერიდება.

ქართველები, ეტყობა, ჭკუას ვერასოდეს ვისწავლით. განა ჩვენს დროსაც იგივე არ მოხდა. როგორც კი საბჭოთა იმპერიამ რყევა დაიწყო, მაშინვე რუსებს ზურგი შევაქციეთ. 1989 წელს გამოვედით „დსთ“ შემადგენლობიდან და კარებიც მივუჯახუნეთ. შედეგად აფხაზეთიც დავკარგეთ და ოსეთიც. შენ, მართლა, გიორგი, ოსეთში მუშაობდი. როგორია ოსი ხალხი.

– ძალზე კარგი, პურ-მარილი არ ეშლებათ და ძმაკაცობა. ყოველ შემთხვევაში, ჩემსობას ასე იყო. მაგრამ ერთმა განუსჯელმა ნაბიჯმა ქართველებისამ, როდესაც სამხრეთ ოსეთის ოლქი შექმნეს, ეს გართულება გამოიწ-ვია. მიზანი, როგორც გავიგე შემდგომში, ჩრდილოეთ ოსეთის შემოერთება იყო და თითქოს ორივე ეს ოლქი საქართველოს შემადგენლობაში უნდა ყოფილიყო. ეს იყო დიდი შეცდომა, რადგან წინ ვერ გავიხედეთ და ბუნებრივი საზღვრების, კავკასიონის, იქითა ტერიტორიის შემოერ-თება გადავწყვიტეთ.

სამხრეთ ოსეთში შედიოდა ოთხი რაიონი: ჯავა, ზნაური, ცხინვალი, დღევანდელი ახალგორი. მე რომ ახალგორში მოვხვედრილიყავი, უნდა შემომევლო მცხეთის რაიონიდან. ხოლო ჯავის რაიონის სოფლებში

უნდა ავსულიყავი საჩხერიდან. რუსებმა დღეს ეს პრობ-ლემა ერთ თვეში მოაგვარეს. გზები გაიყვანეს. ამასთან ერთად, სადაც მოსავლიანი მიწები იყო და ვაშლი მოდიოდა (თამარაშენი და კეხვი), ქართველები ცხოვრობ-დნენ. სადაც უვარგისი მიწები იყო მოსავლის მისაღებად, ოსები. მე მახსოვს, მაშინაც წინააღმდეგნი იყვნენ ჯავის ხეობაში გზის გაყვანისა ჩრდილოეთ ოსეთის მიმართუ-ლებით, რასაც რუსები გვაძალებდნენ. ეს მოხდა 1968 წ. მე მაშინ შევთავაზე ოპტიმალური ვარიანტი: ოსების 160 უღარიბესი ოჯახი გადმოგვეყვანა ჯავის რაიონიდან, რომ-ლებიც ამ მთიან მოუსავლიან ტერიტორიაზე ცხოვრობ-დნენ; აგვეშენებინა მათთვის ორსართულიანი სახლები დმანისში, ლაგოდეხში, წალკაში, ბოგდანოვკაში და ამ ადგილზე გაგვეშენებინა ველური მეურნეობა და ზუბრის ნაკრძალი. შედეგად გზის გაყვანის პრობლემა მოიხსნე-ბოდა, მაგრამ მაშინდელი წინდაუხედავი მთავრობა ამ პროექტის წინააღმდეგი იყო. არსებობდა მეორე ვარიან-ტიც: შეგვექმნა ქართლის რეგიონი, რომელშიც შევიდოდა ხაშურის, გორის, ქარელის რაიონები ცხინვალთან, ჯავასა და ზნაურთან ერთად, მხოლოდ ერთი პირობით, აქ რეგიონის მთავარი ქალაქი ცხინვალი უნდა ყოფილიყო და ოსები თანახმანი იყვნენ, ავტონომია გაუქმებულიყო. მაგრამ მაშინდელმა მთავრობამ არც ამაზე გააპარტყუნა ყური.

– გიორგი, აზრიანი კაცი ხარ და მითხარი, რატომ მოხდა გაუგებრობა ჩვენსა და აფხაზებს, ოსებს შორის. დავიჯერო, ასეთი ნაციონალისტები, პატრიოტები არიან, რომ ცალკე უნდათ ცხოვრება.

– რა არის, დუგლას, ნაციონალიზმი? ეს არის უკეთესად უზრუნველყოფილი ცხოვრებისკენ ლტოლვა სხვათა დახმარების იმედით და ენის წაგრძელების ხარჯზე.

– ჩვენც იგივე შეცდომა არ ჩავიდინეთ, როდესაც კარები გამოვიჯახუნეთ და სსრ კავშირის შემადგენ-ლობიდან გამოვედით. გახსოვს ხალხი რა გახარებული იყო?

– ხალხი აქ არაფერ შუაშია, ხალხს, მასას თავში როგორც წამოარტყამ, იმდაგვარად ამღერდება.

– აბა, ვინ არის დამნაშავე?

– დამნაშავე ყოველთვის დიდი ერია, ჩვენ წინაშე – რუსეთი, რომ ქვეყნის სათავეში ხრუშჩოვი და გორბაჩოვი დაუშვა; ხოლო ჩვენ აფხაზებისა და ოსების წინაშე ვართ დამნაშავე. აბა, თუ გახსოვს, საქართველოს ცეკასა ან მინისტრთა საბჭოში რამდენი აფხაზი და ოსი ეროვნების წარმომადგენელი იყო?

– არავინ არ მახსოვს.

– და საქმეც ეგაა, ის აფხაზი, ოსი უნდა წამოგვეყვანა თავიანთი რეგიონებიდან, დაგვენიშნა რაიკომის მდივნე-ბად, მინისტრის მოადგილეებად, ცეკაში მიგვეცა რაღაც თანამდებობა. ეს თავისებური დაფასება იქნებოდა ამ ერის, თავიანთ საჭიროებასაც დააფიქსირებდნენ და მათი სახით მომხრეებიც გაგვიჩნდებოდა, ხალხიც ახლად გამომცხვარ ნაციონალისტებს არ აჰყვებოდა.

– ო, რა კარგია, ჩემო გიორგი, გაშლილი კარტებით თამაში!

– მთელი უბედურება, ჩემო დუგლას, დღევანდელი მთავრობის არსია. მას არც გაშლილი კარტებით ეხერხება

თამაში და არც წარსულის განსჯისა და მისგან ჭკუის სწავლების უნარი შესწევთ.

– აბა, რა გვეშველება?

– ჯერჯერობით არაფერი. მე კომუნისტების დროინდელი ხელმძღვანელები არ მომწონდა, მიუხედავად იმისა, რომ მათ მმართველობის ერთგვარი საფეხურები მაინცა ჰქონდათ გავლილი. დღეს კი ეს უპატრონოები პირდაპირ ქუჩიდან მოჰყავთ და, ქრთამის აღებს გარდა, არაფერი იციან.

– შენ ეგ მითხარი, დღევანდელი გადასახედიდან როგორ ჩანს, რანაირად უნდა დავიბრუნოთ ეს რეგიონები?

– უპირველესად რუსეთთან უნდა დავალაგოთ ურთიერთობა. მას უკან თავისუფალ მიმოსვლას უნდა მივაღწიოთ ამ რეგიონებში. ამ მიზნით, შეიძლება, სტატუს კვოთი ვიხელმძღვანელოთ.

– ეს როგორ?

– როგორ და აღვადგინოთ პირველყოფილი მოსახლეობა რეგიონში და ერთი წლის შემდეგ ჩავატაროთ რეფერენდუმი უცხო ქვეყნების წარმომადგენელთა დასწრებით. თუ ამის შემდგომაც უარს იტყვიან საქართველოსთან შემოერთებაზე, მაშინ უნდა ვაღიაროთ ისინი ცალკე სახელმწიფოებად და კეთილმეზობლური ურთიერთობა დავამყაროთ რკინიგზის აღდგენით, უსაშვო გადაადგილებისა და სხვა პრივილეგიების გზით.

– მერე ჩვენი ძალად მაცხონე პატრიოტები ამ წინადადებას დასთანხმდებიან?

– აბა, სანამდის უნდა ვიყოთ ერთმანეთის მიმართ დანასისხლად? ხომ იცი, დრო საუკეთესო მკურნალია!

– ჰე, ჩემო გოგი, შენ რომ გისმენ ყველაფერში ჩვენი წინდაუხედაობა, ჯინიანობა, მოსმენის უნარის უქონლობაა დამნაშავე. იმის მაგივრად, რომ წარსულის შეცდომები გავითვალისწინოთ, ისევ იმავე შეცდომებზე ვიტეხთ კისერს. როგორა გგონია, ამერიკა და რუსეთი დაარტყამენ ერთმანეთს?

– მანამდე არაფერი გეტკინოთ?! მე „ოქროს უბანში“ გაზრდილი კაცი ვარ და, ასე თუ ისე, ეს ამბები გამეგება. წარმოიდგინე, სამყაროში ორი ძველი ბიჭია, რომლებსაც თავიანთი ჩასაფრებული მომხრეები ჰყავთ. როგორც კი ესენი ერთმანეთს სერიოზულად დაუპირისპირდებიან და დაარტყამენ, მაშინვე ორივე დაჯგუფებას დედა ეტირება. დღეს ასეთივე მდგომარეობაში არიან აშშ და რუსეთი. თუ მათ ღმერთი გაუწყრათ და ერთმანეთს ბალისტიკური რაკეტები დაუშინეს, ორივეს დედა ეტირება და, სამყარო რა დღეში ჩავარდება, არავინ უწყის. ამიტომ ამ ვითომცდა დაპირისპირებულ მხარეებს იმდენი ჭკუა კი ჰყოფნით, რომ ერთმანეთს მართლა არ დაარტყან.

– შენს ნათქვამს ვეთანხმები, მოდი, ამ ჭიქით გაუ-მარჯოს „გიჟ ვრაცუა“ ქართველებს, რომელთაც განგებამ ნიჭი, სიმღერისა და ცეკვის უნარი მისცა“, მაგრამ წინდახედულება და განსჯის უნარი დააკლო.

– გაუმარჯოს, ჩემო დუგლას, ეტყობა, ღმერთს არა-ფერი ეშლება, თორემ წინდახედულების ჭკუაც რომ მოეცა, მაშინ ხომ მთელ სამყაროს დავიპყრობდით. ამასთან ერთად, ჩემო დუგლას, ერთი რამ არის საინტერესო:

თავის დროზე არსებობდა რომის იმპერია, მონღოლების იმპერია არსებობდა, რუსეთის იმპერიაც და კიდევ ათასი სხვა „გადაქაჩული“ ქვეყანა. ყველას დედა ეტირა. ეტყობა, განგება დიდხანს არავის გაახარებს და ყოველივე დროებითია. ამიტომ ქართველებმა მთავარი რამ უნდა ვისწავლოთ: ყველა დროისათვის მორგებული „ჩასაფრება და დროის შერჩევა“, თუ გვინდა, რაღაცას წარმოვად-გენდეთ და საჭირონი ვიყოთ ამ სამყაროში.

– ისე მომეწონა შენი გამრავლების ტაბულა, ვეღარ ვისვენებ. მოდი კიდევ ერთხელ გადავხედოთ და განვიხილოთ, რადგან, გონებით რომ ვუკვირდები, აქ არაფერია ისეთი, რისი გაკეთება და აღსრულებაც არ შეიძლებოდეს.

– ჩემო კარგო, თუ ხედავ, რამხელა სხვაობას იძლევა 300 წლის შემდეგ მდგრადი და პერსპექტივის მქონე ოჯახები და რამხელა სხვაობაა ორი და სამი ნაშიერის მყოლ ოჯახთა შორის. ორი ვაჟის ნაშიერნი ბოლოს იძლევიან 65536 ნამატს, ხოლო სამი ვაჟის შემთხვევაში ეგ ნაშთი გამოდის 5668704, თითქმის 11-ჯერ მეტი, ხოლო ოთხი ვაჟის ყოლისას და წინასწარი განზრახვით გამრავ-ლების შემთხვევაში 134217728 ახალ ოჯახს, თითქმის იმდენს, რა რაოდენობის მოსახლეობაც არის დღეს რუსეთში; ხოლო 5 ჯანმრთელი ვაჟის ყოლის შემთხვევაში ეს ციფრი 1562500000 ოჯახამდე იზრდება, რაც სულა-დობით გაცილებით მეტია ჩინეთის, ინდოეთისა და მათი მეზობლების მოსახლეობაზე. აღარაფერს ვამბობ 6 და 7 ვაჟის ყოლის შემთხვევაში, რომელთა რჩენაც დღევან-დელი დედამიწის შესაძლებლობებს აშკარად აღემატება.

ერთი შეხედვით, ახალი სარწმუნოებით დამოძღვრილი ხალხისათვის, თუ მათ ზოგად ორკლასიან განათლებას ეკლესიის მსახურთა მაგალითს და პროპაგანდასაც დავურთავთ, ეს ცხრილი სრულიად რეალურად მიმაჩნია. ამ რაოდენობის ხალხი საჭირო უნდა ყოფილიყო მაშინდელი რუსეთის იმპერატორისათვის, ისევე, როგორც ძირითადად კავკასიის მიდამოებში მცხოვრები კაზაკები, რომლებიც ომიანობისას თავიანთი ცხენებითა და შეიარაღებით იღებდნენ მონაწილეობას ომებში.

– მაშინ, გიორგი, ბუნებრივია, გარკვეული რაოდენობა მამაკაცებისა დაიხოცებოდა და მაშინ ამ ცხრილში მოცემული მონაცემები დაზუსტებას საჭიროებს.

– დუგლას, ჩვენი წესების მიხდვით, მეფეს ეახლებოდნენ ის მეომრები, რომელთაც შეუსრულდებოდათ, ვთქვათ, 35-40 წელი, როდესაც მათ დაახლოებით 10-12 შვილი ეყოლებოდათ. ისინი ოჯახში უფროს შვილს დატოვებდნენ თავიანთი თავის მაგივრად, მეურნეობის გასაძღოლად. ასე რომ, გარკვეული ოდენობა შვილებისა დაეხოცებოდათ, ზოგი ცოლიც მშობიარობას გადაჰყვებოდა, მაგრამ მათი სარწმუნოების, ვთქვათ „გეორგიანების“, თანახმად, მათ მეორე ცოლიც უნდა ჰყოლოდათ, რათა ბავშვების მოვლა-პატრონობა და საჭირო ოდენობით შობადობაც გარანტირებული ყოფილიყო. თან ამ შობადობას გააკონტროლებდა ეკლესია.

– ამბობ, რომ ყველა ვაჟს უნდა მიეღო ორკლასიანი განათლება როგორც ქართულ, ისე რუსულ ენებზე. ჯერ ერთი, ამდენ ბავშვს რომელი ეკლესია დაიტევდა, თანაც ყველას როდი ექნებოდა სწავლის სურვილი.

– დავუშვათ, თითოეულ სოფელში, დასახლებაში საშუალოდ უნდა ეცხოვრა 100 ოჯახს. ამ ას ოჯახს ეკლესია თუ არა, მღვდლის სახლთან სალოცავი უნდა ჰქონოდა, სადაც დაწყებით განათლებას მისცემდნენ სოფლის მღვდელმსახურები, ხოლო ზოგიერთ შეძლებულ ოჯახში შეიძლებოდა სკოლისმაგვარიც გაგვეხსნა. ეს საშუალებას მოგვცემდა ახალ მიღწევებს დროულად გავცნობოდით, ამასთან ერთად, სოფელს ეყოლებოდა თავისი მკურნალები, ბებიაქალები, მაჭანკლები, ხელმარჯვე ოსტატები, რაც შემდგომში თანდათანობით ქალაქების შექმნას გამოიწვევდა და სასოფლო სამეურნეო სავარგულების უკმარისობაც მოისპობოდა. გამოსაკვებად დასჭირდებოდათ სულ მცირე 1 ჰექტარი სახნავ-სათესი მიწა. საქართველოში კი ამ ოდენობის მიწა სად გინდა მოიძიო.

– დღევანდელი გადასახედიდან, ჩემო დუგლას, საქართველოს თავისუფლად შეუძლია გამოკვებოს 15 მილიონი ადამიანი, მიუხედავად იმისა, რომ მისი ტერიტორიის თითქმის 39% ტყითაა დაფარული და მას ნიადაგდაცვითი დანიშნულება აქვს. დაბლობები 1,5-1,6 მილიონი ჰექტარი სახნავ-სათესია. ასე რომ, დღეს საქართველოს თავისუფლად შეუძლია, თუ მოინდომებს, გამოკვებოს 15-20 მილიონი ადამიანი, თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ერთ ადამიანს წელიწადში საშუალოდ სჭირდება 500-600 კგ მარცვლეული, რათა მან მთლიანად დაიკმაყოფილოს თავისი კვებითი მოთხოვნილებები ხორცზე, რძის ნაწარმზე. ჩვენ კი გასამრავლებელ ტერიტორიად ავიღეთ რუსეთი თავისი უკიდეგანო სავარგულებია და წიაღისეული რესურსებით.

– გიორგი, როგორაა საქმე ჩვენი წიაღისეული რესურსების მხრივ? როგორც გამიგია, თითქმის საკმარისია, გვაქვს ყველაფერი. იმ დღეს გაზეთში თვალი მოვკარი, რომ ჩვენთვის სამყოფი და, კიდევ მეტი, გასაყიდიც გვქონია რკინა, მანგანუმი, სპილენძი, ოქრო, ტყვია-თუთია, დარიშხანი, ვერცხლის წყალი, ბარიტი, ანდეზიტი, დიატომიტი, და კიდევ ბევრი სხვა. მათ შორის, დიდი ოდენობით მიწისქვეშა წყლები.

– არ გახსოვს, ახალგაზრდობაში როგორ ვტრაბახობდით, რუსეთს თუ გამოვეყოფით, მარტოოდენ ბორჯომის წყლის რეალიზაციით ვიცხოვრებთო. დღეს ისეთ ბორჯომს უშვებენ, რომ ამ მავნებლობისთვის ქარხნის ხელმძღვანელობაც დასაჭერია და მთავრობაში მოკალათებულნიც და თვით ხალხიც. ხმას არავინ იღებს იმაზე, რომ ამ ცარიელ გაზიან წყალს გვასმევენ და დაგვცინიან.

– გიორგი, გეცოდინება, რომ საბჭოთა კავშირის დროს სამი სახის ბორჯომი გამოდიოდა, უმაღლესი ხარისხისა კაპიტალისტური ქვეყნებისათვის და საქართველოს და რუსეთის კომუნისტური პარტიის თანამშრომლებისათვის. მათ სასადილოში შეიძლებოდა ამ ხარისხის ბორჯომის დალევა-დაგემოვნება. შემდეგ მოდიოდა შედარებით მდარე ხარისხის ბორჯომი დემოკრატიული ქვეყნებისთვის, მესამე ხარისხისა – ჩვენი მოსახლეობისათვის. ნახევარლიტრიანი ბოთლი 8 კაპიკი ღირდა. ის რვაკაპიკიანი ბორჯომიც კი დღეს სანატერელი გვაქვს.

– მარტო ბორჯომი? საქართველო ისე დაჩმორდა, რომ ჩაი, რომლითაც ის სსრ კავშირის მთელი მოსახლეობის თითქმის 90% ამარაგებდა, დღეს სინგაპურიდან

შემოაქვთ, ხოლო ქართველი ქალები, მამაკაცები და ბავშვები ფულის საშოვნელად თურქეთში დადიან და იქ კრეფენ ჩაის, ჩვენმა ბედოვლათმა ქართველებმა კი არსებული ჩაის ფაბრიკები ჯართად ჩააბარეს, ჩაის პლანტაციები გაავერანეს, ახლა ეს მიბრძანე: აქაც რუსები არიან დამნაშავენი? მაგრამ ქართველი ყოველთვის მართალია და საკუთარი თავის დადანაშაულება არ უყვარს.

– ისე, შენს ცხრილს რომ ვუყურებ, მართლაც შენ მიერ მოხაზულ რუსეთის ტერიტორიაზე თავისუფლად დაეტე-ოდნენ და იჟივჟივებდნენ ქართველები, თუ ერთ-ნახევარი მილიარდი არა, 135 მილიონი მაინც, მაგრამ ქართველებს ვინ მოგვცა მაგის ბედი, თანაც ერთმანეთის გატანა და ყურის გდება რომ არ ვიცით?

– დღეს, ჩემო დუგლას, ისეთი არაფერი არ ხდება ჩვენს ისტორიაში რაც არ მომხდარა. იმის მაგივრად, რომ გვერდზე მყოფ მეზობლებთან, თუნდაც დამპყრობლებთან გამოვნახოთ საერთო ენა, სულ გადამთიელთა იმედზე ვართ. აგერ, მეზობლად, თურქეთი, ირანი და რუსეთი გვყავს და შველას ჩვენთვის გადამთიელებიდან ევროპის ქვეყნებიდან და ამერიკიდან ვეძებთ. რატომღაც გვგონია, რომ ისინი რაღაც ორ კაპიკს რომ მოგვიგდებენ და ჩვენი მთავრობაში გამძვრალი ვიგინდარების უკუგორებით ფულის გაკეთების საშუალებას აძლევენ, ისინი ჩვენი ძმები არიან და ჩვენს მეზობლებს ჩვენს მაგივრად ომს დაუწყებენ.

– რას ვიზამთ, ჩემო გიორგი, გაჭირვება გვაიძულებს სხვაგან ყურებას.

– იმდენად გაჭირვება არა, რამდენადაც ფულის და კარიერის შოვნის სურვილი. იმის მაგივრად, საბჭოთა კავშირის დაშლა დაგვებრალებინა, რომლებიც ქართველების მიმართ ყოველთვის კარგად იყვნენ განწყობილნი და ან ნგრევის გამო სინანული გამომეთქვა და ისე გავსულიყავით მისი შემადგენლობიდან, ამ საქმეშიც გულზე ბრახუნით პირველობა, ლიდერობა მოვინდომეთ.

– პოლიტიკა დღეს ჩემო გიორგი ასეთია, თუ ისეთი მაინც დროის კაურებს მოაქვს.

– რა არის პოლიტიკა ჩემო ფართე გაგებით, მოთმინება, წინხედვა, ჩასაფრება, დროის შერჩევა, საკუთარი ქვეყნის ისტორიული გამოცდილების განსჯა-გაანალიზებით.

ამ დროს სახლის ტელეფონის ხმა გაისმა.

– გისმენ ჩემო რეზო, ხომ მშვიდობიანად მიხვედი სახლში, კარგი კაცი ხარ რომ დარეკე.

– ელზამ დამარეკვინა, იცის შენი პოსტულატები სტუმრის მიღებისა და გაცილების წესი, აგერ ჩემს გვერდით დგას, დაელაპარაკე.

– ელზას გაუმარჯოს, როგორ ხარ ოჯახში, კარგი ქალი ხარ, რომ დაარეკინე, თუმცა შენმა ქმარმა ღვინის ზომიერი სმა იცის, ისე რომ, მისი იმედი, რომ სახლში მშვიდობიანად მივა, ყოველთვის მაქვს.

– მადლობა მინდა მოგახსენო, ჩემი ქმრის გამასპინძლებისთვის, იმედია მომავალში არ დაგავიწყდებათ, რომ ამ თქვენს ძმაკაცებს ცოლები ჰყავთ და მათაც სურვილი აქვთ, მათი ძმაკაცების ცოლებთან მოილხინონ, იჭორაონ და ქალებისთვის გასაგები დრო

ვატაროთ, აბა კარგად იყავი, ჩემო გიორგი, ღამე ნებისა, კარგ ძილსა და მოსვენებას გისურვებთ.

– კარგი ქალბატონი ბრძანდებით ჩემო ელზა, რომ დარეკე, რაც შეეხება თქვენს შენიშვნას, შემდგომ მუშაობაში ვეცდებით გამოვასწოროთ.

– ეს ვინ იყო გიორგი, ჩხუბიანიშვილებმა დარეკეს?

– ხო, რეზოს მეუღლე იყო, მან იცის ჩემი სტუმრის მიღება-გასტუმრების წესი.

– ჰე, კარგი, ყველა ქართველი წესებს რომ იცავდნენ, მაგრამ ჩვენ ვინ მოგვცა მაგის ბედი.

– ყველაფერს, მათ შორის კარგის კეთებასაც სურვილთან ერთად დაძალება სჭირდება, რათა ის წესად ტრადიციად იქცეს.

– კვლავ გაისმა ტელეფონის ხმა, ამჯერად ოთარ ფირცხალაიშვილის მეუღლემ, ლილიმ დარეკა.

– გამარჯობათ, ბატონო გიორგი, მომილოცავს ახალი საზოგადოების ჩამოყალიბება, თქვენ ოღონდ ერთად შეიყაროთ და იქეიფოთ, რას არ მოიგონებთ. ისე ჩემი ქმარი საკმაოდ ნასვამი მოვიდა, მაგრამ მშვიდობიანად და მის წლებს რომ შეეფერება, მომიკითხე შენი მეორე ნახევარი და ჩვენი დაქალი ქალბატონი ეთერი. ქმარი ჩავიბარე, გისურვებ კარგ გამოძინებას, შემდგომში თუ ჩვენც მიგვაღებინებთ მონაწილეობას თქვენ თავშეყრაში, მე პირადად წინააღმდეგნი არ ვიქნებით, აბა კარგად, ღამე ნებისა.

– რას ერჩი ჩემო გიორგი ამ ქართველებს, ხომ ხედავ შენს შემოღებულ წესს ემორჩილებიან და რიგ-რიგობით გახსენებენ შენ, როგორ და რაგვარად მივიდა სახლში.

– ამიტომ, ჩემო დუგლას, ყველა წამოწყებას ხელმძღვანელად პიროვნება უნდა ჩაუდგეს სათავეში, ადრე, მე გადავრეკავდი ხოლმე, როგორ მივიდოდნენ სახლში და მათ მეორე ნახევრებს ჩემს სტუმარ-მასპინძლობის და მის გაცილების წესებზე ვუყვებოდი, ეტყობა დაიმახსოვრეს, გაითავისეს და ახლა თავადვე მირეკავდნენ და მაბარებენ ანგარიშს.

– ისე, ჩემო გიორგი, დღევანდელი გადასახედიდან რომ უკვირდები, საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნის დროს თავს უფრო მშვიდობიანად და იმედიანად ვუყურებდით ცხოვრებას. მაშინ შეიძლება დაპყრობილებიც ვიყავით და სხვა ქვეყნებმა ჩვენი არსებობის შესახებ არაფერი იცოდნენ და რუსებად გვიღებდნენ, მაგრამ ცხოვრების მინიმუმი გარანტირებული გვქონდა. ფულს მართალია, ვინც ვარგოდა, ყველა აკეთებდა, მაგრამ ფულის გამოჩენა და ტრაბახი დასჯადი იყო.

– იმ დღეს, რაღაც ეკონომიკური სტატია წავიკითხე გაზეთში და ასეთი აზრი დამებადა, რომ არ მომხდარიყო. ეს „პერსპექტივა“ და ძველებურად გეგმიურად, ხუთწლედების გეგმებით გვეცხოვრა დღეს 25 წლის შემდგომ რა მდგომარეობა იქნებოდა საქართველოში არ გაინტერესებს, აი შევადაროთ განვლილი 25 წელი 1965-1990 და 1991-2016 წლები.

აგერ ქაღალდი და ფანქარი. ჩამოვწეროთ და შემდეგ ვთქვათ, ღირდა თუ არა ეს „პერესტროიკა“ ამდენ სისხლისღვრად და გაჭირვებად, და ტერიტორიების დაკარგვად.

– 1990 წელს საქართველოს მოსახლეობა შეადგენდა დაახლოებით 5400000 მოსახლეს დღეს. საქართველოს მოსახლეობის შემოქმედი და მუშაობის უნარის მქონე ნაწილი საზღვარგარეთ არის გაკრეფილი. იქ არიან დასაქმებულნი და იქიდან არჩენენ ოჯახს, ხოლო ვინც ოჯახებით გადავიდა იქ სამუშაოდ, მეეჭვება რომ მათი შვილების უმეტესობა უკან დაბრუნდეს. დღეს საქართველოში მცხოვრები მოსახლეობა შეადგენს დაახლოებით 3400000 ე.ი. ფაქტიურად დავკარგეთ ორი მილიონი ადამიანი, აი ეს „პერესტროიკა“ საბჭოთა კავშირის ნგრევით რომ არ მომხდარიყო, დღეს საქართველოს მოსახლეობა სულ მცირე 6500000 ე.ი. ერთი მილიონით მოიმატებდა. ამასთან, დავანებოთ თავი იმას რომ მედიცინა და განათლება ყველა დარგში უფასო იყო. თბილისში წინა 25 წლის განმავლობაში 20,5 მეტროს სადგური, ხოლო ჩვენმა ბედოვლათმა მთავრობამ მეტრომშენი გააუქმა და 25 წლის განმავლობაში ერთნახევარი მეტროს სადგური ააშენა. ხოლო დღეს საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში რომ ვყოფილიყავი, თანაც იმასაც თუ გავითვალისწინებთ, გეგმა გადაჭარბებით უნდა შესრულებულიყო, დღეს თბილისში სულ მცირე 50 მეტროს სადგური უნდა ჰქონოდა.

– ამასთან, ჩემო გიორგი ნუ დაგვავიწყდება ავად თუ კარგად, ყველა დასაქმებული იყო, არავის არ შიოდა, ამდენი მათხოვარიც არ იყო, ამასთან, ვინც ვარგოდა, მაშინაც კარგად ცხოვრობდა და საქართველოში ჩალიჩობდა, დღეს ვინც ვარგა, მთავრობაში ჩალიჩობს და საზღვარგარეთ არის გასული.

– რას ვიზამთ, ჩემო დუგლას, ადამიანის ბუნება ასეა მოწყობილი, რაც გვაქვს, იმას ვერ ვაფასებთ, და როცა დავკარგავთ, იმას მივტირით.

– ისე, ეს საბჭოთა კავშირის დაშლაც მოულოდნელად მოხდა, ამაზე ჩვენი თაობა სერიოზულად არც ფიქრობდა.

– იმიტომ არ ფიქრობდნენ, რომ ეს წყობა მართლა ფიქრობდა ხალხზე. დღეს როგორც ირკვევა, უმუშევ-რობაზე ცუდი არაფერი არ ყოფილა.

– მაგაში მართალი ხარ ჩემო გიორგი, მაშინ იყო ყრუ-მუნჯთა და უსინათლოთა საზოგადოება, რომლებიც ასაქმებდნენ ამ კატეგორიის ხალხს და სახელმწიფო დოტაციასაც აძლევდა, მაგრამ ეს ხალხი თავს დასაქმების გამო ზედმეტად არ გრძნობდა თავს არსებულ საზოგა-დოებაში, ოჯახში.

– ეტყობა, ჩემო დუგლას, ყველაფერი განგების ნებით ხდება. ყველა თაობა თავის წარსულს მისტირის და ახალს კარგს ვერ ამჩნევს. აგერ რამდენი დამატებით უმაღლესი სასწავლებელი გაიხსნა, საზღვარგარეთ თავისუფლად შეგვიძლია გადაადგილება და სამუშაო ადგილის მოძიება, აგერ კომპიუტერული ტექნიკა შემოვიდა, მობილური ტელეფონი ყველას ჯიბეში გვიდევს, ღვთის წყალობით დღეს არ გვშია და გვწყურია, თუ ხელს გაანძრევ. ხალხი თანამედროვე მოდაზე იცვამს და თავისი ჭკუით ცხოვრობს. ამასთან, სხვა ქვეყნებმაც გაგვიცნეს და დააფიქსირებ, რომ სამყაროში არსებობს დამოუკიდებელი ქვეყანა საქართველო.

– ჩემო გიორგი, ერთი რამ მაოცებს, ამდენი ვიწვალეთ, ვიჩალიჩეთ ამ საქართველოს გამოყოფაზე რუსეთიდან და

ჩვენ სამყაროში როგორც ქართველებს კი არა, როგორც „გეორგიას“, „ჯორჯიას“, „გრუზინებს“, ისე გვიცნობენ და აქაც ჩვენი ქართველების უგუნურ წამლიქვნელებასთან გვაქვს საქმე, რათა უცხოელს არ გაუჭირდეს „საქართ-ველოს“ გამოთქმა და ფეხებზე გვკიდია, როგორი სახელი ერქმევა ქვეყანას.

– ყველაფრისთვის, ჩემო დუგლას, ეტყობა ხალხი უნდა მომწიფდეს, ჩვენ ფაქტობრივად მუქთად მივიღეთ თავისუფლება და თუ რაიმე სისხლი დაიღვარა, ისიც ჩვენი მოუთმენელი ბუნების ბრალია, აგერ ყველა ორღობეში უნივერსიტეტი გავხსენით, შენ ფული გადაიხადე, და არავის აინტერესებს შენი განათლება, რამდენი ხანიც გინდა ისწავლე, ან სულაც შეიძლება დიპლომის ყიდვა. მოდი დუგლას, შევეშვათ ამ გარჩევებს, მაინც ეტყობა ყველაფერი ზევიდან წყდება და სანამ განგება არ მოგვივლენს ქვეყნის სათავეში პიროვნებას ეროვნული საქმის საკეთებლად და არა საყბედოდ, მანამდე საქართველოს ეტყობა არაფერი ეშველება. მოდი დუგლას, ამ სასმისით კიდევ ერთხელ გაუმარჯოს ჩვენს თავშეყრას ამჯერად თავის დასკვნებით!

შენი საწოლი პირდაპირ ოთახშია. ერთი კარგად გამოვიძინოთ და ვინ იცის, ხვალ რა ხასიათზე დავდგებით. ვინძლო გამოვიდეთ ბახუსის მდგომარეობიდან და გაგაცილო შენს ქუთაისში. ძილი ნებისა, ჩემო დუგლას.

– ძილი ნებისა საქართველო, გისურვებ დროულად მოსულიყავი აზრზე და გამოფხიზლებულიყო და რეალურ საქმეს მოჰკიდებოდე.